საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№24 (353)
29 ივნისი – 5 ივლისი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



2 «ბრექსიტი», ერდოღანის ბოდიში და დრო საქართველოს ბონზე მოსვლისა

## ევროკავშირი იშლება, თურქეთმა ბოდიში მოუხადა რუსეთს, რა გზას დაადგება საქართველო? 4

„ევროკავშირი თავად არის დაშლის ზღვარზე და უახლოესი 5-7 წლის მანძილზე ჩვენ მისი დაშლის უშუალო მოწმეები გავხდებით“.

„საქართველო და მსოფლიო“, მაისი, 2013 წ.



## რუსეთის დაშლაზე მეოცნებეებს ევროკავშირი ჩამოეშალათ 7

„დაშლილი ევროპის ადგილზე ისე აღმოცენდება ეროვნული სახელმწიფოები, როგორც ადრე, იმ ბედნიერ დროს, როდესაც ქალი ქალობდა, კაცი კაცობდა და არც საზღვრები იყო „პრახადნოი დვორი“, როგორც დღეს; და ამ სახელმწიფოებს ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ექნებათ ერთმანეთთან სავაჭრო, კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები და არა აშშ-ის დიქტატით“.

## ერთხელ ოდესაში, ანუ «ლიკვიდაცია 2»



3

## «ბიძინა ივანიშვილმა პირად საუბარში ვერც მე დამისაბუთა, როგორ მოახერხებს ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პარალელურად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას» 6



«თუ ხალხი გადაწყვეტს, აირჩიოს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ თავსმოხვეულ საგარეო ვექტორზე უარს იტყვის, ქვეყნის ღირსების შესაბამისად იმოქმედებს და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ითანამშრომლებს ყველასთან, მაშინ ბიძინა ივანიშვილიც იძულებული იქნება, ხალხის ნებას დაემორჩილოს და დასავლეთის გავლენისგან გამოვიდეს»

## საქართველოს პარლამენტმა იუვენალური იუსტიცია ოფიციალურად «შემოგვაპარა»!



მამა ათანასე (ხაბეიშვილი):

## ეს არის იუვენალური ფაშიზმი, ტერორი, რომელსაც სამიზნეში ჰყავს ოჯახი... 8

„ცოტა ხანში შეიძლება თითოეულ ოჯახში შევიდეს „სოციალური მუშაკი“ და მშობლებს წაართვას შვილი. საქართველო ამას არ უნდა შეეგუოს და არ უნდა დაუშვას იუვენალური ფაშიზმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ კატასტროფას, რომელიც ბოლომდე დაანგრევს ისედაც ნგრევისა და დასუსტების გზაზე მდგარ სახელმწიფოს...“

## «ევროპელიც ისეთივე მსხვერპლია ე.წ. დასავლური ნეოლიბერალიზმის, როგორიც ჩვენ – ქართველები» 9

„შემთხვევითი არ არის, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ საზოგადოებისთვის მიუღებელი ყველა საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები არიან რესპუბლიკელები, ხოლო კოალიციის კონგლომერატის ყველა დანარჩენი შემადგენელი არის მონურ მორჩილებაში...“

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ევროპარლამენტის ვიცესპიკერი: ევროკავშირის ლიდერები უნდა გადადგნენ

**ევროპარლამენტის ვიცესპიკერმა რიშარდ ჩარნეცკიმ განაცხადა, რომ, დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გამო, ევროკავშირის ლიდერები უნდა გადადგნენ, — იუწყება „რადიო პოლონეთი".** ჩარნეცკის თქმით, რეფერენდუმის შედეგებისთვის ევროკავშირის სტრუქტურების წარმომადგენლები არიან პასუხისმგებელნი, ამიტომ პოსტებზე უარი უნდა თქვან. თანამდებობიდან უნდა წავიდნენ ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი და ევროპარლამენტის პრეზიდენტი მარტინ შულცი.






### ნაიჯელ ფარაჯი:

## ვიმედოვნებ, ჩვენ არ ვიქნებით უკანასკნელნი, ვინც მომაკვდავ ევროკავშირს დატოვებს

**გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიის ხელმძღვანელმა ნაიჯელ ფარაჯმა გამოთქვა იმედი, რომ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გამოსვლა პირველი ნაბიჯია სუვერენული ეროვნული სახელმწიფოებისგან შექმნილი ევროპისკენ. „ბრექსიტი", ნაიჯელ ფარაჯის თქმით, რიგითი ადამიანების გამარჯვებაა დიდ პოლიტიკოსებსა და მსხვილ კორპორაციებზე.**

„პოლიტიკაში 25 წლის წინათ ჩავერთე, როგორც ევროსკეპტიკოსი, და პირველივე არჩევნებზე, რომელშიც ვმონაწილეობდი, აწ უკვე გარდაცვლილი დიდი ლორდი სატჩი (ბრიტანელი როკ-მუსიკოსი, ექსცენტრიკოსი, დამფუძნებელი „ოფიციალური საშინელ-ბოდვითი ნახევრადშეშლილი პარტიისა — რედ.) დავამარცხე 164 ხმით, ანუ ბოლო არ ვყოფილვარ. ამჟამად კი 17 მილიონმა ადამიანმა დაუჭირა მხარი „ბრიქსიტს".

ეს არის უბრალო ადამიანების გამარჯვება, გამარჯვება პატიოსანი ადამიანებისა დიდ პოლიტიკასა და მსხვილ კომერციულ ბანკებსა და კომპანიებზე.

ვამაყობ იმ ადამიანების გამო, რომლებსაც ეყოთ ვაჟკაცობა და, მიუხედავად მუქარისა, მოიქცნენ სწორად, ისე, როგორც ჩვენ ვეუბნებოდით. აღფრთოვანებული ვარ, რომ ეს გააკეთეთ! ამის შედეგებს მალე ვნახავთ ევროპაში. ევროკავშირის სხვა ქვეყნებში ევროსკეპტიკოსთა პარტიებს ხმამაღლა არასოდეს უსაუბრიათ ევროკავშირიდან გასვლაზე, ახლა კი ალაპარაკდნენ. ნიდერლანდებში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ უმრავლესობას სურს ევროკავშირიდან გამოსვლა. ასე რომ, ახლოსაა „ნექსიტიც" დანიელთა უმრავლესობაც ანალოგიურად ფიქრობს. ასე რომ, ახლოვდება „დექსიტიც", მაგრამ იგივე შეიძლება მოხდეს შვედეთში, ავსტრიასა და იტალიაშიც.

ევროკავშირი წარუმატებლობას განიცდის, ევროკავშირი კვდება. ჩვენ პირველი აგური ამოვიღეთ კედლიდან და არ ვიქნებით უკანასკნელნი, ვინც დატოვებს დასაღუპავად განწირულ ევროკავშირს", — განაცხადა ნაიჯელ ფარჯმა ტელეარხ CNBC-ის ეთერში.

**«ევროკავშირი წარუმატებლობას განიცდის, ევროკავშირი კვდება. ჩვენ პირველი აგური ამოვიღეთ კედლიდან და არც უკანასკნელნი ვიქნებით, ვინც დატოვებს დასაღუპავად განწირულ ევროკავშირს»**



# «ბრექსიტი», ერდოღანის ბოდიში და დრო საქართველოს გონზე მოსვლისა

**შედეგებმა დიდ ბრიტანეთში 23 ივნისს გამართული რეფერენდუმისა ამ ქვეყნის ევროკავშირში ყოფნა-არყოფნის შესახებ დაადასტურა, რომ მსოფლიოში დიდი ცვლილებების ერა დაიწყო. ბრიტანელთა 52%-მა უარი თქვა ქვეყნის ევროკავშირში დარჩენაზე და ამით დასაბამი დაუდო ევროკავშირის დაშლის პროცესს.**



**ერდოღანმა თურქი სულთნებისთვის დამახასიათებელ ეშმაკობას მიმართა — ყველაფერი აწონ-დაწონა და ფირფიტა გადააბრუნა: თუ მანამდე იმუქრებოდა, საჭიროების შემთხვევაში რუსულ თვითმფრინავებს კიდევ ჩამოვაგდებო, და კატეგორიულ უარს ამბობდა არათუ ბოდიშის მოხდაზე, არამედ რუსი პილოტის დაღუპვის გამო მისამძიმრებაზე, ახლა, როცა მის ქვეყანას დასჭირდა, ფეხზე დაიკიდა აშშ-ის ინტერესები და ფეხქვეშ გაეგო რუსეთის პრეზიდენტს**

გაერთიანებული სამეფოს ქვეშევრდომებმა მხარი დაუჭირეს თავიანთი ქვეყნის სუვერენიტეტს, ეროვნულ ფასეულობებს, ტრადიციებს და უარი განუცხადეს გლობალიზაციას, უსაზღვრებო და დაუცველ ქვეყანას სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენისგან, აგრეთვე, პროპაგანდისტული ზემოქმედებისგან ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ლგბტ-პირებისთვის შვილის აყვანის უფლება, იუვენალური იუსტიცია და ა.შ.

ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ ევროსკეპტიკოსების ბანაკი მნიშვნელოვნად გაფართოვდა — ანალოგიური რეფერენდუმის ჩატარებასა და ევროგაერთიანების დატოვებაზე სხვა ქვეყნებშიც ალაპარაკდნენ. საფრანგეთში „ნაციონალური ფრონტის" ლიდერმა **მარინ ლე პენმა** ფრანგებს ევროკავშირის დატოვებისკენ მოუწოდა, ანალოგიური განცხადებით გამოვიდნენ ნიდერლანდების თავისუფლების პარტიის ლიდერი **გერტ ვილდერსი** და დანიის ხალხის პარტიის თავმჯდომარე **კრისტიან ტულესენ დალი.** ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლუმობირ ზაორალეკმა** და სლოვაკეთის პარლამენტის თავმჯდომარემ **ანდრე დანკომ** კი მკაცრად გააკრიტიკეს ევროკავშირის ხელმძღვანელები და მათ თანამდებობებთან შეუფერებელი უწოდეს.

ამას მოჰყვა სკანდალი, რომელიც აგორდა გერმანიისა და საფრანგეთის ულტიმატუმის გამო ე.წ. ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებისადმი (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი): **პოლონურ ტელეარხ TVP.INFO-ს ხელში ჩაუვარდა გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი საბაჟო გაერთიანებიდან ერთიან ევროპულ სახელმწიფოდ უნდა გარდაიქმნას. შედეგად, ამ ახალი ევროკავშირის წევრები დაკარგავენ უფლებას, ჰყავდეთ საკუთარი არმია და სპეცსამსახურები, ჰქონდეთ ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საგადასახადო სისტემა, ცენტრალური ბანკი და ეროვნული ვალუტა. მოკლედ, დაკარგავენ ყველაფერს, რითაც შეიძლება სუვერენული სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, ამასთანავე, ვეღარ გააკონტროლებენ თავიანთ საზღვრებს** და არც თავიანთ ტერიტორიაზე ლტოლვილების მიღებისა თუ მათი ნაკადის შესაზღუდავი ბერკეტები ექნებათ. დოკუმენტში, აგრეთვე, ლაპარაკია ევროპის კონტინენტზე ნატოს როლის შეზღუდვაზე.

დაინახა რა, ევროკავშირის დაშლისა და ამით არა მხოლოდ შუა აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის რეგიონებზე, არამედ მსოფლიოზე რუსეთის გავლენის გაძლიერების ნიშნები, თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** წერილი გაუგზავნა და ბოდიში მოუხადა სირიაში ჩამოგდებული „სუ-24"-ის პილოტის **ოლეგ პეშკოვის** დაღუპვის გამო.

ერდოღანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„იზიარებს პილოტ ოლეგ პეშკოვის ოჯახის ტკივილს, მას თურქეთის ტკივილად აღიქვამს და მზად არის, ნებისმიერი ინიციატივის განსახორციელებლად, რომელიც დაღუპული პილოტის ოჯახს ტკივილს შეუმსუბუქებს".** მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ **თურქეთს არ სურდა რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება** (ჩანს, ანკესზე წამოაგეს და პროვოკაცია მოაწყობინეს სხვა ძალებმა. რომელმა ძალებმა, ადვილი მისახვედრია — რედ.) და რუსეთის პრეზიდენტს თურქეთისა და რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობა შეახსენა.

როგორც ჩანს, **ერდოღანმა თურქი სულთნებისთვის დამახასიათებელ ეშმაკობას მიმართა — ყველაფერი აწონ-დაწონა და ფირფიტა გადააბრუნა: თუ მანამდე იმუქრებოდა, საჭიროების შემთხვევაში რუსულ თვითმფრინავებს კიდევ ჩამოვაგდებო, და კატეგორიულ უარს ამბობდა არათუ ბოდიშის მოხდაზე, არამედ რუსი პილოტის დაღუპვის გამო მისამძიმრებაზე, ახლა, როცა მის ქვეყანას დასჭირდა, ფეხზე დაიკიდა აშშ-ის ინტერესები და ფეხქვეშ გაეგო რუსეთის პრეზიდენტს.**

ამ ფონზე განსაცვიფრებელია, უფრო ზუსტად, მოღალატეობრივი და ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული ქართველი ე.წ. მედასავლეთეებისა და პროამერიკელების წარმომადგენელთა განცხადებები, რომ ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს შესვლას წინ ვერაფერი დაუდგება.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

მაგრამ საქართველოს მოსახლეობა გონს უნდა მოეგოს და ერთხელ და სამუდამოდ გააცნობიეროს, რომ, არათუ იმ ნატოსა და ევროკავშირში, რომლებსაც თავისი გასჭირვებიათ, არამედ დალხენილ ევროკავშირსა და ნატოშიც არავინ მიგვიღებდა და არც მომავალში მიგვიღებს, რადგან რუსეთის გაძლიერებით ისედაც ატკივებულ თავს კიდევ უფრო მეტად არავინ აიტკივებს. დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს, საქართველო მხოლოდ რუსეთის გასაღიზიანებლად და ამ უზარმაზარ ქვეყანასთან პროვოკაციების მოსაწყობად სჭირდება — ჩვენი ხელით სურთ ნარის გლეჯა.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S. ისე, საინტერესოა, ახლა რას იტყვიან ის პროამერიკელები, რომლებიც, ოღონდაც თავიანთი პატრონების ინტერესი დაეცვათ, ქართველებს ლამის თურქების მხარდამხარ რუსეთთან წინააღმდეგ ომისკენ რომ მოუწოდებდნენ, იმ თურქების, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში სტამბოლის ბაზარზე ქართველების მონებად გაყიდვითა და ქართველთათვის ტერიტორიების წაგლეჯით იყვნენ და არიან დაკავებულნი.**

**ახლა ვის მხარეს უნდა დადგნენ ქართველები, როცა თურქეთი დაჩოქილი სთხოვს პატიებას რუსეთს და ვის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ — რუსეთის, რომლის გაძლიერებამაც ევროკავშირის დაშლა და ერთპოლუსიანი მსოფლიოს აღსასრული გამოიწვია, თუ ჰომოსექსუალიზმის ჭირის გამავრცელებელი ამერიკის, რომელმაც, სადაც კი ფეხი დადგა, ყველგან სისხლის გუბეები დააყენა?!**

**საქართველოს მოსახლეობა გონს უნდა მოეგოს და ერთხელ და სამუდამოდ გააცნობიეროს, რომ, არათუ იმ ნატოსა და ევროკავშირში, რომლებსაც თავისი გასჭირვებიათ, არამედ დალხენილ ევროკავშირსა და ნატოშიც არავინ მიგვიღებდა და არც მომავალში მიგვიღებს, რადგან რუსეთის გაძლიერებით ისედაც ატკივებულ თავს კიდევ უფრო მეტად არავინ აიტკივებს. დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს, საქართველო მხოლოდ რუსეთის გასაღიზიანებლად და ამ უზარმაზარ ქვეყანასთან პროვოკაციების მოსაწყობად სჭირდება — ჩვენი ხელით სურთ ნარის გლეჯა**

**ძნელი სათქმელია, რა შეფასება უნდა მიეცეს მომხდარს, გარდა იმისა, რომ სააკაშვილმა და ლორთქიფანიძემ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაძვრენის მიზნით (სავარაუდოდ, უკრაინული კანონების დარღვევით) დაგეგმეს და განახორციელეს სახელმწიფოთაშორისი მასშტაბის დივერსია. ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში ამისთვის, დიდი ალბათობით, არა მხოლოდ თანამდებობას დაატოვებინებდნენ, არამედ ციხესაც ახეხინებდნენ, თუმცა თანამედროვე უკრაინას ამ მხრივ, სავარაუდოდ, სერიოზული პრობლემები აქვს.**

დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთხელ ოდესაში, ანუ «ლიკვიდაცია 2»

**მიხეილ სააკაშვილის ხელში ოდესა კრიმინალურ ჯოჯოხეთად გადაიქცა. უკრაინის გენერალური პროკურორის — იური ლუცენკოს თქმით, დანაშაულის რაოდენობის ასეთი მატება უკრაინის არც ერთ ოლქში არ აღინიშნება. საინტერესოა, რას უკავშირდება კრიმინალის ეს ამოფრქვევა, რომელმაც შეიძლება პოპულარული ტელესერიალი „ლიკვიდაცია“ გაგვახსენოს და რას გეგმავს ქართველი სამართალდამცავების მიერ ძებნილად გამოცხადებული სააკაშვილი.**

ოდესის ოლქის პროკურატურის მონაცემებით, 2016 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში რეგისტრირებულია 16 603 დანაშაული (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში — 11 303). განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევები 353-დან 717-მდე გაიზარდა, მძიმე დანაშაულის კი — 4379-დან 6295-მდე. ამ პერიოდში ოდესის ოლქში მოხდა 254 განზრახ მკვლელობა, მაშინ, როდესაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში — მხოლოდ 144. აღირიცხა 262 ყაჩაღური თავდასხმა, ძარცვის — 1171 და ქურდობის — 8082 ფაქტი (წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებია 85, 596 და 5385 შესაბამისად). პარალელურად შემცირდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი — 3314-დან 1535-მდე.

**სააკაშვილის გარემოცვის წარმომადგენლები უკრაინაში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ პროკურატურის ხელმძღვანელობა მათ მიზანმიმართულად ებრძვის, მაგრამ ამ შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემების უარყოფა ვერ გაბედეს. უკრაინის ეროვნული პოლიციის შეფი ხატია დეკანოიძე იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ პროკურატურის ინფორმაცია რეალობას შეესაბამება.** მან უკრაინულ „მეხუთე არხთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ დანაშაულის ზრდას სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებს, ესენია: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; იარაღის უკანონო ბრუნვა (ომიდან გამომდინარე) და ის, რომ მოქალაქეები უფრო ხშირად მიმართავენ პოლიციას და ამის გამო რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა იზრდება. ამ არგუმენტს ადრე საქართველოშიც იყენებდენ, მაგრამ **იმედია, დეკანოიძე იმის მტკიცებას არ დაიწყებს, რომ ოდესის ოლქში მკვლელობების მატება 144-დან 254-მდე განპირობებულია იმით, რომ ადრე მკვლელობის ათეულობით ფაქტი არ რეგისტრირდებოდა; ეს ფრიად აბსურდული იქნება.**

როდესაც დეკანოიძეს ჰკითხეს, როგორ შეაფასებს ის **გიორგი ლორთქიფანიძის** მუშაობას (ოდესის ოლქის პოლიციის უფროსი, საქართველოს შს მინისტრის ყოფილი მოადგილე), მან უპასუხა: „მთავარია, რომ ლორთქიფანიძე პატიოსანი ადამიანია“. ალბათ, იგულისხმებოდა, რომ ტელემაყურებელი ხატია დეკანოიძეს სიტყვაზე უნდა ენდოს, მაგრამ **რიგით ოდესელებს, სავარაუდოდ, ის კი არ აინტერესებს, როგორი ადამიანია პოლიციის უფროსი ან გუბერნატორი, არამედ ის, რატომ არის მათ ქალაქში უმძიმესი კრიმინალური მდგომარეობა, რომელიც იქ უფრო სწრაფად უარესდება, ვიდრე სხვაგან. ისე, საინტერესო კია, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს პატიოსან ადამიანად ის, ვინც დაკისრებულ მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებს, მაგრამ თანამდებობას მაინც არ ტოვებს.**

ეს შესავალი, ალბათ, აუცილებელი იყო იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ, რა მოხდა უკრაინიდან **დავით გერლიანის** ე.წ. დეპორტაციის გამო და რატომ მოუწია შს მინისტრ **გიორგი მღებრიშვილს** ამ თემაზე ბრიფინგის გამართვა. სააკაშვილი და ლორთქიფანიძე, სავარაუდოდ, ეძებდნენ გამოსავალს და ცდილობდნენ, როგორმე სხვა რამეზე გადაეტანათ უკრაინელი საზოგადოების ყურადღება იმ კოშმარული სტატისტიკისგან, რომელიც პროკურატურამ გამოაქვეყნა. პარალელურად, როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, ისინი შეეცადნენ, ივანიშვილის ხელისუფლებისთვის დაერტყათ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დავით გერლიანის ადვოკატმა **თამარ აბესაძემ** განუცხადა, „დავით გერლიანი 2006 წელს'ქურდული სამყაროს'' წევრობის ბრალდებით დააკავეს, 2013 წელს გათავისუფლდა პატიმრობიდან, რის შემდეგაც საქართველო დატოვა და საცხოვრებლად უკრაინაში გაემგზავრა. მას აქვს უკრაინის მოქალაქეობა. როგორც გერლიანი აცხადებს, უკრაინაში ერთ-ერთ რესტორანში მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც პოლიცია შევარდა და ყველა დააკავა. ამ დაკავების ოპერაციას ქართველი მაღალჩინოსანი ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით, გერლიანის გარდა, ყველანი გაათავისუფლეს, ის დააკავეს და უთხრეს, რომ ყალბი პასპორტი ჰქონდა. ჩასვეს თვითმფრინავში და გამოუშვეს საქართველოში. როდესაც თბილისის აეროპორტში ჩამოვიდა, იქ „რუსთავი 2“- ის გადამღები ჯგუფი დახვდა“.

ადვოკატის განმარტებით, მისი დასაცავი დეპორტირებულიც არ არის, რადგან დეპორტაციისთვის საჭირო პროცედურები არ ჩატარებულა. ადვოკატის თქმით, **გერლიანი აცხადებს, რომ სცენარი დადგა მიხეილ სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“'„რუსთავი 2“-ის დახმარებით, თითქოს საქართველოში კანონიერი ქურდები ბრუნდებიან** („ინტერპრესნიუსი“).

უკრაინის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დეპორტაციას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. მას შემდეგ, რაც ლორთქიფანიძემ „ფეისბუქში“ გერლიანის „დეპორტაცია“ ახსენა, უკრაინულმა მედიამ მას კანონმდებლობის უცოდინარობის გამო დასცინა. „ეტყობა პირადი სისხლის სამართლის კოდექსი აჩუქეს“, — წერდა ინტერნეტგამოცემა „ხრაბრო“. ციტატა „ხრაბროს“ სხვა პუბლიკაციიდან იმაზე, თუ რა მოხდა მას შემდეგ, რაც ცხადი შეიქნა, რომ ტერმინი „დეპორტაცია“ უადგილოა, **„ლორთქიფანიძის „პიარშიკებმა“ მყისვე შეცვალეს პოზიცია და იმის მტკიცება დაიწყეს, რომ კანონიერი ქურდი უკრაინიდან „გააძევეს“ ან ძცევის წესების, ან ქვეყანაში შესვლის წესების დარღვევის გამო. ესეც სიცრუეა. გაძევება მხოლოდ უკრაინის უშიშროების სამსახურს შეუძლია და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მაშინ მათ თქვეს, რომ პოლიციამ ქურდი სასაზღვრო ზონაში მიიყვანა, საიდანაც ის კანონიერად გააძევეს მესაზღვრეებმა, მაგრამ პოლიცია არ შეიძლება იმყოფებოდეს სასაზღვრო კონტროლის ზონაში, ხოლო გაძევების პროცედურა მხოლოდ უკრაინაში შემოსვლის ეტაპზე გამოიყენება“** და ა.შ.

შემდეგ იყო შინაგან საქმეთა მინისტრ **გიორგი მღებრიშვილის** კომენტარი: „გაჩნდა კითხვა: რატომ ვერ მოხერხდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობა — შეთანხმების საფუძველზე, ქართული მხარისთვის წინასწარ ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული პიროვნებისა და მისი უკრაინიდან, კერძოდ, ქალაქ ოდესიდან შესაძლო დეპორტაციის შესახებ; მით უფრო, თუკი უკრაინულ მხარეს ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პირი, შესაძლოა, ყოფილიყო დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი, ე.წ. კანონიერი ქურდი, რომლისგანაც მოსალოდნელი იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა? გამოძიების ფარგლებში, ჩვენ უკვე ოფიციალური წერილით მივმართეთ უკრაინელ კოლეგებს და ვთხოვეთ განმარტება. კერძოდ, იყო თუ არა აღნიშნული პირის უკრაინული პასპორტი ავთენტური და, თუ არა, რატომ არ მოხდა მისთვის აღნიშნული პასპორტის ჩამორთმევა?“

ძნელი სათქმელია, რა შეფასება უნდა მიეცეს მომხდარს, გარდა იმისა, რომ **სააკაშვილმა და ლორთქიფანიძემ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაძვრენის მიზნით (სავარაუდოდ, უკრაინული კანონების დარღვევით) დაგეგმეს და განახორციელეს სახელმწიფოთაშორისი მასშტაბის დივერსია. ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში ამისთვის, დიდი ალბათობით, არა მხოლოდ თანამდებობას დაატოვებინებდნენ, არამედ ციხესაც ახეხინებდნენ, თუმცა თანამედროვე უკრაინას ამ მხრივ, სავარაუდოდ, სერიოზული პრობლემები აქვს.**

იმის გათვალისწინებით, რომ ეს ადამიანები ყველაფერზე არიან წამსვლელები, **გვაქვს კი იმის გარანტია, რომ მალე ოდესიდან საქართველოში „ბოევიკების“ გადმოსროლა არ დაიწყება?** 29 ივნისიდან ოდესიდან ბათუმში დამატებითი რეისი იფრენს. რაც უფრო ბევრია მგზავრი, მით მეტია შანსი, რომ ბოევიკები უპრობლემოდ შეაღწევენ ქალაქში, რომელიც, ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს იმ დასახლებული პუნქტების სიაში, რომლებშიც სააკაშვილი არეულობის მოწყობას შეეცდება. ვინ შეიძლება იყვნენ ეს „ბოევიკები“, სააკაშვილის ახლოს მყოფი დაბალი რანგის ქართველი ძალოვანების გარდა?

ყურადღება, უპირველესად, ალბათ, ე.წ. მოხალისეთა ბატალიონების წევრებს უნდა მივაქციოთ, რომლებიც 17 ივნისს კიდევ ერთ ხმაურიან პროვოკაციაში, სავარაუდოდ, სწორედ სააკაშვილმა გამოიყენაა. იმ დღეს ოდესის საოლქო საბჭოს უნდა მოესმინა გუბერნატორის ანგარიში ოლქის განვითარების პროგრამის შესრულების თაობაზე და სამომავლო ღონისძიებების გეგმა დაემტკიცებინა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ **დეპუტატები სააკაშვილის ანგარიშს არ დაამტკიცებდნენ, რადგან მათი დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გუბერნატორს, პიარის გარდა, არაფერი აინტერესებს და მისი მმართველობის პერიოდში სიტუაცია გაუარესდა. ამის შემდეგ სააკაშვილმა, როგორც ჩანს, დეპუტატების დაშინება გადაწყვიტა.** სხდომათა დარბაზში შეიჭრნენ ადამიანები, რომლებიც თავს მოხალისეთა ბატალიონების წარმომადგენლებს უწოდებდნენ და მოითხოვდნენ, მათთვის ომის ვეტერანების სტატუსი მიენიჭებინათ. სამართალდამცავებმა მათ ხელი ვერ (ან არ) შეუშალეს. სააკაშვილმა კი ტრიბუნიდან მათ მოთხოვნებს მხარი დაუჭირა. აგრესიული ფორმიანებით გარშემორტყმული დეპუტატები იძულებულნი შეიქნენ, მათთვის სასურველი გადაწყვეტილება მიეღოთ. **უკრაინელი კომენტატორების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პროვოკაცია სააკაშვილმა დაგეგმა და, ალბათ, ამის გამო მოგვიანებით მანვე გადაწყვიტა, საჯაროდ მოეწოდებინა ლორთქიფანიძისთვის, მომხდარი გამოეძიებინა. რაც მთავარია, მას შემდეგ, რაც დეპუტატები გონს მოეგნენ, მათ სააკაშვილის ანგარიში (და არც გეგმა) მაინც არ დაამტკიცეს.**

დღეს უკრაინა, მათ შორის, ოდესა, სავსეა დეკლასირებული ელემენტებით, რომლებმაც, სროლისა და არეულობის მოწყობის გარდა, არაფერი იციან და „ერთი მუჭა დოლარებისთვის“, ალბათ, მზად იქნებიან, არათუ საქართველოში, არამედ სომალიშიც გაემგზავრონ. რა მორალური ბარიერი შეუშლის ხელს სააკაშვილსა და მის ჯგუფს, ეს რესურსი არ გამოიყენოს? ან კიდევ გამოიყვანონ მომხრეები რუსთაველზე, შემდეგ კი (ძველი ტექნოლოგიაა) ე.წ. ,უცნობ სნაიპერებს დაახვრეტინონ ან სხვა დანაშაულებრივ ხერხს მიმართონ.

**ბოლო პერიოდში გაჩნდა იმის ნიშნები, რომ ფონდი „ოდესის საკეთილდღეოდ“ საქმიანობის გამოძიება შეიძლება სააკაშვილისთვის ფრიად არასასურველი შედეგით დასრულდეს და ის კორუფციაში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და „ატკატების“ სისტემის დანერგვაში დაადანაშაულონ. არც ის არის გამორიცხული, რომ ამის გამო უკრაინიდან გაქცევა ისეთივე სისწრაფით მოუხდეს, როგორც 2013-ში — საქართველოდან.** შესაძლოა, მძიმე ეჭვებიდან და მოლოდინებიდან გამომდინარე, მის წარმოსახვაში გაჩნდა საქართველოში გადატრიალების მოწყობისა და თბილისში დაბრუნების გეგმა. მართალია, რეალობასთან ამ გეგმას, სავარაუდოდ, ისეთივე კავშირი აქვს, როგორ ადოლფ ჰიტლერის 1945 წლის ილუზიებს, მაგრამ ყველაზე მანიაკურმა იდეამაც კი შეიძლება ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. აქედან გამომდინარე, თითოეულ ჩვენგანს ახლო მომავალში, ალბათ, მაქსიმალური სიფხიზლის გამოვლენა დასჭირდება, სანამ ხსენებული საფრთხე ლიკვიდირებული არ იქნება.



სააკაშვილი და ლორთქიფანიძე

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთშია მიწვეული, ის აუცილებლად უნდა წავიდეს იქ. მესმის, რომ გადაწყვეტილებას სხვები იღებენ, მაგრამ ახლა კუდაბზიკობის დრო არ არის. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ზაფხულს იმას მაინც უნდა მიაღწიოს, რომ რუსეთთან უვიზო მიმოსვლა აღადგინოს. შემოდგომა წინაა, მოსავალი გასატანია, რუსეთთან უვიზო მიმოსვლა ქართულ ეკონომიკას სულზე მოუსწრებს“.**

# ევროკავშირი იშლება, თურქეთმა ბოდიში მოუხადა რუსეთს, რა გზას დაადგება საქართველოს ხელისუფლება?

**ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა-დარჩენის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება ჯერ კიდევ 2015 წელს დაიგეგმა და, აი, 2016 წლის 23 ივნისს ნისლიანი ალბიონის მოსახლეობამ ევროკავშირის რიგებიდან გამოსვლა გადაწყვიტა. ამის შემდეგ მსოფლიო ალაპარაკდა, რომ ევროკავშირი „დომინოს“ პრინციპით დაიშლება.**

არადა, 2012-13 წლებში გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუებში პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** ევროკავშირში საქართველოს შესვლის უპერსპექტივობაზე ვრცლად და დასაბუთებულად ისაუბრა, მეტიც — მან ამ სტრუქტურის დაშლის სავარაუდო თარიღიც კი დაასახელა: **„ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა ეფემერული არ არის, იგი, უბრალოდ, არ არსებობს. ჯერ ერთი, ევროკავშირმა დაასრულა გაფართოების პროცესი და ახალ წევრებს აღარ მიიღებს; მეორე — წამყვანი ევროპული ქვეყნები არ მიიჩნევენ საქართველოს ევროპის ნაწილად; მესამე — ევროკავშირი რომც ფართოვდებოდეს, მასში სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს გაწევრიანება მხოლოდ თურქეთის გაწევრიანების შემდეგ იქნება შესაძლებელი. თურქეთი, მოგეხსენებათ, უკვე წლებია, დაჟინებით ითხოვს ევროკავშირში მიღებას და, რამდენჯერაც უნდა მოითხოვოს, მას იქ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ; და მეოთხე — ევროკავშირი თავად არის დაშლის ზღვარზე და უახლოესი 5-7 წლის მანძილზე ჩვენ მისი დაშლის უშუალო მოწმეები გავხდებით“.**

ქართული ანდაზაა ასეთი: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“. მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა დაშლა დაიწყო და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ერთ-ერთ ევროპულ პოლიტიკურ თოქშოუში განაცხადა, რომ ნატო ქედს უხრის რუსეთს და უარს ამბობს საქართველოს მიღებაზე, სანამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს. არადა, ამ ვითარებაზე ჩვენს გაზეთთან საუბარში **ალექსანდრე ჭაჭიამ** ჯერ კიდევ 2012 წელს გაამახვილა ყურადღება: **„საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს. აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებულია ქართველ საზოგადოებაში“.**

**დასამალი არ არის ისიც, რომ ნატოში გაწევრიანება, დიდი ხანია, იქცა ფარსად, კომედიის ელემენტებით, უფრო მეტიც, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა აბუჩად იგდებდა საქართველოს, აქეზებდა მას რუსეთის წინააღმდეგ, ამუნათებდა — აქაოდა ნატოს კარი ღიააო, მაგრამ ეს „ღია კარი“ დღესაც ცხრაკლიტულით არის დაგმანული, ხოლო ილუზიებსა და ფარსს უკვე შეეწირა საქართველოს ტერიტორიები და ჩვენ თვალწინ ეწირება საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვეწირებით ქართველები, როგორც ერი. სწორედ ამიტომ აღნიშნა ალექსანდრე ჭაჭიამ 2013 წელს ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში რომ „პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს“**

ისე, რომ დავაკვირდეთ, ნატოს ხელმძღვანელობა კონსპირაციით თავს არ იკლავდა და არც არასოდეს ცდილობდა, დაემალა, რომ საქართველოს გამო გამონაკლისს არ დაუშვებდა — არ დაარღვევდა თავისი წესდების მე-5 პარაგრაფს, სანამ საქართველო თავის ტერიტორიულ პრობლემებს არ გადაწყვეტდა, ანუ არ აღიარებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, რადგან სხვანაირად — რუსეთთან ომით — მათი დაბრუნება არ შეუძლია. მაგრამ, **სამწუხაროდ, ამის საწინააღმდეგოს წლების განმავლობაში ჯიუტად გვიმტკიცებდა ქართული პოლიტიკური ელიტის უდიდესი ნაწილი, რომელიც, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას თუ დავესესხებით, ან ბრიყვია, ან უნამუსო მატყუარა, რადგანაც იმის უტიფრად მტკიცება, რომ ჩვენ ნატოში შევალთ და „იბერია გაბრწყინდება“, შეუძლია მხოლოდ ბრიყვს ან ადამიანს, რომელსაც უკვე აღებული აქვს 30 ვერცხლი და ჯამაგირი ავალდებულებს, სიცრუე და ბლეფი სიმართლედ და რეალობად გაასაღოს.**



ფაქტია: ჩვენ თვალწინ იქმნება ახალი პოლიტიკური წესრიგი. ერთპოლუსიანი მსოფლიო, რომელშიც ჩვენი კურატორი ამერიკა ერთპიროვნულად წყვეტდა ერებისა და სახელმწიფოების ბედს, აღარ არსებობს. ამის დასტურია თუნდაც ჩვენს რეგიონში აშშ-ის უახლოესი პარტნიორის, ნატოს წევრი თურქეთის, პრეზიდენტის მიერ რუსეთისთვის ბოდიშის მოხდა ჩამოგდებული თვითმფრინავის გამო. როგორც ცნობილია, აქამდე ერდოღანი ბოდიშის მოხდაზე კატეგორიულ უარს ამბობდა, მაგრამ, როგორც კი ევროკავშირის დაშლის პროცესი დაიწყო, მეორე დღესვე მოსკოვს თურქეთის პრეზიდენტის საბოდიშო წერილი აახლეს. თურქეთის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ახალ პოლიტიკურ რეალიებს. საინტერესოა, რა გზას დაადგება საქართველოს ხელისუფლება — კვლავ განაგრძობს ბრიყვივით „ნატო-ევროკავშირის“ ლუღლუღს თუ გამოფხიზლდება და ახალი რეალიების შესაბამისად დაიწყებს მოქმედებას.

**ამ საკითხებზე ქართველი პოლიტოლოგები გვესაუბრებიან.**

## «დღეს ევროკავშირში გაერთიანებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან მისი ბედი გაურკვეველია»

**თამარ კიკნაძე**, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი:

**— ქალბატონო თამარ, ევროკავშირის დაშლის ალბათობა ძალიან დიდი იყო, ამაზე ჯერ კიდევ 2012 წელს პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა. კარგა ხანია, ყველა „მოაზროვნე“ პოლიტოლოგიც ამაზე ლაპარაკობს... რა სჭირს საქართველოს ხელისუფლებას?**

— ალექსანდრე ჭაჭიას პროგნოზები ხშირად მართლდება. კვალიფიციურმა, პატიოსანმა პოლიტოლოგებმა, რომლებიც სწავლობენ ევროპაში მიმდინარე პროცესებს, იცოდნენ, რომ ევროპაში საქმე ცუდად იყო, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ელიტა ამ ყველაფერს არასწორად აწვდიდა მოსახლეობას. ხელისუფლების შიგნით რა ხდება? მართლა სჯეროდათ, რასაც ამბობდნენ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში არსებული თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება არასწორ ინფორმაციას აწვდის ხალხს, რადგან საინფორმაციო საშუალებები ჩვენი პოლიტიკოსების თვალსაზრისს გამოხატავენ. ხელისუფლება მასმედიით მანიპულირებს. ეს ცუდი პროცესია, რადგან ხელისუფლება რეალობას აცდენილია. თუ ხელისუფლება თვალსაზრისს არ შეიცვლის და ხალხის ნება-სურვილს არ გაითვალისწინებს, მისი ლეგიტიმაციის საკითხი ეჭვქვეშ დადგება.

**— ევროკავშირის დაშლის დაწყებამ ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები ძალიან დააბნია. ანალოგიური რამის თქმა შეიძლება ქართველ პოლიტიკოსებზეც. ადეკვატურია შეფასებები, რომლებიც ახლა ყველა ქვეყნიდან ისმის? დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება შეფასდა, როგორც „დიდი საფრთხე“.**

— ევროკავშირი რეალური საფრთხის წინაშეა, ეს პროცესი არ შეჩერდება, დომინოს პრინციპით წავა. ბევრმა ქვეყანამ უკვე დაიწყო ხელმოწერების შეგროვება ბრიტანეთის ანალოგიური გადაწყვეტილების მისაღებად. ევროკავშირი გადაიქცა დიდ ბიუროკრატიულ მექანიზმად, რომელშიც გადაწყვეტილებების მიღება ევროპარლამენტის დეპუტატებს აღარ შეუძლიათ. მათ აძლევენ დირექტივებს, რომლებიც უნდა შესრულდეს.

ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ მაინც უნდა შევიდნენ ევროკავშირში და რომ, შესაძლოა, პროცესები დაჩქარდეს, არასერიოზულნი არიან. დღეს ევროკავშირში გაერთიანებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან მისი ბედი გაურკვეველია. არ მესმის ქართველი პოლიტიკოსების. ვფიქრობ, ასეთ დროს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იაზროვნოს ერმაც და ბერმაც, განსაკუთრებით კი — პოლიტიკაში მყოფმა ადამიანებმა. რეალობას მოკლებული განცხადებების მოსმენით ხალხი დაიღალა. საქართველოს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს, არ შეიძლება მიაკვდე ერთ ვექტორს, სხვა მხარესაც უნდა გაიხედო.

**— თურქეთის პრემიერმა რუსეთს თვითმფრინავის ჩამოგდების გამო მოუბოდიშა. როგორ ახსნით ამ ფაქტს?**

— თურქეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ბევრი რამ დაკარგა, რადგან რუსეთი მისი მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო.

თურქეთს რუსული თვითმფინავი, არ მგონია, პირადი მოსაზრებით ჩამოეგდო, მის ზურგს უკან ვილაც იდგა, თურქები შეაცდინეს. დღეს თურქეთი მართლაც მძიმე ვითარებაშია, რადგან ურთიერთობა გართულებული აქვს ბევრ ქვეყანასთან. მის გარშემო რთული პროცესები მიმდინარეობს — დიდი სახელმწიფოები იშლება, ახალი სახელმწიფოები იქმნება, შესაძლოა, თურქეთის ტერიტორიაზე ქურთების სახელმწიფო შეიქმნას, ამიტომ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება ერდოღანის დიდი შეცდომა იყო. ჩანს, ეს გააანალიზა.

**— მსგავს ვითარება-** ►


2 | ექსკლუზივი
www.geworld.net
ალექსანდრე ჭაჭია: **არ მოველოდი, რომ ივანიშვილის «ქართული ოცნება» ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ «ქართულ ფანტაზიად»**

**«პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს»**

**«პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს»**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ მაინც უნდა შევიდნენ ევროკავშირში და რომ, შესაძლოა, პროცესები დაჩქარდეს, არასერიოზულები არიან. ვფიქრობ, ასეთ დროს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იაზროვნოს ერმაც და ბერმაც, განსაკუთრებით კი — პოლიტიკაში მყოფმა ადამიანებმა“.**

**◀ში, როდესაც ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც თურქეთია, ბოდიშს უხდის რუსეთს, სწორია საქართველოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ?**

— ქართული პოლიტიკა თავიდან ბოლომდე შეცდომაა. ვალდებულება, რომელიც საქართველომ დაიკისრა, შეცდომა იყო, ვგულისხმობ, რუსეთის გაღიზიანების პოლიტიკას. საქართველოს კონსტრუქციული როლი უნდა ეთამაშა, თუმცა ამ შეცდომის გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

## «არც ევროკავშირში მიგვიღებენ და არც ნატოში, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს მიღების თემა უნდა დაიხუროს»

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

**— რატომ ვერ მიხვდნენ ქართველი პოლიტიკოსები, რომ ევროკავშირი დაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა?**

— ქართველი პოლიტიკოსები როდესმე რამეს მიმხვდარან? რამის პრევენცია მოუხდენიათ? ომის საშიშროების წინაშე რომ ვიდექით 2008 წელს, გაიგეს? ან დღეს რაიმე საფრთხეს გრძნობენ? ვერ ვხვდები, რატომ გიკვირთ ჩვენი პოლიტიკოსების დაბნეულობა?!

**— რატომ ხდება ასე, ინფორმაციულ ვაკუუმში არიან?**

— არა, ყველაფერი ძალიან კარგად იციან, მაგრამ დღევანდელი დღით ცხოვრობენ. მოუსმინეთ პრემიერ კვირიკაშვილის განცხადებებს, უფრო ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანი მსოფლიოში არ მოიძებნება. ეს კი იმან გამოიწვია, რომ ჩვენი მთავრობის წევრები რეალობას მოწყვეტილნი არიან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ ასე მოქცევას თანამდებობა ავალდებულებს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ისინი სიმართლეს თვალებში ჩახედავენ და ხალხს ყველაფერს ეტყვიან. თუ ხალხმა ყველაფერი შეიტყო, სახელისუფლო პარტიას ხმას ვინ მისცემს?!

**— საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი იმედგაცრუებულია, — 2008 წლის შემდეგ ნათლად ითქვა, საქართველო ნატოში გაწევრდებოდა, მაგრამ ნატო რუსეთს ქედს უხრისო და...**

— ვინ უთხრა 2008-ში ხიდაშელს, რომ ნატოში შევიდოდით? არავის უთქვამს. ხელისუფლება ტყუოდა მაშინაც და ტყუის დღესაც. ყველა ხელისუფლების პრინციპია — დღეს ვიტყვი ტყუილს და ხვალ სხვა ხელისუფლებამ, რაც უნდა, ის ქნას. სულელი არავინ არის, მათ ყველაფერი მშვენივრად იციან, მაგრამ საქმეს ასე სჭირდება.

არც ევროკავშირში მიგვიღებენ და არც — ნატოში, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს მიღების თემა უნდა დაიხუროს. ყველას რაღაც ეშველება, ჩვენ კი, არ ვიცი, რა ბედი გველის. ევროპაც გადარჩება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბედი აქამდე გაურკვეველია. მსოფლიოში დიდი ცვლილებებია...

თურქეთის პრემიერმა რუსეთს ბოდიში მოუხადა თვითმფრინავის ჩამოდგებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი გასათვალისწინებელი ძალაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ევროპაში ამხელა რყევებია. ყველაფერთან ერთად თურქეთი უკმაყოფილოცაა, რადგან, რასაც დაჰპირდნენ, არაფერი გაუკეთეს. იქ ეკონომიკური კრიზისიც დაიწყო...

**— როდესაც თურქეთი ამხელა მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთს, რა უნდა ქნას საქართველომ?**

— თუ თურქეთი რუსეთის ფაქტორს ითვალისწინებს, საქართველომ ეს ორმაგად უნდა გააკეთოს. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთშია მიწვეული, ის აუცილებლად უნდა წავიდეს იქ. მესმის, რომ გადაწყვეტილებას სხვები იღებენ, მაგრამ ახლა კუდაბზიკობის დრო არ არის. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ზაფხულს იმას მაინც უნდა მიაღწიოს, რომ რუსეთთან უვიზო მიმოსვლა აღადგინოს. შემოდგომა წინაა, მოსავალი გასატანია, რუსეთთან უვიზო მიმოსვლა ქართულ ეკონომიკას სულზე მოუსწრებს.

**— უნდა შეცვალოს თუ არა ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკური ვექტორი?**

— ვექტორის შეცვლას ძლიერი მთავრობა სჭირდება, ძლიერი პოლიტიკური ნებითა და ნებისყოფით, ჩვენ კი სუსტი მთავრობა გვყავს.

ჩვენ ვერ ვიქეცით ევროპელებად. ხომ ხედავთ, თვითონვე ამბობენ, საარჩევნო კანონმდებლობა გერმანულ მოდელზე იმიტომ ვერ გადაგვყავს, მზად არ ვართო. მაშ, რა პრეტენზია გვაქვს ევროპელობაზე, როგორ გავხდებით ევროპის შემადგენელი ნაწილი?!

# ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს». მაისი, 2012 წელი

**„ევროკავშირს, მხოლოდ „ძველ ევროპას“ რომ მოიცავდეს, შეეძლო საკმაოდ დიდხანს — კიდევ 20 წელი ეარსება და ეკონომიკურად განვითარებულიყო, მაგრამ ამერიკელებმა დაჟინებით მოითხოვეს ევროკავშირის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეყვანა, რათა ისინი რუსეთისთვის მოეწყვიტათ და ამავე დროს, ევროკავშირი დაესუსტებინათ, ამან კი საერთო ვითარება ძირეულად შეცვალა. დღეს კავშირის წამყვან წევრებს — გერმანიას, საფრანგეთს, ინგლისს ამ ქვეყნების სუსტი ეკონომიკის მხარდაჭერა საკუთარი რესურსების ხარჯზე უწევთ. ის სახსრები, რომლებიც ტრადიციული, მაგრამ შედარებით ღარიბი ევროპული ქვეყნების (ესენია იტალია, საბერძნეთი ესპანეთი და სხვ.) ეკონომიკის მხარდასაჭერად იხარჯებოდა, ახლა კავშირის ათეულობით ახალ წევრ ქვეყანაზე იფანტება. რამდენ ხანს შეიძლება ასე გაგრძელდეს? გერმანელებს მობეზრდათ ევროპელი მუქთახორებისთვის მეწველი ძროხის როლში ყოფნა. ეკონომიკის არათანაბარი განვითარება შეუძლებელს ხდის ამ ქვეყნების თანაარსებობას საერთო სამართლებრივი სივრცის ჩარჩოებში. საბერძნეთის გაკოტრება მხოლოდ დასაწყისია. პორტუგალია, ირლანდია, ესპანეთი რიგში დგანან, ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს იტალიას. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო ვალიც ყველა დასაშვებ ზღვარს აღემატება. საერთოდ, დროა, ვაღიაროთ, რომ ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბოლო 50 წლის განმავლობაში ვითარდება, საკუთარი თავი ამოწურა, ევროპის ქვეყნები ჩიხში შეიყვანა. ადრე თუ გვიან ევროპელებსა და ამერიკელ**




**ებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ვალებში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, საჭიროა მოხმარების მკვეთრი შემცირება, მეტი მუშაობა და რეალურად გამომუშავებული ფულის შესაბამისად ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას „ბერძნული ვარიანტი“ ელის. და მაშინ ევროპის ეროვნული ეკონომიკებისა და ევროკავშირის კრახი მოხდება...**

**კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უპერსპექტივოს ხდის ევროკავშირის არსებობას, ხალხთა ეროვნული თვითშეგნებაა. მიუხედავად ამერიკელების წარმოდგენისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ საერთო ეკონომიკური სივრცე თანდათან წაშლიდა ეროვნულ განსხვავებებს და ერები გადაიქცეოდნენ ერთიან უეროვნებო მასად, ევროპის ხალხების დიდ ნაწილს ეროვნული თვითშეგნება ეზრდება, ეროვნული თვითგადარჩენის ინსტინქტი ილვიძებს. ერთიანი ევროპის კონსტიტუცია, მიუხედავად კოლოსალური აგიტაციურ-პროპაგანდისტული მუშაობისა, მაინც ვერ მიიღეს. ევროკავშირი თანამედროვე მსოფლიოში ვერ გახდა და უკვე ვეღარ გახდება ერთიანი გეოპოლიტიკური სუბიექტი. რას წარმოადგენენ ევროკავშირის ოფიციალური ხელმძღვანელები, ვინ უწევს მათ მსოფლიოში ანგარიშს? ვინ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ბაროზუს, ვინ აღიქვამს ეშტონს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრად? ეს სასაცილო, კარიკატურული ფიგურებია, რომლებიც იმას ასრულებენ, რაზეც გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჯერჯერობით ისევ) აშშ-ის თანამონაწილეობით მოილაპარაკებენ.**

**ევროპის ერები ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ, მეტიც, აშშ-ისა და ზოგადევროპული სტრუქტურების მხრიდან განხორციელებულმა ზეწოლამ უკურეაქცია — ნაციონალიზმის ზრდა გამოიწვია. დღეს სულ უფრო მეტი გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი ითხოვს მიგრაციის შეზღუდვას, და არამხოლოდ აფრო-აზიური, არამედ აღმოსავლეთ ევროპულისაც. მოითხოვენ ეროვნული ვალუტის დაბრუნებას, ევროპის შიგნით საბაჟოების აღდგენას, ეროვნული ბაზრების დაცვას, ეროვნული საქონლისა და ადგილობრივი მუშახელის მიმართ სახელმწიფო პროტექციონიზმს. მეტიც — ევროპული ქვეყნების შიგნითაც ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები: იტალია ჩრდილოეთად და სამხრეთად გახლეჩის ზღვარზე დგას, ესპანეთსა და ინგლისში რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფის საშიშროებაა. პატარა ბელგიაც კი — თავის დროზე ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო, სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა და ყოველ წუთს დაშლა ემუქრება, ბრიუსელი კი ამ დროს ევროკავშირის დედაქალაქია.**

**თუ ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელობა, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას საკუთარი ერების მზარდ უკმაყოფილებას, არ დააბრუნებენ თავიანთი ქვეყნების განვითარებას ეროვნულ კალაპოტში, მაშინ შედეგი უფრო სერიოზული იქნება, ვიდრე, უბრალოდ, ევროკავშირის დაშლაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა ფაშიზმის სამშობლოა. ფაშისტური და ნახევრადფაშისტური რეჟიმები გასული საუკუნის 30-იან წლებში თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში იყო, სრულიად ევროპა დაავადდა ფაშიზმით. და დღეს დაუკმაყოფილებელი ეროვნული მოთხოვნები შეიძლება რეალურ ფაშისტურ განწყობილებებში გადაიზარდოს...“**

## «იძულებულნი ვართ, გავითვალისწინოთ რეალური პოლიტიკური ტენდენციები, რომლებსაც თვით ევროპის ძლიერი სახელმწიფოები უწევენ ანგარიშს»

**სიმონ კილაძე, ანალიტიკოსი:**

**— ევროკავშირის დაშლას თითქმის ყველა, ასე ვთქვათ, მოაზროვნე პოლიტოლოგი პროგნოზირებდა. საქართველოს ხელისუფალთ კი ჯიუტად არ სურთ ამ გზიდან გადახვევა. როგორ ფიქრობთ, ეს ინფორმაციის არქონის გამო ხდება?**

— საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოქმნასა და მათ დაშლაში გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია. დაშლა-გაქრობის პრობლემები მსოფლიოს უპირველეს უნივერსალურ ორგანიზაციებსაც აქვთ ხოლმე და, ამ მხრივ, გამონკლისი არც ევროკავშირია.

სხვა საქმეა, რამდენად მტკიცეა ინტეგრაციის დონე, რომლის საფუძველზეც ამა თუ იმ ორგანიზაციას კრიზისის გადატანა შეუძლია. „ნისლიანი ალბიონი“ თავიდანვე დისტანცირებდა ევროპის კონტინენტური ნაწილისგან — ბრიტანეთი არ შედის შენგენის ზონაში, არ შედის არც საერთო სავალუტო არეალში, ანუ ევროზონაში. დიდი ბრიტანეთის პოლიტიკაში ასეთი ე. წ. ცენტრიდანული სეპარატიზმი თანდათან ძლიერდებოდა (გავიხსენოთ ლონდონის მწვავე კრიტიკა ბრიუსელის ზოგიერთი ნაბიჯისადმი, წინააღმდეგობა ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკის მიმართ) და მან პიკს 23 ივნისს მიაღწია, როცა რეფერენდუმი ჩატარდა ევროკავშირიდან გასვლა-არგასვლის თაობაზე.

თუმცა დიდი ბრიტანეთის გასვლა არ ნიშნავს ევროკავშირის დასასრულის დასაწყისს. როგორც ვთქვი, ორგანიზაციის კონტინენტური წევრები მაინცდამაინც არ ჩქარობენ, ოფიციალურად მიბაძონ „ნისლიან ალბიონს“.

პარიზი, ბერლინი, მადრიდი, რომი, ალბათ, გარკვეულ დასკვნას გააკეთებენ მომხდარიდან.

**— თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა რუსეთს თვითმფრინავის ჩამოგდებისთვის ბოდიში მოუხადა. ნიშნავს თუ არა ეს ფაქტი იმას, რომ რუსეთი მსოფლიოში გასათვალისწინებელ ძალად იქცა და რომ მსოფლიო ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე დგას?**

— ერდოღანს უკან დახევა და დათმობა საერთოდ არ სჩვევია. ექსპერტთა აზრით, ერდოღანმა იმიტომ დათმო, რომ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, რადგან მრავალ პარტნიორთან და მეზობელთან გაიფუჭა ურთიერთობა. მათგან ერთ-ერთია გერმანია, რომელმაც სომხების გენოციდი აღიარა. გერმანია, ასევე, წინააღმდეგი იყო თურქეთთან უვიზო მიმოსვლისა. ასე რომ, თურქეთს გამოსავალი არ დარჩა, მას ეკონომიკურადაც გაუჭირდა და საჭიროდ ჩათვალა, რუსეთისთვის ბოდიში მოეხადა. მართალია, რუსეთი გასათვალისწინებელი ძალაა.

**— და, თუ თურქეთისთვის არის რუსეთი გასათვალისწინებელი ძალა, როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება?**

— ქართულ დიპლომატიას მეტი ყურადღება და შორსმჭვრეტელობა მართებს. თურქეთის მობოდიშებას მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, მზერა რუსეთისკენ უნდა მივაპყროთ. ბარიერები არსებობს, მაგრამ ყველაფერზე უარის თქმა არ შეიძლება. ახლა იმაზე საუბრობენ ქართველი პოლიტიკოსები, რომ საქართველოს საგარეო მინისტრი სოჭში არ უნდა წავიდეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმზეო. არადა, რუსეთმა ქართველი მინისტრი ოფიციალურად მიიწვია. ვფიქრობ, ასეთი შანსი ხელიდან გასაშვები არ არის, თუ გვსურს, მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის აღდგენა, მაშინ ყველა გზა უნდა გამოვიყენოთ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**ალექსანდრე ჭაჭია (2013 წ.):**

# ევროკავშირი თავად არის დაშლის ზღვარზე და უახლოესი 5–7 წლის მანძილზე ჩვენ მისი დაშლის უშუალო მოწმეები გავხდებით

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს, როცა თვითონ წამყვანი ევროპული ქვეყნები ემიჯნებიან ევროკავშირს, ჩვენც მაინცდამაინც თავი არ უნდა გავიგიჟოთ და ევროკავშირის წევრობის გამო რადიკალური ნაბიჯები არ უნდა გადავდგათ. ჯერ დაველოდოთ, დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის შემდეგ რა ზომებს მიიღებს ევროკავშირი“

**თამაზ მეჭიაური:**

# ბიძინა ივანიშვილმა პირად საუბარში ვერც მე დამისაბუთა, როგორ მოახერხებს ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პარალელურად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას

**პარლამენტარმა თამაზ მეჭიაურმა ცოტა ხნის წინათ კოალიცია „ქართული ოცნება“ დატოვა და პარტია „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ დააფუძნა. სამომავლო გეგმებსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე თამაზ მეჭიაური „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა.**

**— ბატონო თამაზ, ცოტა ხნის წინათ პარტია ჩამოაყალიბეთ და საზოგადოებას თქვენი გუნდის წევრები წარუდგინეთ. ჯემალ სეფიაშვილი, ლალი მოროშკინა, სანდრო ბრეგაძე, დათო ფაცაცია, ია მეტრეველი — რა ნიშნით შეარჩიეთ ეს ადამიანები?**

— უპირველეს ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მათგანი 2012 წლის არჩევნებამდეც უსამართლობას ებრძოდა და აპროტესტებდა ძალადობას, რომელიც ქვეყანაში ხდებოდა — ეს იყო 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციებისა თუ ტელეკომპანიის დარბევა...

**— საქართველოს ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ „კოაბიტაცია, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი ლანძღავდა, უნდა მოვახერხოთ“. როგორ შეაფასებთ ივანიშვილის განცხადებას და რას ფიქრობთ ამ საკითხზე — ითანამშრომლებთ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან?**

— გააჩნია, ბატონი ბიძინა „მოხერხებაში“ რას გულისხმობს. თუ ის გულისხმობს, რომ ყველასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა უნდა განვაგრძოთ, მიუხედავად იმისა, რა დანაშაული ჩაიდინა ამა თუ პირმა, ვერ დავეთანხმები; მაგრამ, თუ გულისხმობს საშუალო და დაბალი რანგის მოხელეებთან თანამშრომლობას, რომლებიც არ ყოფილან სასტიკ დანაშაულებრივ ქმედებებში მხილებულნი, მაგრამ ირიბად მაინც ყოფილი ხელისუფლების ნაწილს წარმოადგენდნენ და გარკვეულ დავალებებს ასრულებდნენ, ვფიქრობ, მათთან შესაძლებელია თანამშრომლობის გაგრძელება.

**— ქვეყნის საგარეო ვექტორს რაც შეეხება: ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელ ინტერვიუში კვლავ უპასუხოდ დარჩა კითხვა: როგორ მოახერხებს საქართველო ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პარალელურად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას?**

**როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხზე?**

— საქმეც ის არის, რომ, რადგან ბიძინა ივანიშვილმა პირად საუბარში ვერც მე დამისაბუთა, როგორ მოახერხებს ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პარალელურად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას (და, ბუნებრივია, ვერც ინტერვიუში დაასაბუთებდა), სწორედ ამიტომ გავემიჯნე მას ამ ნაწილში. დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილი ამას ვერ მოახერხებს.

და, **თუ ხალხი გადაწყვეტს, აირჩიოს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ თავსმოხვეულ საგარეო ვექტორზე უარს იტყვის, ქვეყნის ღირსების შესაბამისად იმოქმედებს და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ითანამშრომლებს ყველასთან, მაშინ ბიძინა ივანიშვილიც იძულებული იქნება, ხალხის ნებას დაემორჩილოს და დასავლეთის გავლენისგან გამოვიდეს.** დარწმუნებული ვარ, ის ქვეყნის პატრიოტია და ასეც მოიქცევა.

**— თქვენ პარტიის პრეზენტაციაზეც ისაუბრეთ ქვეყნის რეალურ დამოუკიდებლობაზე. ფიქრობთ, რომ მოახერხებს რომელიმე პოლიტიკური გუნდი, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან თუ სხვა მთელი რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, ქვეყნის დამოუკიდებლად მართვას?**

— გააჩნია, რას ვუწოდებთ რეალურ დამოუკიდებლობას. სრულიად დამოუკიდებელი არც ერთი ქვეყანა არ არის.



**«თუ ხალხი გადაწყვეტს, აირჩიოს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ თავსმოხვეულ საგარეო ვექტორზე უარს იტყვის, ქვეყნის ღირსების შესაბამისად იმოქმედებს და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ითანამშრომლებს ყველასთან, მაშინ ბიძინა ივანიშვილიც იძულებული იქნება, ხალხის ნებას დაემორჩილოს და დასავლეთის გავლენისგან გამოვიდეს»**

თვითონ ევროკავშირის ქვეყნებიც კი გარკვეულწილად ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი და არის საკითხები, რომლებსაც საერთო გადაწყვეტილებით იღებენ. რა თქმა უნდა, ჩვენც მოგვიწევს თავისუფლების ნაწილის გადაცემა ამა თუ იმ სუბიექტისთვის, მაგრამ გააჩნია, ამას რის ფასად გავაკეთებთ... **უნდა ვიცოდეთ, რის ფასად გავიღებთ მსხვერპლს.** დღეს ავღანეთსა თუ აფრიკაში სამხედრო მისიებში ჩვენი ჯარისკაცები ნატოს ეგიდით მონაწილეობენ, მაგრამ ამის სანაცვლოდ რას ვიღებთ, გაუგებარია, რადგან, მაგალითად, **2008 წლის ომის დროს ნატოს არც ერთი ჯარისკაცი არ შემოსულა საქართველოში და ჩვენი ქვეყანა არ დაუცავს. სამაგიეროდ, ცოტა ხნის წინათ ტაშ-ფანდურითა და რამდენიმე ტანკით შემოვიდნენ და სადღესასწაულო განწყობა შექმნეს.**



**— მოსახლეობაში ე.წ ვიზალიბერალიზაციის, ევროკავშირის ქვეყნებში შესასვლელი ვიზების გამარტივების, დიდი მოლოდინი არსებობდა, მაგრამ საქართველოს საკითხი კვლავ გაურკვეველია.**

— ვიზალიბერალიზაციისადმი გაცილებით ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი იმ პერიოდშიც კი, როდესაც ნატოსთან საქართველოს ურთიერთობას სკეპტიკურად ვუყურებდი, მაგრამ შემდგომ იმ ევროპული ქვეყნების ნაბიჯებმა, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ, დამარწმუნა, რომ **ისინი ევროკავშირში საქართველოს მიღების საკითხს დიდი ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით არ უყურებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხარემ ყველა დავალება შეასრულა, რომლებიც დაიკისრა ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს ყოველთვის განიხილავენ თურქეთთან, უკრაინასთან, კოსოვოსთან ერთად, ანუ ისეთ ქვეყნებთან ერთად, რომლებსაც არ აქვთ ვალდებულებები შესრულებული, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დამამცირებელია.**

მით უმეტეს, **დღეს, როცა თვითონ წამყვანი ევროპული ქვეყნები ემიჯნებიან ევროკავშირს, ჩვენც მაინცდამაინც თავი არ უნდა გავიგიჟოთ და ევროკავშირის წევრობის გამო რადიკალური ნაბიჯები არ უნდა გადავდგათ. ჯერ დაველოდოთ, დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის შემდეგ რა ზომებს მიიღებს ევროკავშირი.**

**— დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 52%-მა ევროკავშირიდან გასვლას დაუჭირა მხარი. ეს რაზე მეტყველებს?**

— ბრიტანეთში ჩატარებულმა რეფერენდუმმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ევროპაში ყველაფერი რიგზე არ არის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლტოლვილთა ნაკადმა იმატა და ევროპელები კინაღამ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. არავის შეურაცხვყოფ, მაგრამ ქართველები მენტალურად ევროპასთან ყველაზე ახლოს ვართ, ვიდრე აზიელი მიგრანტები, რომლებსაც ასე ადვილად იღებდა ევროპა. ჩვენ კი ამდენი გამოცდის გავლის შემდეგ მაინც უარს გვეუბნებიან, რაც შეურაცხმყოფელია და, საბოლოო ჯამში, უარყოფათად აისახება საქართველოს მოსახლეობის განწყობაზე — ევროკავშირისა თუ ევროპული ფასეულობების მიმართ...

**— ბატონო თამაზ, თქვენ დაპირისპირებული ხართ რესპუბლიკელებთან. ისინი კვლავ ინარჩუნებენ თანამდებობებს, თქვენ და, მაგალითად, გოგი თოფაძე, ომარ ნიშნიანიძე კი თქვენი განცხადებების გამო, ფაქტობრივად, გარიყულები აღმოჩნდით. რატომ მოხდა ასე?**

— ვერ გეტყვით, თუმცა გარიყულად სულაც არ ვგრძნობ თავს. ვინც რესპუბლიკელების გარემოცვაში თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ისინი. ხალხი არჩევნებზე გამოხატავს თავის აზრს და ყველა დაინახავს, ვინ უფრო გარიყულია.

**— დასასრულ, როგორ აპირებთ ნდობის მოპოვებას ამომრჩევლისა, რომელიც უამრავი შეუსრულებელი დაპირების გამო ისედაც ნიჰილისტურად არის განწყობილი?**

— გულწრფელობით...

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**«ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რის ფასად გავიღებთ მსხვერპლს. დღეს ავღანეთსა თუ აფრიკაში ჩვენი ჯარისკაცები ნატოს ეგიდით მონაწილეობენ სამხედრო მისიებში, მაგრამ ამის სანაცვლოდ რას ვიღებთ, გაუგებარია, რადგან, მაგალითად, 2008 წლის ომის დროს ნატოს არც ერთი ჯარისკაცი არ შემოსულა საქართველოში და ჩვენი ქვეყანა არ დაუცავს. სამაგიეროდ, ცოტა ხნის წინათ ტაშ-ფანდურითა და რამდენიმე ტანკით შემოვიდნენ და სადღესასწაულო განწყობა შექმნეს»**

**დაშლილი ევროპის ადგილზე ისე აღმოცენდება ეროვნული სახელმწიფოები, როგორც ადრე, იმ ბედნიერ დროს, როდესაც ქალი ქალობდა, კაცი კაცობდა და არც საზღვრები იყო „პრახადნოი დვორი“, როგორც დღეს; და ამ სახელმწიფოებს ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ექნებათ ერთმანეთთან სავაჭრო, კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები და არა აშშ-ის დიქტატით.**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლით დაიწყო შეუქცევადი პროცესი ევროკავშირის დაშლისა; კავშირის, რომლის შექმნაც ათეული წლების წინათ ასე დაიწყო:**

# რუსეთის დაშლაზე მეოცნებეებს ევროკავშირი ჩამოეშალათ

***ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანებით 1951 წელს დაიწყო ევროპის კავშირის შექმნა;**

*ევროპული თანამეგობრობა შეიქმნა 1957 წელს, ე.წ. რომის შეთანხმება და ეწოდებოდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, ანუ „საერთო ბაზარი“;

***ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა შეიქმნა 1957 წელს;**

***ევროპის კავშირში ინტეგრაციული პროცესების მთავარი მიზნები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტით:**

*რომის შეთანხმებით — ხელი მოეწერა 1957 წელს;

*ერთიანი ევროპული აქტით — ხელი მოეწერა 1987 წელს;

*მაასტრიხტის შეთანხმებით — ხელი მოეწერა 1992 წელს;

*ამსტერდამის შეთანხმებით — ხელი მოეწერა 1997 წლის ოქტომბერში;

*ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტი დღეს არის 2003 წლის „მიერთების შეთანხმება“ (Treaty of Accession), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს. ზემოაღნიშნული შეთანხმებებით განსაზღვრული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებები ჩამოყალიბდა ერთიან დოკუმენტში — ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში, რომლის მიღების პროცედურა ამჟამად მიმდინარეობს“, — აღნიშნულია „ვიკიპედიაში“

**მიმდინარეობს თუ მიმდინარეობდა?** თუმცა ვინ იცის, ჩვენი „ზაპადნიკების“ მსგავსად, რომლებიც ბრიტანეთში გამართული რეფერენდუმის შემდეგაც განაგრძობენ ნატო-ევროპის ზღაპრით ხალხის მოტყუებას, ევროკავშირის ლიდერებიც იმავეს სჩადიან ამ გაერთიანების რიგითი წევრების მიმართ, იშველიებენ რა ნიცშეს ცნობილ ფილოსოფიურ პარადიგმას — „რაც არ გვკლავს, ის მხოლოდ გვაძლიერებს“ და, აქედან გამომდინარე, იქნებ ევროპის კონსტიტუციაზე მუშაობასაც განაგრძობენ?

ჰოდა, თვალი დაუდგეს ევროპას! თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ხანგრძლივი (1951-2016) კრუნჩხვა-ქინთვების, კონვულსიების შემდეგ „გარდაიცვალა ბებია ელპიტე“...

ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან უეჭველად მოჰყვება ე.წ. დომინოს ეფექტი და ევროკავშირის საბოლოოდ დაშლა მხოლოდ დროის ამბავია.

ამაზეა ნათქვამი: **„მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო“ — რუსეთის დაშლაზე მეოცნებეებს ევროკავშირი ჩამოეშალათ!**

რეფერენდუმი, როგორც ცნობილია, ბრიტანეთის პრემიერის, ევროკავშირის თავგადაკლული მომხრის — **დევიდ კემერონის** ინიციატივით ჩატარდა და, ნეტავ, რად აიტკივა აუტკივარი თავი?!

პასუხი მარტივია: ბატონი პრემიერი დარწმუნებული იყო, რომ რეფერენდუმზე ევროკავშირში დარჩენას მისცემდნენ ხმას, რომლის შემდეგაც ერთხელ და სამუდამოდ დაეკარგებოდათ ლაპარაკის ხალისი ე.წ. ევროსკეპტიკოსებს.

კემერონის ოპტიმიზმი რუსოფობიასაც ემყარებოდა. აკი განაცხადა კიდეც რეფერენდუმამდე ერთი თვით ადრე პროპაგანდისტულ მიმართვაში ბრიტანეთის მოქალაქეებისადმი: **„ვის გაუხარდება ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლა? — რა თქმა უნდა, ამით პუტინი და ალ-ბაღდადისი იქნებიან ბედნიერები“.**

ეს ხომ პიროვნული შეურაცხყოფაა რუსეთის პრეზიდენტისა. ვლადიმერ პუტინისა და „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურის ერთ „ქვაბში მოხარშვა“ რუსეთის პრეზიდენტის მოძულეთათვისაც კი მიუღებელი უნდა იყოს.

რეფერენდუმის შემდეგ კი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას, რომ პუტინი გახარებულია რეფერენდუმის შედეგებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** ასე უპასუხა: **„მე სამედიცინო განათლება არ მაქვს, ჩემი ბრიტანელი კოლეგის განცხადება კი სწორედ სამედიცინო სფეროდან არის და ამიტომ კომენტარს არ გავაკეთებ“.**

გახარებით კი, თუ ვინმეა გახარებული, ეს ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი **ნაიჯელ ფარაჯია:** „ეს არის უბრალო ხალხის გამარჯვება. ეს არის ჩვენი გამარჯვება ბანკების მოხელეთა, ბიზნესმენთა და დიდ პოლიტიკოსთა წინააღმდეგ ბრძოლაში“.




**ტრადიციული ღირებულებების მომხრე ბრიტანელებმა მხარი დაუჭირეს ეროვნულ იდენტობას, ნორმალურ სექსუალურ ორიენტაციას, ქრისტიანულ მორალზე, ზნეობრიობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერს, რასაც ევროკავშირის ლიბერალური იდეოლოგია ბოლო ხანს გააფთრებით ებრძოდა**

ასევე კარგ განწყობაზეა ევროსკეპტიკოსთა კიდევ ერთი აღიარებული ლიდერი, ლონდონის ყოფილი მერი **ბორის ჯონსონი**, რომელიც ბრიტანეთის პრემიერობის უპირველესი კანდიდატია.

ნიშანდობლივია, რომ რეფერენდუმზე ევროპაში დარჩენას მხარი დაუჭირა დიდი ქალაქების მოსახლეობამ და **ევროსკეპტიკოსებმა მცირე უპირატესობა, ხატოვნად თუ ვიტყვით, ერთსართულიანი, „პროვინციული“ ბრიტანეთის ხარჯზე მოიპოვეს, ანუ ტრადიციული ღირებულებების მომხრე ბრიტანელებმა მხარი დაუჭირეს ეროვნულ იდენტობას, ნორმალურ სექსუალურ ორიენტაციას, ქრისტიანულ მორალზე, ზნეობრიობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერს, რასაც ევროკავშირის ლიბერალური იდეოლოგია ბოლო ხანს გააფთრებით ებრძოდა.**



სახელმწიფოთა ნებისმიერი კავშირი ნიშნავს საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილის ამ კავშირის სასარგებლოდ ნებაყოფლობით დათმობას.

ასე იყო სსრკ-ში და ასეა ევროკავშირშიც, მაგრამ ევროკავშირის შემთხვევაში ეს „ნაწილი“ ისე დიდი აღმოჩნდა, რომ მსგავსი სსრკ-შიც არ დასიზმრებიათ — **ბებერი ევროპის ნახევარმილიარდიანი მოსახლეობა სინამდვილეში აშშ-ის კოლონია-სატელიტია, რომელიც თეთრი სახლის დაუკითხავად არათუ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, არამედ ვაშინგტონს იმასაც კი ეკითხება, რამდენი კოვზი შაქარი ჩაიყაროს ჩაიში.**

ნაცნობი სურათია, არა?

თუმცა ჩვენ უარეს დღეში ვართ, რადგან, თუ ევროპა ამერიკის მონაა, საქართველო ევროპის მონაა, ანუ, კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, „კაცის კაცი რა კაციაო“ და მონის მონა რაღა იქნება?!

ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან უკვე უწოდეს მიწისძვრა. ასეთ დროს კი ჭკვიანი ხალხი შენობიდან გარბის. ევროპელები უკვე დაუფარავად ამბობენ, ევროკავშირში, ახალი წევრები (თურქეთი, უკრაინა, საქართველო) მივიღოთ კი არა, ეგებ, ვინც გვყავს, ისინი დავაკავოთო.

ეს ისე, როგორც შტირლიცი იტყოდა, ინფორმაცია განსასჯელად მათთვის, ვინც აცხადებს, რომ სწორედ ახლაა ჩვენი დრო და უეჭველად მიგვიღებენ ევროპაში.

ანალიტიკოსთა აზრით, **დაშლილი ევროპის ადგილზე ისე აღმოცენდება ეროვნული სახელმწიფოები, როგორც ადრე, იმ ბედნიერ დროს, როდესაც ქალი ქალობდა, კაცი კაცობდა და არც საზღვრები იყო „პრახადნოი დვორი“, როგორც დღეს; და ამ სახელმწიფოებს ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ერთმანეთთან სავაჭრო, კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები ექნებათ და არა აშშ-ის დიქტატით.**

ევროპული შოკი დროსა და სივრცეში დაემთხვა სანკტ-პეტერბურგში გამართულ გრანდიოზულ ეკონომიკურ ფორუმს, რომელზეც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ბიზნესმენებმა რუსეთთან ტრილიონი(!) რუბლის მოცულობის ბიზნეს-პროექტები გააფორმეს.

ტაშკენტში კი გაიმართა თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის ქვეყნების პირველი პირების შეხვედრა და ამ ორგანიზაციაში ორი ახალი სახელმწიფო (ბირთვული) — ინდოეთი და პაკისტანი მიიღეს; ხოლო მესამე, არაბირთვული, მაგრამ დიდი ეკონომიკური პოტენციალის ირანი მომავალ წელს შეუერთდება ე.წ. თშო-ს.

ერთი სიტყვით, მსოფლიო დიდი ცვლილებების მოლოდინშია. მთავარი კი მაინც ის მგონია, რომ **ევროკავშირის დაშლით დასრულდება აგრესიული ნეოლიბერალიზმის შეტევა ადამიანისთვის ღვთის მიერ ბოძებულ ფასეულობებზე, როგორიცაა სამშობლო, ეროვნება, რელიგია, ოჯახი და ა.შ. სხვა მრავალი მორალურ-ზნეობრივი კატეგორია, რომლებზეც აღმოცენდა ცივილიზაცია.**

ასეა, ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ არავის გაუმარჯვია და, უფლის ნებით, ვერც ვერავინ გაიმარჯვებს!

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ნეტავ, გამოჩნდება საქართველოში ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც კონფორმისტულ პოზიციაზე (ნატო და აგერ უკვე ევროპაც იმიტომ არ გვინდა, რომ მაინც არ მიგვიღებენ) უარს იტყვის და ხმამაღლა განუცხადებს საკუთარ ხალხს, რომ ქართველების ხსნა ერთმორწმუნე მართლმადიდებელ რუსეთთან სტრატეგიული კავშირის დამყარებაშია?..**

**დავით მხეიძე**

**ბებერი ევროპის ნახევარმილიარდიანი მოსახლეობა სინამდვილეში აშშ-ის კოლონია-სატელიტია, რომელიც თეთრი სახლის დაუკითხავად არათუ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, არამედ ვაშინგტონს იმასაც კი ეკითხება, რამდენი კოვზი შაქარი ჩაიყაროს ჩაიში**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ კანონს მოჰყვება კატასტროფული შედეგები და, როცა მათ წინაშე დავდგებით, ყველაფერზე პასუხისმგებელნი იქნებიან აღნიშნული კანონის შემქმნელები, ცხადია, მის მიმღებებთან ერთად".**



# მამა ათანასე (ხაბეიშვილი): ეს არის იუვენალური ფაშიზმი, ტერორი, რომელსაც სამიზნეში ჰყავს ოჯახი...

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება წმინდა თეოდორე ტირონის ეკლესიის წინამძღვარი **მამა ათანასე (ხაბეიშვილი).**

## «დღეს საქართველოში დემოკრატიის ნიშანწყალიც არ შეინიშნება»

**— მამაო, საქართველოს ეკლესიის მხრიდან საერთო მართლმადიდებლურ შეკრებაში მონაწილეობაზე უარის თქმას გარკვეული ძალები ისევ ეკლესიის წინააღმდეგ იყენებენ. მედიასივრცეში მიმდინარეობს აქტიური პროპაგანდა, რომ სინოდმა აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის გავლენით მიიღო. როგორ ფიქრობთ, ვინ დგას ამ პროპაგანდის უკან ან რა შეიძლება ეკლესიამ ამ პროპაგანდას დაუპირისპიროს?**

— კათოლიკოს-პატრიარქმა ამ საკითხზე განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის წაუსვლელობას არანაირი პოლიტიკური მოტივი არ აქვს. შესაბამისად, ყველა ის ბრალდება, რომლებიც ეხება ვინმეს ან რაიმეს ზეგავლენას აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე, სიცრუე და ცილისწამებაა.

რაც შეეხება მიზეზს, რომლის გამოც საქართველოს ეკლესიამ უარი თქვა კრებაში მონაწილეობაზე, ნათლადაა გამოხატული უწმინდესის წერილში, კერძოდ, საუბარია სამ საკითხზე: პირველი არის ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხი, მეორე — მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან და მესამე — მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე სამყაროში, რომელიც თურმე ცვლილებებს საჭიროებს. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ მოსამზადებელ ეტაპზე იყო ეს კრება, როცა აღნიშნულმა სამმა საკითხმა უკმაყოფილება გამოიწვია და შეთანხმება ვერ მოხერხდა. თავის მხრივ, უწმინდესმაც თხოვნით მიმართა მსოფლიო პატრიარქს, არ განხილულიყო ეს საკითხები. აქვე მოვიყვან ციტატას: **„გთხოვთ, არ განიხილოთ დოკუმენტი, „ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი გარემოებები", რადგან იგი არ არის მიღებული კონსესუსით".** სამწუხაროდ, უწმინდესს არავინ მოუსმინა და ეს საკითხები მაინც განიხილეს...

**— პატრიარქის წერილი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ბრალდებები, რომლებიც გვესმის ეკლესიის მისამართით, რომ იგი თურმე რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზეა, საზოგადოებაზე მაინც ახდენს გარკვეულ ზეგავლენას. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს ამ პროპაგანდის საწინააღმდეგოდ?**

— ჯერ ერთი, გაურკვეველია, რატომ ხდება სრულიად მართლმადიდებელთა შეკრება... ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ, როდესაც მსოფლიო საეკლესიო კრებები დგებოდა, აუცილებლად დღის წესრიგში იყო მწვალებლობა; ცხადია, იგმობოდა ეს მწვალებლობა და შემდგომში მიიღებოდა სხვადასხვა განაწესი. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი საეკლესიო კრება ამოწმებდა წინას, ანუ მეორე კრებამ პირველი დაამოწმა, მესამემ — მეორე, მეოთხემ — მესამე და ა.შ. სინტერესოა, ამ კრებას ვინ დაამოწმებს?! **მათ განიხილეს ანტიეკლესიური საკითხები, რომლებიც ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ სწავლებას, კერძოდ, მეექვსე საეკლესიო კრების 72-ე კანონს, რომელიც დოგმატური ხასიათისაა და ეს ნიშნავს, რომ მათ უნდათ მართლმადიდებელსა და მწვალებელს შორის ჯვრისწერის საიდუმლოში მონაწილეობა...**

**— ვის უნდა ეს?**

— ცხადია, ამ ყველაფრის ინიციატორი არის მსოფლიო საპატრიარქო. მეტიც, **იმ კრებაზე ითქვა, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც მიიღეს, სავალდებულო იქნება სრულიად მართლმადიდებელი სამყაროსთვის, მიუხედავად იმისა, რომელი ეკლესია მონაწილეობდა ამ კრებაში და რომელი — არა.** აი, როგორ უპასუხა ამ საკითხზე რუსი ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას ტელმის არქიეპისკოპოსმა **იობმა:** „თქვენ ჩამოხვედით დემოკრატიული ქვეყნიდან, სადაც ყველასგან ელოდებიან არჩევნებში მონაწილეობას. სამწუხაროდ, დემოკრატიულ ქვეყანაში ყველა არ მონაწილეობს არჩევნებში. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქვეყანაში ჩატარებული არჩევნები არალეგიტიმურია?"

**— რის თქმა სურდა არქიეპისკოპოსს?**

— სურდა კი არა, **პირდაპირ გვითხრა, მიიღებთ თუ არ მიიღებთ მონაწილეობას კრებაში, აქ მიღებულ გადაწყვეტილებებს დაემორჩილებითო.** ასეთი იმპერატიული ტონი სასულიერო პირისგან წარმოუდგენელია. ვფიქრობ, ასეთი **მაღალი რანგის ღვთისმსახური მსგავსი რიტორიკით არ უნდა საუბრობდეს და, სხვა თუ არა, ის მაინც უნდა ესმოდეს, რომ ეკლესია პოლიტიკა და არჩევნები არ არის. ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც უნდა არჩევდეს, რა განსხვავებაა არჩევნებსა და საეკლესიო კრებებს შორის...**

**— ამ ყველაფრის ფონზე, ცხადია, ყველას აინტერესებს, დაემორჩილება თუ არა საქართველოს ეკლესია კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.**

— პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ხდება ეკუმენიზმის დაკანონება და ისეთი რამის ნორმად გამოცხადება, რაც ეწინააღმდეგება წმინდა სწავლებას.

საქართველოს ეკლესია აკვირდება მოვლენებს და შემდგომ შეფასებებსაც გააკეთებს. თუ მიღებულ იქნა ის კანონები, რომელთა გამოც სინოდი კრებაზე არ წავიდა, რა თქმა უნდა, ჩვენ ამას არ მივიღებთ და არც ანტიოქიის ეკლესია მიიღებს. კიდევ ვიმეორებ: არანაირი აუცილებლობა ამ კრების მოწვევისა არ არსებობდა, რადგან მწვალებლობები არ იგმობა...

**— 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ე.წ. სოციალურ მუშაკს უფლებას აძლევს, მასზე „ძალადობის" შემთხვევაში ბავშვი ოჯახიდან გაიყვანოს და „მოძალადე" მშობლისგან განაცალკევოს. ეს არის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც, დიდი ხანია, საპატრიარქო ეწინააღმდეგება, მაგრამ ის მაინც მიიღეს. როგორ ფიქრობთ, რასთან გვაქვს რეალურად საქმე?**

— ეს არის ევროპისთვის კარგად ცნობილი და თავსატეხად ქცეული ე.წ. იუვენალური იუსტიცია, რომელიც მიმართულია საზოგადოების ტრადიციული ფასეულობების გაქრობისკენ. **ეს არის იუვენალური ფაშიზმი, ტერორი და დიქტატურა, რომელსაც სამიზნეში ჰყავს ოჯახი. გარდა ამისა, ეს არის ანტიკონსტიტუციური კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონკრეტულ მუხლებს... სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: ამ კანონს მოჰყვება კატასტროფული შედეგები და, როცა მათ წინაშე დავდგებით, ყველაფერზე პასუხისმგებელნი იქნებიან აღნიშნული კანონის შემქმნელები, ცხადია, მის მიმღებებთან ერთად...**

**— ამ კანონის მიმღებთა შორის არიან ის დეპუტატებიც, რომლებიც თავის დროზე ეროვნული მოძრაობიდან მოვიდნენ პოლიტიკაში. მათგან ზოგი ინიციატივით გამოდიოდა, რომ კაცებს ჩოხა-ახალუხით ევლოთ სხდომებზე, ხოლო ქალებს — ჩიხტიკოპით. რა აიძულებს ამ ხალხს, მხარი დაუჭიროს იუვენალურ იუსტიციას ან იმავე ანტიდისკრიმინაციულ კანონს?**

— ცხადია, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ნეგატიური დამოკიდებულება უჩნდება ამ დეპუტატების მიმართ, რადგან, კიდევ ვიმეორებ, ეს კანონი მიმართულია ოჯახის, საზოგადოების ეროვნული სულისკვეთებისა და ფასეულობების წინააღმდეგ.

რაც შეეხება ჩემს პოზიციას, მე მათ დავუსვამ შეკითხვას: **როგორი ქართველები არიან ის ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობენ დასავლეთიდან ნაკარნახევი სახიფათო კანონების მიღებას და ამით სასიკვდილო დარტყმას აყენებენ თავიანთ ერს? მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს არის ღალატის ტოლფასი და ამისთვის, ადრე თუ გვიან, პასუხი მოეთხოვებათ.** მათ უნდა იცოდნენ, რომ ამით ხელს აწერენ უმძიმეს განაჩენს, რადგან ყველა ვხედავთ, რა შედეგი მოჰყვა ევროპაში ანალოგიური კანონის მიღებას, **ხშირად წართმეულ ბავშვებს ე.წ. ერთნაირსქესიანი წყვილების ოჯახებზე აშვილებენ...**

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოშიც მოსალოდნელია მსგავსი რამ?**

— **როდესაც ქვეყანაში გაცხადებული და დეკლარირებული პოლიტიკაა ის, რომ თურმე ჩვენი ისტორიული არჩევანი არის ევროპა, რომ მის იქით გზა არ გვაქვს და ევროკავშირში შესასვლელად საჭიროა ქართული კანონმდებლობის მოყვანა ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, ეს უკვე ყველაფერს ცხადყოფს.** რა თქმა უნდა, ამას **ჩვენ ნელ-ნელა მივყავართ იქით, რომ ადრე თუ გვიან აქაც მოხდეს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, შემდეგ, ცხადია, ამ ე.წ. ერთნაირსქესიანთა ოჯახებს შვილის აყვანის უფლებასაც მისცემენ.** ასე რომ, აქ შეკითხვები ზედმეტია, **ჩვენი პერსპექტივა ძალიან ნათლად ჩანს ევროკავშირის წევრი იმ სახელმწიფოების მაგალითზე, რომლებშიც, დიდი ხანია, მოუშორებელ ჭირად ექცათ ეს ე.წ. ნეოლიბერალიზმი...**

**რაც შეეხება იმ დეპუტატებს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილები ქვეყნის დამანგრეველ კანონებს რომ აძლევენ ხმას, გავა წლები და ისტორია მათ მოიხსენიებს, როგორც მიზანთროპებს, რადგან არანაირი სიყვარული არ გამოსჭვივის მათი ქმედებიდან. ეროვნული ტანსაცმელი მათთვის არის მხოლოდ ნიღაბი, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, როგორი ნიღაბიც უნდა მოირგონ, ვერ დაიმალებიან, იმიტომ, რომ „არა არს დამალული, რომელიც არა გაცხადდეს".** ისინი პასუხს აგებენ ღვთისა და ხალხის წინაშე, ისინი ძალიან მძიმე განსაცდელს უმზადებენ თავიანთ თავს.

**— ე.წ. ნეოლიბერალები და მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხშირად ამბობენ, რომ შიში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების, მათთვის შვილის აყვანის უფლების მინიჭებისა და, საზოგადოდ, ევროპული კანონმდებლობის ჩვენს რეალობაში პირდაპირ გადმოტანის მიმართ უსაფუძვლოა. მათ ხშირად მოჰყავთ ხოლმე ხორვატიის მაგალითი, რომელმაც მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება-არმიღება რეფერენდუმით გადაწყვიტა...**

— **ათი ან ხუთი წლის წინათ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ანტიდისკრიმინაციულ კანონს მიიღებდნენ? რომ იუვენალურ იუსტიციაზე გაბედავდნენ საუბარს? ან 10-15 წლის წინათ ვინმე წარმოიდგენდა, რომ საქართველოში „გეიაღლუმის" ჩატარების მცდელობა ექნებოდათ? საქართველოს არავინ არაფერს ეკითხება, საქართველოს მხოლოდ უბრძანებენ.** ასე რომ, მათი გეგმა თუ განხორციელდა, ერთნაირსქესიანთა ქორწინებასაც დააკანონებენ, შვილის აყვანის უფლებასაც მისცემენ და აღლუმებსაც ჩაატარებენ. **ნურავინ დაიჯერებს, რომ ჩვენ აქ რეფერენდუმებს მოგვაწყობინებენ, აქ იქნება პირდაპირ ლიბერალური ტერორი და, ვინც ამ ტერორს შეეწინააღმდეგება, მას ფიზიკურად გაანადგურებენ.**

**— რა რესურსი აქვს საზოგადოებას, რომ ხელი შეუშალოს ამ კანონის ამოქმედებას?**

— უნდა შევიდეს სასამართლოში სარჩელი ამ კანონის გაუქმების მოთხოვნით, იმიტომ, რომ ყველაფერთან ერთად, იგი კონსტიტუციასაც ეწინააღმდეგება...

**— სასამართლოც დასავლეთის დირექტივებით იმართება და რატომ გგონიათ, რომ სარჩელის შეტანას შედეგი მოჰყვება?**

— თუ არ მოჰყვება, ხალხს აქვს დიდი ძალაუფლება და პოლიტიკური ელიტა ამაში დარწმუნდება. **დღეს საქართველოში დემოკრატიის ნიშანწყალიც არ შეინიშნება და ამ კანონის მიღება არის ამის ნათელი მაგალითი.** კიდევ ვიმეორებ, **ეს არის პირდაპირი დიქტატურა და ძალაუფლების უზურპაცია დასავლეთის მხრიდან. საფრთხე ძალიან დიდია. ცოტა ხანში შეიძლება თითოეულ ოჯახში შევიდეს „სოციალური მუშაკი" და მშობლებს წაართვას შვილი. საქართველო ამას არ უნდა შეეგუოს და არ უნდა დაუშვას იუვენალური ფაშიზმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ კატასტროფას, რომელიც ბოლომდე დაანგრევს ისედაც ნგრევისა და დასუსტების გზაზე მდგარ სახელმწიფოს...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«საფრთხე ძალიან დიდია. ცოტა ხანში შეიძლება თითოეულ ოჯახში შევიდეს «სოციალური მუშაკი» და მშობლებს წაართვას შვილი. საქართველო ამას არ უნდა შეეგუოს და არ უნდა დაუშვას იუვენალური ფაშიზმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ კატასტროფას, რომელიც ბოლომდე დაანგრევს ისედაც ნგრევისა და დასუსტების გზაზე მდგარ სახელმწიფოს»**

„ეს ე.წ. საკანონმდებლო ინიციატივები არის დასავლეთიდან მიღებული ინსტრუქცია, ხოლო დღევანდელი ხელისუფლება დასმულია მხოლოდ იმისთვის, რომ ყველა ინსტრუქცია თუ დირექტივა მიიღოს და განახორციელოს ზედმიწევნით“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ევროპელიც ისეთივე მსხვერპლია ე.წ. დასავლური ნეოლიბერალიზმის, როგორიც ჩვენ — ქართველები»

**წინა კვირას, 22 ივნისს, საზაფხულო სესიის დასრულებამდე ორი დღით ადრე, საქართველოს პარლამენტმა მორიგი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი საკანონმდებლო პაკეტი ჩუმად, მზაკვრულად დაამტკიცა. დოკუმენტში, რომელიც იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივი ინიციატივით მომზადდა, შავით თეთრზე წერია, რომ „ძალადობის“ შემთხვევაში, სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, ბავშვი ოჯახიდან გაიყვანოს და „მოძალადე“ მშობელს (დედას, მამას ან სხვა ოჯახის წევრს) მოაშოროს. იმავე საკანონმდებლო პაკეტის თანახმად, „მოძალადის“ მხრიდან სოცმუშაკის დაუმორჩილებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას შვიდი დღით ან გამოსასწორებელი სამუშაოების შესრულებას ერთი თვით. ამასთანავე, 14 წელს მიღწეულ არასრულწლოვანს უფლება აქვს, თავისი ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართოს და მოითხოვოს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება, რომლითაც უნდა მოხდეს „ძალადობის“ აღკვეთა და პრევენცია მომავალში...**

**აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში მსხდომმა „ნეოლიბერასტებმა“ 74 ხმით, ანუ, რომ იტყვიან, ჩრდილოკორეული ერთსულოვნებით დაამტკიცეს და ამით მათ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვეს იმ გულსაკლავ რეალობას, რომ მათთვის საკუთარი ხალხის ინტერესებზე მაღლა დასავლელ მამა-მარჩენალთა დირექტივები დგას. მოკლედ, ქვეყანაში სადაცაა ლიწინ-ლიწინით ამოქმედდება დასავლური იუვენალური იუსტიცია...**

**რა საკანონმდებლო ცვლილებაზეა საუბარი, რა საფრთხეებს შეიცავს ეს საკანონმდებლო პაკეტი და რას მივიღებთ შედეგად? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**



## დიმიტრი ლორთქიფანიძე: დღეს ქვეყანაში სოდომიზაციისა და გენდერიზაციის პოლიტიკა მიმდინარეობს. ეს არის საზოგადოების გენოციდი

**— ბატონო დიმიტრი, პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სოციალურ მუშაკს უფლებას ანიჭებს, ბავშვი ოჯახიდან გაიყვანოს „ძალადობის“ შემთხვევაში. რა ცვლილებასთან გვაქვს რეალურად საქმე?**

— პირველ რიგში, ეს არის ძალიან სახიფათო და მავნე სოციალური ექსპერიმენტი, რომელიც განხორციელდა საკანონმდებლო დონეზე, მაგრამ **მას შემდეგ, რაც 2014 წელს მიღებულ იქნა ანტიდისკრიმინაციული კანონი და კანონში გაჩნდა ორი ახალი ტერმინი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, ბუნებრივია, გასაკვირი არ არის, რომ შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებები პირდაპირ მიმართულია ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ.** რა თქმა უნდა, ეს არის იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, დიდი ხანია, ტარდება და საკმაოდ „წარმატებულადაც“, ხოლო **შედეგი ამ ყველაფრისა არის ის, რომ ბავშვი, ფაქტობრივად, გამოცხადებულია სახელმწიფოს საკუთრებად და არა ოჯახის. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი მიმართულია იქით, რომ შვილებსა და მშობლებს შორის წარმოიშვას კონფლიქტი. სახელმწიფო კი ამ კონფლიქტში შეასრულებს ჟანდარმის ფუნქციას და სწორედ ასეთი ჟანდარმის შექმნის მცდელობაა ის საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც 22 ივნისს მზაკვრულად მიიღეს...**

**— ისე, საინტერესოა, როგორ და რა კრიტერიუმით განისაზღვრება, არის თუ არა ძალადობა ბავშვზე?**

— ბევრი რამ შეიძლება ჩაითვალოს ძალადობად, მაგალითად, თუ ბავშვი ვერ იღებს საბაზისო განათლებას; და ეს ყველაფერი — იმ ფონზე, როდესაც მთელი ათი წელი ქვეყანაში მიმდინარეობს ნეოლიბერტარიანული პოლიტიკა, რომელიც საზოგადოებას აიძულებს, არჩევანი გააკეთოს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ყოფნაზე. შეგახსენებთ, რომ 2011 წლის სტატისტიკური მდგომარეობით, დაახლოებით 900 ათასი ადამიანი ითვლებოდა საქართველოში სოციალურად დაუცველად და, ბუნებრივია, მათ ოჯახში გაზრდილი ბავშვები იმ ე.წ. უსაფრთხოების კრიტერიუმს ვერ დააკმაყოფილებენ, ანუ ისინი პირდაპირ დაექვემდებარებიან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს და მეტიც, სამომავლოდ ეს ე.წ. საკანონმდებლო ინიციატივები კიდევ უფრო უნივერსალური გახდება ასეთი ბავშვების მომავალი ბედის განსაზღვრის თვალსაზრისით.

**— და რა ბედი ეწევათ ამ ბავშვებს?**

— დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს აგრესიული სოდომიზაციისა და გენდერიზაციის პოლიტიკა, რომელიც ყველა სფეროში იგრძნობა. **შემთხვევითი არ არის, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ საზოგადოებისთვის მიუღებელი ყველა საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები არიან რესპუბლიკელები, ხოლო კოალიციის კონგლომერატის ყველა დანარჩენი შემადგენელი არის მონურ მორჩილებაში...**

**— კონკრეტულად რაში გამოიხატება სოდომიზაციის პოლიტიკა, რაში ჩანს ეს ყველაზე მეტად?**

— ეს ყველაფერი ხშირად გამოიკვეთება ხოლმე ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან წარმოდგენილ ინიციატივებში. მოგეხსენებათ, რომ ეს **„არასამთავრობო“ ორგანიზაციები უცხოეთიდან ფინანსდებიან და ხშირად მათი ბიუჯეტი რამდენიმეჯერ აღემატება ჩვენს მუნიციპალურ ბიუჯეტებს.**

რაც შეეხება პროპაგანდას, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ როლს თამაშობს მედია, განსაკუთრებით — ტელევიზია და, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ძალა აქვს იმ რიტორიკას, რომელიც რეგულარულად გვესმის ტელეეთერიდან, რომ თურმე ჩვენ უნდა ვიყოთ ტოლერანტულები და შემწყნარებლები „განსხვავებულთა“ მიმართ. ამ ყველაფრის მიღების ერთ-ერთი უტყუარი დადასტურება და მტკიცებულება საგანი „მე და საზოგადოება“, რომელიც 2014-15 წლებში უნდა შეეტანათ საგანმანათლებლო სისტემაში, მაგრამ ჩვენი და ეკლესიის აქტიურობით ვერ მოახერხეს; ახლა კიდევ შემოდის ახალი ცნება — ფემიციდი და ეს არის პირდაპირი მცდელობა, რომ ადამიანის უფლებებზე ზრუნვის სახელით ქალის როლი ჩაანაცვლოს ლგბტ-თემმა, რომელსაც გარკვეულწილად გულისხმობს ე.წ. გენდერიზაციის თეორიაც.

**— დავუბრუნდეთ 22 ივნისს დამტკიცებულ საკანონმდებლო პაკეტს. ეს დოკუმენტი მომზადებულია იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროების ინიციატივით. როგორ ფიქრობთ, ვინ დგას ამ უწყებების უკან, ვისი დირექტივით მოქმედებენ ისინი?**

— ეს ყველაფერი არის ევროდირექტივები, რომლებზეც ჩვენი ხელისუფლება საჯაროდ არ საუბრობს და ვერც ისაუბრებს. **საგანი „მე და საზოგადოებაც“ ევროპული ქარტიის ინიციატივა იყო და მათ რეკომენდაციებში პირდაპირ კეთდებოდა მოწოდებები, რომ ე.წ. მესამე სქესის მიღება მოზარდებში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი.**

რაც შეეხება იუვენალური იუსტიციის ელემენტების შემოღებას ჩვენს საკანონმდებლო სივრცეში, ეს არის ევროკომისიის პირდაპირი რეკომენდაცია, ოღონდ ტერმინმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ და რეკომენდაცია ამ შემთხვევაში არ გეგონოთ რაღაც უწყინარი მოწოდება, აქ საუბარია **პირდაპირ მითითებაზე,** რომლის შესრულების აუცილებლობაც ხელისუფლებამ კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დააყენოს, ანუ რეალურად **ეს ე.წ. საკანონმდებლო ინიციატივები არის დასავლეთიდან მიღებული ინსტრუქცია, ხოლო დღევანდელი ხელისუფლება დასმულია მხოლოდ იმისთვის, რომ ყველა ინსტრუქცია თუ დირექტივა მიიღოს და განახორციელოს ზედმიწევნით.** ეს არის მათი ძალაუფლების გარანტია და მათ კარგად იციან, სხვანაირად რომ ერთ წელსაც ვერ გასტანენ ხელისუფლებაში...

**— ის ე.წ. ნეოლიბერალური იდეოლოგია, რომელიც თქვენ ახსენეთ და რომელიც „განსხვავებულთა“ მიმართ „შემწყნარებლობას“ გვაიძულებს, თვითონ ევროპაში დღითიდღე მიუღებელი ხდება. ამის ერთ-ერთ მაგალითად ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი უნდა ჩაითვალოს... როგორ ფიქრობთ, ჩვენ რატომ გვახვევენ თავს ამ იდეოლოგიას ასე მძაფრად, თუ ეს იდეოლოგია თვითონ ევროპელებს არ სურთ?**

— პასუხი ძალიან მარტივია: ერთია პოლიტიკა და პოლიტიკური ელიტის ინტერესები და მეორე — საზოგადოება, რომელიც ხშირად სულ სხვა რამეს ითხოვს და სხვა რამეს ელოდება ხელისუფლებისგან. ბრიტანეთი სწორედ ამის მაგალითია.

რეფერენდუმს რაც შეეხება, ვფიქრობ, დღეს ევროკავშირში ყოფნა ასევე არ სურთ ფრანგებს, გერმანელებს, ირლანდიელებს, ბერძნებს და მიზეზი არის სწორედ ის, რომ ისინი ხედავენ, საით მიდის მათი ქვეყანა. დღეს ევროპელიც ისეთივე მსხვერპლია ე.წ. დასავლური ნეოლიბერალიზმის, როგორიც ჩვენ, ქართველები და ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, რომელიც მათი დირექტივებით იმართება, ამიტომაც მატულობს სკეპტიციზმი „ლიბერალური“ იდეოლოგიისადმი და ამიტომ მძლავრობს დღითიდღე ევროპის რიგ ქვეყნებში ნაციონალიზმი...

**— დასაწყისში რესპუბლიკური პარტია ახსენეთ და თქვით, რომ დასავლეთიდან მიღებული დირექტივებისა თუ საკანონმდებლო პაკეტების პირველი შემსრულებლები ისინი არიან. პარლამენტში ასევე არის ხალხი, რომელიც თავის დროზე გამოდიოდა ინიციატივით, რომ დეპუტატებს ეროვნული ტანისამოსით ევლოთ... როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჩანან ეს ადამიანები, როცა ეროვნულ იდეოლოგიას საფრთხე ემუქრება?**

— თქვენი შეკითხვიდან გამომდინარე, ძალიან მძიმე შეფასება მომიწევს იმ პოლიტიკური ძალებისა, რომლებიც ლეღვის ფოთლის ფუნქციას ასრულებენ „ნეოლიბერალების“ ხელში. **სამწუხაროა, როცა ხმამაღლა დეკლარირებ ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებს, რომელთა ძალითაც შედიხარ პარლამენტში, შემდეგ იცვამ ჩოხას და მერე აღმოჩნდება, რომ თურმე მხარს უჭერ ანტიდისკრიმინაციულ კანონს, იუვენალურ იუსტიციასაც და, საზოგადოდ, ყველაფერს, რასაც დასავლეთიდან გიბრძანებენ.** ჩემი აზრით, ეს არის ღალატი და ასეთი ძალები ემსახურებიან დემოკრატიის ანტურაჟს. არაფერი ეროვნული მათ არ სცხიათ, ისინი არიან ჩვეულებრივი შემსრულებლები ისევე, როგორც რესპუბლიკელები და კიდევ არაერთი ძალა, რომლებიც დღეს პარლამენტში სხედან...

**— როგორ აისახება დემოგრაფიაზე იუვენალური იუსტიცია, რომელიც უკვე, ფაქტობრივად, მიღებულია?**

— იუვენალური იუსტიციის დემოგრაფიაზე ასახვის საკითხი ჩვენ შეგვიძლია კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებში მოვიძიოთ. მაგალითად, უკრაინაში რამდენიმე ათასამდეა იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც სწორედ „უსაფრთხოების“ კრიტერიუმის არარსებობის გამო მიჰყავს სოციალურ მუშაკს ყოველწლიურად. ვიტყოდი, რომ ეს არის საზოგადოების გენოციდი და ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის ამას განსაკუთრებულად დამანგრეველი შედეგი ექნება. სწორედ ამიტომ ის, რაც დღეს ხდება ევროპაში, ჩვენთვის უნდა იყოს სიგნალი, რომ, **ერთი მხრივ, უარი ვთქვათ ე.წ. ნეოლიბერალურ იდეოლოგიაზე, მეორე მხრივ, კი ვიზრუნოთ ამ იდეოლოგიის მსახურთა გასტუმრებაზე ხელისუფლებიდან.** წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც გითხარით, შედეგები იქნება ძალიან მძიმე და იმ გაქანებული გლობალიზაციის ფონზე, რომელიც დღეს მსოფლიოშია, ამ ყველაფერს საქართველომ შეიძლება ვერ გაუძლოს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ძალიან უნამუსოა ეს პუტინი! საერთოდ არ გაუწია ანგარიში „ბრძენ“ ამერიკელ პოლიტიკურ ანალიტიკოსებს, რომლებიც აგერ, ამ 30 წლის წინათ „წინასწარმეტყველებდნენ“, რუსეთის სახელმწიფო 20 წელიწადში დაინგრევა, დაიქცევა და ჩამოიშლებაო.**

# საგაზეთო წერილი, რომლის დაწერაც პუტინის ბრალია

**რუსეთის პრეზიდენტის ბრალია, რომ თქვენ ახლა ამ წერილს კითხულობთ, პატივცემულო მკითხველო! აბა, დაუკვირდი, თუ მართალი არ ვარ — რუსეთი ამხელა ქვეყანა რომ არ იყოს, მსოფლიოზე გავლენა რომ არ ჰქონდეს, 1990-ანი წლების კრიზისიდან არ გამოეყვანა ვლადიმერ პუტინს, მტრულად განწყობილი ზესახელმწიფოების შესაბამისი ძალებისთვის მიეცა ნება, ქვეყანა ნაწილ-ნაწილ დაეშალათ, გაენადგურებინათ მისი ეკონომიკა, გაემათხოვრებინათ, გაეცამტვერებინათ და არარაობად ექციათ, ასეთ შემთხვევაში ხომ ამ ქვეყანასა და მის პრეზიდენტზე წერა უკვე უინტერესო იქნებოდა?!**



მაიკლ მაკფოლი

**მაკფოლს და სხვა ყველას იმდენი უქნიათ, სულაც პუტინის პირადი «პიარშიკები» გამხდარან. ჩვენ ჩვენი ვიდარდოთ და დავსვათ კითხვები: როდემდე ასეთი ბრმა ნდობა ამერიკელი რეგვენი «პოლიტოლოგების» რჩევებზე? როდემდე ასეთი სრულიად წამგებიანი და ქვეყნის დამაქუცმაცებელ-გამანადგურებელი საგარეო პოლიტიკა? როდემდე ასეთი გამოთაყვანება?**

ჰოდა, სწორედ პუტინის ბრალია, რომ ახლა ამ საგაზეთო წერილს ვწერ და თქვენ კითხულობთ.

საზოგადოდ, **ძალიან უნამუსოა ეს პუტინი! საერთოდ არ გაუწია ანგარიში „ბრძენ“ ამერიკელ პოლიტიკურ ანალიტიკოსებს, რომლებიც აგერ, ამ 30 წლის წინათ „წინასწარმეტყველებდნენ“, რუსეთის სახელმწიფო 20 წელიწადში დაინგრევა, დაიქცევა და ჩამოიშლებაო.**

დღეს კი რუსეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი **მაიკლ მაკფოლი** აცხადებს:

**„ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგი, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთი ევროკავშირიდან გადის, არის პუტინის საგარეო პროპაგანდის შედეგი. ეს რუსეთის პრეზიდენტის დიდი გამარჯვებაა, დაუფასეთ მას!“**

ეს განცხადება „ბრძენმა“ ანალიტიკოსმა და დიპლომატმა მაკფოლმა „ტვიტერში“ გამოაქვეყნა და დარწმუნებული ვარ, მის წამკითხველთა უმეტესობას ცრემლიც მოადგა თვალზე.

**ვოვა ბიძია! განა შეიძლება ასეთი უნამუსობა? განა არ შეიძლებოდა, ეს „დიდი პოლიტოლოგები“ ასე არ გაგებანძებინა და მათი სულელური „პროგნოზის“ ასრულებისთვის შეგეწყო ხელი?**

რა იქნებოდა, ჩამოგეშალა ეგ რუსეთი, დაგექუცმაცებინა და დედა გეტირებინა, ხომ გაიხარებდა ეს ამოდენა „ექსპერტა“ ხალხი?!

მაგრამ, არა! თურმე **იმდენიც კი უქნია ვოვას, რომ რუსულ პროპაგანდას, თანაც ისეთს, ეფექტიანსა და მიზანს რომ ზუსტად ხვდება, არათუ მხოლოდ საქართველოში ან პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, არამედ თვით დიდ ბრიტანეთშიც ატარებს და თანაც უაღრესად შედეგიანად.**

ძალიან შევყევი ირონიულ ტონს და სიმართლე უნდა ითქვას: მაინც ცოტა მეჩვენება ირონიის ეს „დიდი დოზაც“ კი ამ დონის ტუტუცებისთვის...

მაგრამ მაინც, მოდი, ცოტა დავსერიოზულდეთ.

**სრული სერიოზულობით გეკითხები, მკითხველო: ხვდებით, საიდან მოდიოდა 10-წლიანი იდიოტიზმი და სულელური პროპაგანდა „ჟანგიანი რუსული ტანკების“, „რუსული ეკონომიკის ჩამოქცევის“, „განადგურებული რუსეთის“, „შეშინებული პუტინის“, „რუსეთის პრეზიდენტის ჩამორჩენილი აზროვნების“, „კრემლის ორ კვირაში სამხედრო გზით აღების შესაძლებლობის“ და სხვა ამგვარი გაუგონარი სიდებილის შესახებ?**

დიახ! ვისაც ეს „ჭკუიდან შერყეული მიშა სააკაშვილის“ ბოდვები გეგონათ, დროა, დარწმუნდეთ, რომ სინამდვილეში ეს ამერიკის შეერთებული შტატების „ექსპერტ-პოლიტოლოგთა“ და „ანალიტიკოს-პოლიტიკოსთა“ ძალიან დაფასებული და აღიარებული ჯგუფების ტვინის ნაჟურია, რომელსაც ბრმად იმეორებდა ამერიკელი „გურუების“ ასპროცენტიან გავლენაში მყოფი „ქართველი ნაცების“ ხელისუფლება.

ამას მე ხელისუფლებაში მათი მოსვლისთანავე ვამბობდი და პასუხად ეგ ზალტირებული ხალხისგან ლამის ჩაქოლვა მივიღე, მაგრამ დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას: **„ვარდების რევოლუციაც“ სწორედ იმიტომ მოხდა, რომ „კორუფციაში ჩაფლული“ მაშინდელი ხელისუფლება, ედუარდ შევარდნაძის თამადობით, არ მიჰყვა ასე ბრმად ამერიკელთა ამ სულელურ მოთხოვნებს და რუსეთის, რუსებისა და მათი ხელისუფლების ეს ყოვლად ტუტუცური ლანძღვა-გინება არ დაიწყო.**

ჭკუადამჯდარმა (ჭკუამხიარულობის გარდა, სხვა ყველაფერი შეიძლება მას დავაბრალოთ) ედუარდ შევარდნაძემ ისიც შესანიშნავად იცოდა, რომ ანდაზა „შეძახილმა ხე გაახმო“ რუსულ ტანკებზე არ იმოქმედებდა და, რაც უნდა ხშირად შეგვეძახებინა რუსული სამხედრო ტექნიკისთვის „ჟანგიანი ხარ, ჟანგიანი ხარო“, ტანკები მაინც არ დაჟანგდებოდა რეალურად და შეძახილები, შესაბამისად, დადებით შედეგს ვერ მოუტანდა ჩვენს სახელმწიფოს, ამიტომაც არ აჰყვნენ ამ შეძახილებში თავცარიელ ამერიკელებს.

აი, **სწორედ ამიტომ ისურვეს ამერიკელმა „დიდმა ძიებმა“ საქართველოს (და შემდგომ თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის) სათავეში ყოფილიყვნენ სრულიად უვიცი, ტუტუცი, სულელი და პატივმოყვარე ადამიანები, რომლებიც ყველაფერს იკადრებდნენ, ნებისმიერ სისულელეს გაიმეორებდნენ საჯაროდ და ხალხის დარწმუნებასაც შეეცდებოდნენ ყველა აბსურდში, ოღონდ კი ძალაუფლება, ფული, კეთილდღეობა ჰქონოდათ.**

აი, **სწორედ ასეთი სრულიად რეგვენი „მოღვაწეები“ სჭირდებოდათ ამერიკელებს მათ მიერ დამონებულ ტერიტორიებზე და დასვეს კიდეც.**

რუსეთის მისამართით ამერიკული ტუტუცური აგრესიულ-ამპარტავნული რიტორიკის შედეგად მოხდა ის, რომ რუსეთმა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ტერიტორიები უკვე დე იურე დაიპყრო, შემოიმტკიცა და „ჟანგიანი ტანკები“ აგერ, 40 კილომეტრში დაგვიყენა.

მიუხედავად ამისა, **„ბრწყინვალე“ ამერიკელმა პოლიტიკოსებმა იხტიბარგაუტეხელი, გამარჯვებული სახეებით გვაყვირეს — რუსეთს მსოფლიოს თვალში დემოკრატის ნიღაბი ჩამოვგლიჯეთ და დამპყრობლის რეალური სახე გამოვუჩინეთო.**

**ვერ გეტყვით, როდის და ვის ეგონა მონღოლთა ბატონობის შემდეგ ნახევარ დედამიწას მოდებული რუსული „დერჟავა“ კეთილი ფერია, ან როდის ჰქონდა მას აფარებული სახეზე „მილინკი მალჩიკის“ ნიღაბი.**

გასულ საუკუნეებს თავი რომ დავანებოთ, როდესაც რუსეთი აგრესიულ საგარეო პოლიტიკას სრულიად ღიად აწარმოებდა, აგერ, 2008 წლის დასაწყისშიც კი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** მიკიბვ-მოკიბვის გარეშე განაცხადა: **„რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ნატოს გაფართოებას ჩრდილოეთ კავკასიამდე და ჩვენ ყველაფრის ფასად დავიცავთ ჩვენს სტრატეგიულ ინტერესებს კავკასიაში“.**

მეტიც, როდესაც მას ჟურნალისტმა ამ განცხადებაზე ევროსაბჭოსა და ნატოს შესაბამისი რეზოლუციები და მემორანდუმები გაახსენა, ლავროვმა მოურიდებლად უპასუხა: **„როდესაც საქმე კავკასიას ეხება, აქ ჩვენ საერთოდ არ გვაინტერესებს, რა განაცხადა ევროსაბჭომ ან კიდევ სხვა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ(!)“.**

სხვათა შორის, ლავროვს არც რუსეთის პრეზიდენტი ჩამორჩა და ღია ტექსტით თქვა: **„კავკასიის საკითხში, თუკი ვინმემ სცადა, რომ არაფრად ჩააგდოს რუსეთის სტრატეგიული სამხედრო, პოლიტიკური ინტერესები, მზად ვართ, ნებისმიერი სცენარისთვის, თვით ომისთვისაც კი! ჩვენ საამისოდ გარკვეული საშინაო ნამზადები** („დომაშნიე ზაგატოვკი“) **გვაქვს“ .**

აბა, ახლა ვინმემ მითხარით: სად ხედავთ აქ ნიღაბს, მოსასხამს ან თავსაფარს?

**ყველაფერი აშკარად და ღიად არის ნათქვამი! თანაც სწორედ მაშინ — 2008 წლის ომამდე სულ რაღაც სამიოდე თვით ადრე, მაგრამ ამერიკელი „დიადი ანალიტიკოსების“ ფანტაზია „კოკოითი ფანდარასტის“ იქით ვერ წავიდა!**

რა თქმა უნდა, ძალიან არ მიხარია, მაგრამ მართლაც **უდიდესი სირცხვილი და თავის მოჭრაა, როდესაც 5 წლის განმავლობაში ვილაცას ყბას უქცევ, დასცინი, მისგან დებილს, ჩლუნგს, ჭკუასუსტს ხატავ, „ფანდარასტ, ფანდარასტ“-ო ეძახი და ბოლოს თავად გამოგაფანდარასტებენ იქიდან ისე, რომ „მეგობარი ამერიკის“ მიერ ნაჩუქარ „კვადროციკლებს“ გამოასწრებ.**

სიტყვამ მოიტანა და აქვე კატეგორიულად ვეტყვი ზოგიერთ ტვინზომბირებულს:

**თავი შეიკავეთ ისეთი ტუტუცური ბრალდებებისგან, როგორიცაა „რა იყო, გიხარია მტრის გაძლიერება და მტრის გამარჯვება? ქართველი არ ხარ? რამ გადაგაგვარა!“ და სხვა მსგავსი ყოვლად რეგვნული ვითომ „პატრიოტული“ რეცეპტული ფრაზები.**

მე მტრის გაძლიერება კი არ მიხარია, არამედ იმას ვწუხვარ, რომ მტრის არასწორი, უტვინო, ჩლუნგი და ყოვლად იდიოტური შეფასების, უფრო ზუსტად, ვერშეფასების გამო, ამხელა რისკის ქვეშ რომ აყენებთ და ასეთ საფრთხეს რომ უქმნით საკუთარ, ანუ ჩემს სამშობლოს(!).

და, **თუ თქვენი შეფასებები „ჩამოშლილი რუსეთის“ შესახებ და კიდევ სხვა ამერიკული ნაბოდვარის გამეორება იდიოტობა არ არის, მაშინ მიპასუხეთ: როგორ ხდება, რომ ეს „ჩამოშლილი“ და „განადგურებული“ რუსეთი აგერ, თურმე ლონდონზეც კი ახდენს გავლენას და ბრიტანეთს ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენას კარნახობს?**

ფაქტია, მაკფოლი და სხვა მისთანა ერთუჯრედიანი ვითომანალიტიკოსი ამერიკელები, რომლებმაც, ფაქტობრივად, უკვე დაღუპეს საქართველო თავიანთი „ბრძნული“ რჩევებით, იმ დონის ტუტუცები არიან, რომ ვერც იმას ხვდებიან, რომ ასეთი უგუნური განცხადებებით, თითქოს პუტინი განაპირობებდეს ბრიტანელების არჩევანს, კიდევ უფრო დიდ რეკლამას უკეთებენ რუსეთის პრეზიდენტს და მისგან მსოფლიო მნიშვნელობის დიდ პოლიოტიკოსს თვითონ ხატავენ.

ასე რომ, **პუტინს საერთოდ აღარ სჭირდება არავითარი მილიონიანი პროპაგანდის ჩატარება. მისი ყველაზე ეფექტიანი პროპაგანდა მის მიერ ნაკეთები რეალური საქმეები და გამოტვინებული ამერიკელი პოლიტიკოსების დამარცხების გამო გამწარებით ნათქვამი განცხადებებია.**

მაგრამ მაკფოლსა და სხვა ყველას იმდენიც უქნიათ, სულაც პუტინის პირადი „პიარშიკები“ გამხდარან. ჩვენ ჩვენი ვიდარდოთ და დავსვათ კითხვები: **როდემდე ასეთი ბრმა ნდობა ამერიკელი რეგვენი „პოლიტოლოგების“ რჩევებზე? როდემდე ასეთი სრულიად წამგებიანი და ქვეყნის დამაქუცმაცებელ-გამანადგურებელი საგარეო პოლიტიკა? როდემდე ასეთი გამოთაყვანება?**

არ ვიცი, რატომ, მაგრამ უნებურად ილიას სიტყვები მახსენდება და მისი პერიფრაზი მომდის თავში:

**ეხ! როდემდე, როდემდე? ჩემო მშობლიურო მიწა-წყალო, მომეც ამაზე პასუხი!**

„ჯი-დი-ეს“-ში რამდენიმე ათეული მილიონია ჩაყრილი, მაგრამ მის რეიტინგს მაინც არაფერი ეშველა. ივანიშვილების ჯიბეს შესეულმა მუქთახორა „ტელევიზიონშიკებმა“ ეს ამბავი ყველაფერს დააბრალეს, საკუთარი უნიჭობის გარდა. აქაოდა, „რეიტინგების მთვლელი“ კომპანია იტყუებაო, ისიც კი შეცვალეს, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს.

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მალე ბაზარზე «ბიძოს მაცივრები» გამოჩნდება

**ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე სიახლეა. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა თავისი ბრძნული აზრები უფრქვია ჟურნალისტებს და ტელევიზორებთან მიმსხდარ სრულიად საქართველოს, შესაბამისმა სტრუქტურებმა გადაწყვიტეს, ამხელა მილიარდერ კაცს სირცხვილი არ აჭამონ და მისი სიტყვები, რადაც უნდა დაუჯდეთ, გაამართლონ.**



კერძოდ, საუბარია ბიძინა ივანიშვილის იმ სიტყვებზე, რომლებითაც მან საქართველოს მოსახლეობა სწორი ანალიზის უნარის არქონაში დაადანაშაულა.

**„ყველაფერი ძალიან კარგად არის ქვეყანაში. ჩვენ გვყავს ეფექტიანი მთავრობა და ჩვენი ეკონომიკა წინ მიდის. ხალხს, უბრალოდ, არ აქვს სწორი ანალიზის უნარი. ისინი უყურებენ „რუსთავი 2“-ს, რომელიც გადმოსცემს მხოლოდ ნეგატივს და ამიტომ მოსახლეობას ჰგონია, რომ ყველაფერი ცუდად არის. სინამდვილეში ყველაფერი კარგად არის. ნუ უყურებთ, ხალხო, „რუსთავი 2“-ს და გააკეთეთ სწორი ანალიზი!“** — მოუწოდა მოსახლეობას ბიძინა ივანიშვილმა.

მისი ასეთი განცხადების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობამ გამოაღო მაცივარი, ტელევიზორების პროგრამებიდან საერთოდ ამოაგდო „რუსთავი 2“ და ცარიელი მაცივრები მიუშვირა სხვა არხზე გადართულ ტელევიზორებს.

**ასეთი ოპერატიული ღონისძიების მიუხედავად, ჰოი, საოცრებავ, მაცივრები მაინც არ შეივსო და კვლავ ცარიელი დარჩა.**

ის-ის იყო, ბიძინ-ბრძენი უკვე ხალხის თვალში უნდა გაბანძებულიყო, რომ სწორედ სულზე მოუსწრო ახალმა პროექტმა. როგორც ჩვენი ღრმად ჩახედული წყარო გვატყობინებს, **„ბიძინას სულელური გამონათქვამების გაპრავების სამსახურის“ დაკვეთით, უკვე დამზადებულია სპეციალური მაცივრები, რომლებიც აითვისებს ტელევიზორიდან წამოსულ სპეციალურ პოზიტიურ სიგნალებს. თავის მხრივ, ეს პოზიტიური უხილავი სიგნალები გავრცელდება ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს“-ის ეთერიდან.**

ამასთანავე, **ყოველ ასეთ მაცივარს მოჰყვება თითო წარმოსახვითი ბიძინა, ანუ, როდესაც გაჭირვებული მოქალაქის სახლში დადგამენ ასეთ მაცივარს, იქიდან გადმოვა წარმოსახვითი ბიძინა და გამოუმუშავებს მოქალაქეს სწორი ანალიზის უნარს; შემდეგ გამოუღებს მაცივარს, წაართმევს ტელევიზორის პულტს, გადაურთავს „ჯი-დი-ეს“-ზე და დაანახვებს, რა სავსეა მისი მაცივარი.**

როგორც უკვე გითხარით, შემუშავებულია სპეციალური რადიოსიგნალები, რომლებიც უშუალოდ მაცივარზე მოქმედებს და ავსებს მას ხაჭო-მაწვნით, სოსის-ძეხვით, კვერცხ-ქათმით, ხორცით, ხილითა და სხვა პროდუქტებით. ასეთი უხილავი სიგნალების გავრცელებაზე ექსკლუზიური უფლება ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს“-ს მიენიჭა.

ხსენებული **მაცივრების წარმოება მალე დაიწყება. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მას ორმაგი დატვირთვა ექნება. კერძოდ, გარდა ძირითადი ფუნქციისა, რომ საქართველოს მოქალაქეებს საკუთარი მაცივრები სავსედ მოაჩვენოს, დააწყნაროს და კმაყოფილი სახეებით აკვრევინოს ბიძინასთვის ტაში, ასევე, ამ პროექტით იქნებ ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს“-საც ეშველოს რამე.**

მოგეხსენებათ, ეს ტელევიზია, უკვე 5 წელიწადია, ფუნქციობს და საქართველოში ყველაზე მაღალი, თითქმის უკიდეგანო დაფინანსება აქვს. **„ჯი-დი-ეს“-ში რამდენიმე ათეული მილიონია ჩაყრილი, მაგრამ მის რეიტინგს მაინც არაფერი ეშველა. ივანიშვილების ჯიბეს შესეულმა მუქთახორა „ტელევიზიონშიკებმა“ ეს ამბავი ყველაფერს დააბრალეს, საკუთარი უნიჭობის გარდა. აქაოდა, „რეიტინგების მთვლელი“ კომპანია იტყუებაო, ისიც კი შეცვალეს, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს.**

ჰოდა, აი, ამ მაცივრების მოსახლეობისთვის უფასოდ დარიგების შემდეგ, სავარაუდოდ, მთელი საქართველო თავის ტელევიზორებს სწორედ „ჯი-დი-ეს“-ზე გადართავს...

თუმცა, ვეჭვობთ, ადამიანებს „ჯი-დი-ეს“-ის უნიჭო გადაცემების ყურებას ისევ თავისი ცარიელი მაცივრები ურჩევნიათო, — აცხადებენ ექსპერტები.

**მასე აბარავა**

# საუბარი დედოფალთან — «რამ გადარია ეს ბიჭი»

**რამდენიმე დღის წინათ დიდმა ბრიტანეთმა ევროპას ცივი წყალი გადაასხა და პოლიტიკურად მიაძახა — თქვენი დედაც, ჯეკ! ამ ფაქტმა ბებერი ევროპა მეტად შეაშფოთა. როგორც ექსპერტები ამბობენ, წნევასაც კი აუწევია და სასწრაფო სასწრაფოზე ჰყოლიათ გამოძახებული. ნერვიულობისგან თურმე სულ „ბრექსიტ-ბრექსიტს“ იძახდა. გავარვარებული და ცეცხლმოკიდებული ანგელა წარამარა წყალს სვამდა და ტუალეტში დარბოდა — როგორც უკვე იცით, გერმანიის კანცლერს ნერვიულობაზე ფაღარათი ემართება. მოკლედ, ამჯერადაც ჩვენმა წყარომ მოგვაწოდა ფრიად საინტერესო ინფორმაცია, რომელსაც პირადად შეესწრო.**



ეს იმ დროს მოხდა, როდესაც **ანგელა** თავის პოლიტიკურ და-ძმებთან ერთად სამზარეულოში ბჭობდა და შფოთავდა. „ეს უმადური ეს. არა, რა დავაკელით? სწავლა? ფული თუ რა? ამის ღირსები ვიყავით? ახლა ჯორჯის (საქართველო) დასაცინები გავხდით, ვეუბნებით, მოდი, კარს გიღებთ და უცებ ამხელა კაცი გარბის ჩვენგან!“ — ამბობდა ანგელა და ნერვიულობისგან სიგარეტსაც კი მოუკიდა, თანაც ღერს ღერზე ეწეოდა.

— ვიცი, რისი ბრალიც არის. თავიდანვე გავათამამეთ. აი, მაშინ შევცდით, ევროზე რო არ გადავიყვანეთ და ფუნტზე დავტოვეთ, აი მაშინ ჩათვალა, რომ თავისი გაიტანა და შედეგიც აშკარაა. არა, რაღაც უნდა მოვიფიქროთ, — აგრძელებს ანგელა.

— ელისოც გაგიჟებული ყოფილა, — მიადევნა სიტყვა **ფრანსუა ოლანდმა.**

— ვინ ელისო? — იკითხა ანგელამ.

— დედოფალი. გუშინ 200 ჰქონია წნევა საწყალ ქალს, ეგ უნდოდა კიდევ? ისედაც ცალი ფეხი იქით აქვს. ამდენი ჯაფა და შრომა იმაში ჩავდე, რომ ეს ლაწირაკი ბავშვი ასე მოქცეულიყოო?

მთელი ღამე ძმრიან წყალში ქონია ჩაყოფილი ფეხები, ნერვიულობისგან დასიებია.

— უნდა დავრეკო, — თქვა ანგელამ და ტელეფონი მოიმარჯვა, თან მაცივრიდან ცივი ლუდი გამოიღო, მოყლუპა და სამეფოს ნომერი აკრიფა.

კარგა ხანს ელოდა პასუხს, ბოლოს ვიღაცამ გააგონა.

— ალო, ანგელა ვარ, მერკელი. ბებო დამალაპარაკეთ!

ანგელამ ტელეფონი ხმამაღალ რეჟიმზე ჩართო და დამსწრეებსაც მოასმენინა მისი და დედოფლის სატელეფონო დიალოგი.

— როგორ ხარ, ელიკო დეიდა? გავიგე, ცუდად ყოფილხარ...

— არ მკითხო, ენჯი, განადგურებული ვარ, მთელი ღამე კორვალოლებსა და ასპარკამებს ვსვამდი, ისე გავნერვიულდი, სასწრაფო სასწრაფოზე მყავდა, მერე ვალიდოლი დავიდე ენის ქვეშ, — უპასუხა ელისომ.

— რამ გადარია ეგ ბიჭი? რამე ხომ არ დალია ან მოწია?

— არ ვიცი, ენჯი, ოთახშია შეკეტილი და ხმას არავის გვცემს, თავი დამანებეთ, მარტო ყოფნა მინდაო.

— მამამისი რას ამბობს? — ჰკითხა ანგელამ.

— რა უნდა თქვას, ისიც გაოგნებულია, მთელი დღეა, ნერვიულობისგან შეშას ჩეხავს, ცული მოირტყა ცერა თითში, ისეთი დაბნეულია.

— ელო, ხო იცი, ახლა მაგისი წასვლა არ იქნება, რამე უნდა მოვიფიქროთ, დაველაპარაკოთ, ცხელ გულზე მიიღო გადაწყვეტილება და იქნებ ვინმე მივუგზავნოთ, რას იტყვი?

— არ ვიცი, ენჯი. ერთი ის ვიცი, რომ, მგონი, გადავყვები ამ ამბავს.

— რას ამბობ, ელიკო დეიდა, ფუ-ფუ-ფუ, — და ანგელამ სამჯერ დააკაკუნა, — არ ისვენებს ეგ ბიჭი, შოტლანდიელებთანაც ხო ჰქონდა გარჩევები, ეტყობა, ვერ ისწავლა ჭკუა.

— რას ამბობენ მაგის ძმაკაცები? — იკითხა ელისომ.

— რა უნდა თქვან?! გაოგნებულები არიან, ფრანსმა თქვა (საფრანგეთმა) გუშინწინ მემესიჯებოდა „ფეისბუქში“ და ვერაფერი შევატყვეო.

— ელიკო დეიდა, რაღაც მინდა გკითხო და ცუდად არ გამიგო: ეგ ბოლოს რუსებთან ხო არ ძმაკაცობდა?

— არა, შვილებს გეფიცები, სულ სახლში იყო და ძმაკაცებიც სახლში მოსდიოდნენ. არ ვიცი, ენჯი, იქნებ მოვიდეს გონზე და გაუნათდეს ტვინი, ცოტა ხანს დაველოდოთ, გენაცვალე; ახლა დავისვენებ, თორემ თავი ლამისაა გამისკდეს, კარგად იყავი, ლამაზო. — თქვა დედოფალმა და კავშირი გაწყდა.

**დიდუ აგირაია**

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვერ გამიგია, რატომ უშვებენ ჩვენი ექიმები პაციენტებს უცხოურ კლინიკებში, თითქოს არც იციან, რომ მკურნალობის ესა თუ ის მეთოდი, დიდი ხანია, დანერგილია საქართველოშიც ან უარესი — იციან და მაინც სხვას ურჩევენ. უამრავი თანხა იხარჯება; უამრავი, გაუბედურებელი ოჯახი ბრმად ენდობა „კეთილ“ რჩევას და, ისედაც დიდი პრობლემების წინაშე მდგარი, უფრო ირთულებს მდგომარეობას.“**

# «სამედიცინო ტურიზმი», როგორც სატყუარა

**ამ მასალის ქართველი მკითხველისთვის წარდგენა საჭიროდ მივიჩნიეთ ბოლო პერიოდში ტელევიზიითა და მედიის სხვა საშუალებებით ე.წ. სამედიცინო ტურიზმის, ანუ ქართველი პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობისთვის, პირდაპირ ვთქვათ, გადაბირების გაუთავებელი მოწოდებებისა და სარეკლამო კამპანიის გამო. ხან თურქეთის კლინიკებს გვახარბებენ, ხან — ისრაელისას... თითქოს საქართველში არც მედიცინა არსებობს, არც ექიმები გვყავს და არც ისეთი კლინიკები გაგვაჩნია, რომლებშიც პაციენტს სრულყოფილ სამედიცინო დახმარებას გაეწევენ... მოდური გახდა საკუთარის უარყოფა და მაინცდამაინც გადამთიელის ქება-დიდება... ამ პრობლემაზე გვესაუბრება საქართველოში ცნობილი კლინიკის, უმძლავრესი სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ცენტრის, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელძღვანელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა.**



**— მართლა ასე უჭირს დღეს ქართულ მედიცინას, თუ რაიმე სხვა, უფრო კომერციულ, ვილაც კერძო პირების ინტერესებზე დაფუძნებულ ტენდეციასთან გვაქვს საქმე?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის წამოჭრისთვის. რამდენიმე დღის წინათ ვუყურე რაღაც მსგავს ტელეგადაცემას და, სიმართლე გითხრათ, ძალიან შევწუხდი. **გული მტკივა, არ მინდა, დავიჯერო, რომ ჩვენთან ამას მავანთა ინტერესების გამო აკეთებენ, რომ სხვათა ინტერესების რეკლამირება უფრო ღირებულია ჩვენთვის, ვიდრე გადარჩენილი სიცოცხლე, რომ სხვისი კარგი გვირჩევნია ჩვენს გაცილებით უკეთესს.** ქალაქი სავსეა ამგვარი ბილბორდებით; საქართველოში სოკოებივით მომრავლდა უცხოეთის კლინიკების „წარმომადგენლობები“, რომლებიც სამედიცინო სერვისთან ერთად ლამის უფასო მგზავრობასა და სხვა კომფორტს სთავაზობენ პაციენტებს; ვერ გამიგია, რატომ უშვებენ ჩვენი ექიმები პაციენტებს უცხოურ კლინიკებში, თითქოს არც იციან, რომ მკურნალობის ესა თუ ის მეთოდი, დიდი ხანია, დანერგილია საქართველოშიც ან უარესი — იციან და მაინც სხვას ურჩევენ. უამრავი თანხა იხარჯება; **უამრავი, გაუბედურებელი ოჯახი ბრმად ენდობა „კეთილ“ რჩევას და, ისედაც დიდი პრობლემების წინაშე მდგარი, უფრო ირთულებს მდგომარეობას.**

მძიმე სენის წინაშე უმწეოდ დარჩენილი პაციენტებისთვის რთულია სწორი ტაქტიკისა და პრიორიტეტების განსაზღვრა და სწორედ აქ მუშაობს რეკლამა.

არც ერთი ქვეყნის მედიცინის, არც ერთი ექიმის დაკნინება არ მინდა. თითქმის ყველა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას ვიცნობ, ბევრი კლინიკის შესაძლებლობა პირადად მაქვს შესწავლილი. ვამაყობ იმით, რომ **დღეს საქართველოში არსებობს ის ტექნიკური შესაძლებლობები და ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც ბევრი განვითარებული ევროპული ქვეყნისთვისაც კი სანატრელია.** ამაში გარკვეული წვლილი მეც მაქვს შეტანილი, მაგრამ ახლა მთავარი ეს არ არის, მთავარი არის ის, რომ ჩვენს ქვეყანას, ქართველ პაციენტებს აქვთ ის, რაც არ აქვს ბევრი ევროპული პრესტიჟული კლინიკის კონტინგენტს. ბევრჯერ მითქვამს და მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო: **ქართველი ერის მთავარი სიმდიდრე, რომლითაც შეუძლია იამაყოს, არის მისი ინტელექტუალური პოტენციალი. საქართველოში გვაქვს სამედიცინო მიმართულებები — კეთდება პრაქტიკულად ყველა სახის გამოკვლევა და სამკურნალო ჩარევა, იქნება ეს ონკოლოგია, ქირურგია, ნეიროქირურგია, კარდიოქირურგია, რადიოლოგია თუ სხვა.**

რადიოლოგია მედიცინის ერთ-ერთი დინამიკური და სწრაფად განვითარებადი დარგია. ალბათ, არც ერთ სხვა დარგში ასე მოკლე პერიოდში არ მომხდარა ამდენი რევოლუციური ნახტომი: ახალ-ახალი თაობის კომპიუტერული ტომოგრაფები, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის აპარატები, ბირთვული მედიცინის განვითარება, სხივური თერაპიის მიღწევები ისე შემოიჭრა მედიცინაში, რომ დღეს ქირურგია, კარდილოგია, ონკოლოგია თუ მედიცინის ნებისმიერი სხვა დარგი წარმოუდგენელია რადიოლოგიის გარეშე.

გვყავს კარგად მომზადებული სპეციალისტები. კარგია, როცა ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთ აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს. ნებისმიერი ქვეყანა სიხარულით უღებს მათ კარს. საბედნიეროდ, ქართველებს გვახასიათებს განსაკუთრებული ნოსტალგია, რომელსაც ადრე თუ გვიან სამშობლოში მოვყავართ. ვიცნობ ძალიან ბევრ არაჩვეულებრივ ექიმს, რომლებმაც კარგი განათლება მიიღეს საზღვარგარეთ და ახლა აქ მოღვაწეობენ.

**მაშ, რატომ უნდა წავიდნენ ჩვენი პაციენტები უცხოეთში?**

**ვერ გეტყვით, ვის ინტერესებს ემსახურება, „სამედიცინო ტურიზმის“ რეკლამა, მაგრამ, ჩვენი მოქალაქეებისას რომ არა, ცხადია.**

**— მაშასადამე, საზღვარგარეთ წასვლას არ მოაქვს რაღაც განსაკუთრებული სარგებელი?**

— ნამდვილად ასეა. მეტსაც გეტყვით, დღეს საქართველოში არის რამდენიმე ხაზოვანი ამაჩქარებელი, მათ შორის, ამერიკული ფირმა „ვარიანის“ 2 უახლესი თაობის TrueBeam-ი ჩვენს ინსტიტუტშია განთავსებული. **ეს არის აპარატები, რომლებიც საშუალებას იძლევა, ონკოლოგიურ პაციენტებს ჩაუტარდეს წერტილოვანი, მიზანმიმართული დასხივება და რადიოქირურგიული (უსისხლო) ოპერაციები. დღეში, საშუალოდ, 150 პაციენტს უტარდება სხივური თერაპია ამ ორ აპარატზე.**

შედეგი საოცარია: ერთი კვირის წინათ მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებას ამავე ფირმის მესამე ხაზოვანი ამაჩქარებლის შეძენაზე. ამჟამად ეს იქნება უახლესი, 2016 წლის მოდელი — რადიოქირურგიული სისტემა EDGE Radiosurgery system. **ასეთი აპარატი სულ 21-ია მსოფლიოში, მათგან 16 ამერიკაშია და მხოლოდ 5 — ევროპაში. საქართველო იქნება პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპას, თურქეთსა და სხვა აზიურ ქვეყნებს შორის, სადაც დამონტაჟდება ასეთი კლასის აპარატი. აღარაფერს ვიტყვი სხვა რადიოლოგიური ტექნიკის კონცენტრაციაზე (კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფები, ლაპარასკოპიული და ენდოსკოპიური ქირურგიის შესაძლებლობები), რომელიც დღეს ხელმისაწვდომია ქართველი პაციენტებისთვის.**

**— ხელმისაწვდომია? ასეთი ძვირადღირებული აპარატურისა და სერვისის ფასებს გაწვდება კი ჩვენი მოსახლეობა?**

— ჯერ ერთი, სახელმწიფო ძალიან დიდ შეღავათს უკეთებს პაციენტებს. **საყოველთაო ჯანდაცვა აფინანსებს როგორც გადაუდებელ, ისე გეგმურ ქირურგიულ ოპერაციებს, ქიმიოთერაპიას, რადიოთერაპიას, მიუხედავად მოქალაქის ასაკისა და სოციალური კუთვნილებისა. რამდენი ქვეყანა შეგიძლიათ დამისახელოთ, რომელშიც დაფინანსება საყოველთაოა?** ცნობილია, რომ უმეტესად განვითარებულ ქვეყნებში მუშაობს სადაზღვევო მედიცინა. მეორე მხრივ, **საზღვარგარეთ ასეთი დონის მკურნალობა 10-15-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ჩვენთან. იმ პაციენტების უმრავლესობას, რომლებიც საზღვარგარეთ მიდიან სადიაგნოსტიკოდ და სამკურნალოდ, როგორც წესი, ბოლო კაპიკამდე ამოაწურინებენ სახსრებს და ასე ისტუმრებენ შინ.** რომ იცოდეთ, რამდენი ამნაირი მოდის შემდეგ ჩვენთან ინსტიტუტში და გაოგნებული იგებს, რომ ზუსტად იგივე და კიდევ უფრო კარგი მკურნალობის ჩატარება შეიძლება თურმე საქართველოში და თანაც — გაცილებით იაფად.

**«იმ პაციენტების უმრავლესობას, რომლებიც საზღვარგარეთ მიდიან სადიაგნოსტიკოდ და სამკურნალოდ, როგორც წესი, ბოლო კაპიკამდე ამოაწურინებენ სახსრებს და ასე ისტუმრებენ შინ. რომ იცოდეთ, რამდენი ამნაირი მოდის შემდეგ ჩვენთან ინსტიტუტში და გაოგნებული იგებს, რომ ზუსტად იგივე და კიდევ უფრო კარგი მკურნალობის ჩატარება შეიძლება თურმე საქართველოში და თანაც — გაცილებით იაფად»**

**— შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ თქვენს ინსტიტუტში ყველა ის მიმართულებაა დანერგილი, რომლებიც დღეს თანამედროვე მედიცინას გააჩნია? რას იტყვით, მაგალითად, „პეტ“-ზე, რომელიც, როგორც ვიცი, არ გაქვთ, არადა, ყველაზე ხშირად სწორედ „პეტ“-ის გასაკეთებლად მიდიან საზღვარგარეთ, რადგან იგი ლამის პანაცეად არის მიჩნეული ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკაში?**

— აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დღეს მსოფლიოში აღინიშნება ონკოლოგიური დაავადებების სიხშირის მატების განუხრელი ტენდენცია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოს 14 მლნ-ზე მეტი ახალი შემთხვევა რეგისტრირდება. არ არის გასაკვირი, რომ ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის პრობლემები მსოფლიო ჯანდაცვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად იქცა.

**საქართველოში ყოველწლიურად აღირიცხება 14 000-მდე ახალი ონკოლოგიური პაციენტი. აქვე აღსანიშნავია, რომ რეალურად ონკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევების მატებას ხელი შეუწყო დიაგნოსტიკის მეთოდების სრულყოფამაც.**

მოდით, შევთანხმდეთ, რომ ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში პანაცეა არ არსებობს. ონკოლოგია მულტიდისციპლინური დარგია.

**ყველა მეთოდს, იქნება ეს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული, კომპიუტერული თუ ნებისმიერი სხვა, აქვს თავისი უპირატესობა და კონკრეტული ჩვენებები.** ყველა ეს მეთოდი შეავსებს ერთმანეთს, მაგრამ ერთი მეორეს არ ჩაენაცვლება. რაც შეეხება პეტ-ს, ანუ პოზიტრონულ ემისიურ ტომოგრაფიას, იგი უდავოდ მნიშვნელოვანი და ინფორმაციული მეთოდია ზოგიერთი ონკოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკაში. „ზოგიერთი“ იმიტომ ვთქვი, რომ ამ მეთოდის გამოყენება 36 ძირითადი ონკოლოგიური ნოზოლოგიიდან მიზანშეწონილია მხოლოდ 9 დაავადების შემთხვევაში. დანარჩენი პათოლოგიების დროს მას არ ენიჭება მაღალი ინფორმაციული როლი. დიდია პეტ-ის მგრძნობელობა ლიმფომების, ფილტვის წვრილუჯრედული კიბოს, თავ-კისრის სიმსივნეების დროს; საკმაოდ შეზღუდულია თავის ტვინის, პროსტატის, ღვიძლის, ძუძუს კიბოს პირველად დიაგნოსტიკაში, უკუნაჩვენებია ორსულებისთვის, სიფრთხილით გამოიყენება 18 წლამდე ბავშვებში. საკმაოდ კარგია უცნობი პირველადი კერის დასადგენად და ბიოფსიის ადგილის შესარჩევად, თუმცა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ცვლის ბიოფსიას და ვერ ხედავს 8 მმ-ზე ნაკლები ზომის წარმონაქმნებს.

გავიმეორებ — კვლევის სხვადასხვა მეთოდი ავსებს ერთმანეთს, მხოლოდ მათი ერთობლიობა იძლევა სრულ საბოლოო სურათს, რომელიც აუცილებელია ზუსტი დიაგნოზისა და ამ ზუსტ დიაგნოზზე დამყარებული მკურნალობის სწორი ტაქტიკის შესარჩევად.

**ჩვენს ინსტიტუტში სპეციალურად აშენებულ მესამე კორპუსში სექტემბრისთვის განთავსდება სხივური თერაპიის ის უახლესი აპარატი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ და ბრაქითერაპიის ახალი განყოფილება. როგორც ერთ-ერთი** ▶

**ჰილარის თავგამოდება ჰომოსექსუალთა დასაცავად არავის უნდა გაუკვირდეს, რადგან, როგორც სახელგანთქმული „ბითლზის“ წევრის — ჯონ ლენონის ქვრივმა იოკო იონომ ახლახან აღიარა, „1970-იან წლებში, როცა ჯონთან ერთად ნიუ იორკში, მანჰეტენზე ცხოვრობდა, ხოლო ჰილარი იელის უნივერსიტეტში სწავლობდა, მასთან ინტიმური კავშირი ჰქონდა“.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ვარიანტი, განიხილება პეტ-ის შეძენაც, მაგრამ გამოგიტყდებით, კიდევ უფრო ახალ, ამბიციურ გამოწვევებზეც ვფიქრობთ...** მანამდე კი, ჩვენს ძირითად თემას რომ დავუბრუნდეთ, არც პეტ-ის გადასაღებად არის აუცილებელი საზღვარგარეთ გამგზავრება — უკვე 2 წელიწადზე მეტია, პეტ-ი დგას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში (ინგოროყვას კლინიკაში). ამასთანავე, ფაქტია, რომ მრავალი დაავადებისას პეტ-ის შესაძლებლობებს სრულად ასრულებს მთელი სხეულის mrt კვლევა, ეგრეთწოდებული Whole body MRI, რომელსაც საერთოდ არ აქვს არავითარი დასხივება და აბსოლუტურად უსაფრთხოდ გამოიყენება ბავშვებში.

**— ბატონო ფრიდონ, თქვენ ახსენეთ უსაფრთხოება. როგორც ცნობილია, რენტგენი, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა და პეტ-იც გარკვეულწილად მაინც გულისხმობს დასხივების რაღაც დოზას. რამდენად საშიშია ეს პაციენტისთვის?**

— ეს ის თემაა, რომელზეც, როგორც წესი, არ საუბრობენ. ეს გამოკვლევები დაფუძნებულია გამა-გამოსხივებაზე, შესაბამისად, კვლევის შედეგად ხდება პაციენტის სხივური დატვირთვა, რომელსაც, შესაძლოა, ხშირად სავალალო შედეგი მოჰყვეს, განსაკუთრებით — ბავშვებში. ნებისმიერი კვლევის მეთოდის გამოყენებისას გულმოდგინედ უნდა იქნას შესწავლილი ყველა ჩვენება და უკუჩვენება, შეფასდეს რისკი და მისი აუცილებლობა გამოკვლევის შედეგის ინფორმაციულობის თვალსაზრისით. მაგალითისთვის: პეტ-ის ერთჯერადი დასხივების დოზა 1,5-ჯერ აღმატება წლიურ დასაშვებ ნორმას. არადა, ხშირად მსმენია, რომ საზღვარგარეთ სწორედ პეტ-ის გასაკეთებლად მიემგზავრებიან, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა ეს გამოკვლევა სულაც არ არის აუცილებელი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო თაობის მანქანებზე კვლევა უფრო სწრაფია, შესაბამისად, მცირდება გამოსხივების პერიოდი და დოზა. ახალი აპარატები აღჭურვილია სპეციალური უსაფრთხოების სისტემებით. ეს ეხება სხივური თერაპიის აპარატებს, კომპიუტერულ ტომოგრაფებს, ნებისმიერი სახის რენტგენოლოგიურ ტექნიკას, პეტ-სისტემებს. ასე მაგალითად, SIEMENS-ის PET CT-ის 2016 წლის მოდელს უპრეცედენტოდ დაბალი სხივური დატვირთვა აქვს. სწორედ ამიტომ, როგორც რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ყოველთვის ვურჩევ ჩემს კოლეგებს, კლინიკების ხელმძღვანელებს, შეიძინონ ბოლო თაობის აპარატები და არა ძველი, ევროპაში უკვე ექსპლუატაციიდან გამოსული საეჭვო ვარგისიანობის დანადგარები. მხოლოდ ასე შეიძლება როგორც პაციენტის, ასევე იმ ექიმის დაცვა, რომელიც მსგავს აპარატურაზე მუშაობს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დარწმუნებული ვართ, რომ ბატონ ფრიდონ თოდუას საუბარი გაარკვევს ჩვენს მოქალაქეებს, რა შესაძლებლობები არსებობს საქართველოში დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეში.**

# ნიუ იორკში გამართულ გეიაღლუმში ჰილარი კლინტონთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ





**26 ივნისს ნიუ იორკში გამართულ გეიაღლუმზე, რომელიც ორი კვირის წინათ ორლანდოს (ფლორიდის შტატი) გეიკლუბში მოკლული 49 ადამიანის ხსოვნას მიეძღვნა, მოულოდნელად გამოჩნდა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ჰილარი კლინტონი. ის ნიუ იორკის მერ ბილ დე ბლაზიოსა და შტატის გუბერნატორ ენდრიუ კუომოსთან ერთად გულითადად მიესალმა ჰომოსექსუალებს.**

ჰილარი კლინტონის მეუღლის, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის — ბილ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის სკანდალურ ინტიმურ ურთიერთობას თავი რომ დავანებოთ, ჰილარის თავგამოდება ჰომოსექსუალთა დასაცავად არავის უნდა გაუკვირდეს, რადგან, როგორც სახელგანთქმული „ბითლზის“ წევრის — ჯონ ლენონის ქვრივმა **იოკო იონომ** ახლახან აღიარა, **„1970-იან წლებში, როცა ჯონთან ერთად ნიუ იორკში, მანჰეტენზე ცხოვრობდა, ხოლო ჰილარი იელის უნივერსიტეტში სწავლობდა, მასთან ინტიმური კავშირი ჰქონდა“.**

ჰილარი კლინტონისა და იოკო იონოს ლესბოსურ ურთიერთობაზე მეტად განსაცვიფრებელია ის, რომ ნიუ იორკში გამართულ გეიაღლუმზე ქართული დროშებიც ფრიალებდა. აი, ასე არცხვენენ მამა-მარჩენალ ქვეყანაში გადახვეწილი ქართველები სამშობლოს.

# საგანგაშო დასკვნა: ჰაერის დაბინძურების გამო მსოფლიოში ყველაზე მაღალი მოკვდავობა საქართველოშია

## საქართველო ეკოლოგიური პრობლემების გამო დაღუპულთა რაოდენობით ლიდერია

**იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში მე-20 საუკუნის ავტომობილებს კრძალავენ, საქართველოში ისეთი ელემენტარული სტანდარტის შემოღება ვერ ხერხდება, როგორიცაა ავტომობილების ტექდათვალიერება და მავნე გამონაბოლქვის შემცირება. ხელისუფლებაზე გავლენას ვერც ექიმები ახდენენ, რომლებიც ქვეყანაში ონკოლოგიური დაავადებების ზრდის გამო განგაშს ტეხენ და ხელისუფლებას შესაბამისი ნაბიჯების უსწრაფესად გადადგმისკენ მოუწოდებენ.**

ჰაერის დაბინძურების მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობით საქართველო მსოფლიოში ლიდერობს. შესაბამისი კვლევა საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტო **IEA**-მ გამოაქვეყნა. ანგარიში სახელწოდებით Energy and Air Pollution მიმდინარე წელს არის გამოქვეყნებული, თუმცა ამ კონკრეტული მიმართულებით 2012 წლის მონაცემებს ასახავს. კვლევაში მოცემულია მოკვდავობის მაჩვენებელი ყოველ 100 ათას კაცზე, რომელიც გამოწვეულია ჰაერის დაბინძურების შედეგად. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს შემდეგ ყველაზე მაღალი მოკვდავობა ყოველ 100 ათას კაცზე ბულგარეთშია. შემდეგ მოდის ჩინეთი და ინდოეთი. ათეულში შედის უნგრეთი, ჩადი, რუსეთი, ნიგერია, პაკისტანი და ინდონეზია. საყურადღებოა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2016 წლის მონაცემებიც. აქ მსოფლიო ქალაქებს შორის გარემოს **დაბინძურების მიხედვით თბილისი 570-ე ადგილზეა.**

არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც OECD-ის (Organisation for Economic Co-operation and Development) ჩარჩოში 1974 წელს შეიქმნა, ანგარიშში აღნიშნავს, რომ 2012 წელს ჰაერის დაბინძურების მიზეზით 6,5 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოში ყოველი 9 ადამიანიდან ერთი ამ მიზეზით იღუპება.

ჰაერის დაბინძურება იწვევს ფილტვების სიმსივნეს, ფილტვების ქრონიკულ და გულის დაავადებებს. ამავე ანგარიშით, ჰაერის დაბინძურებას ასევე შეუძლია გამოიწვიოს დაბალი შობადობა, ტუბერკულოზი, კატარაქტა, ასევე ხორხის სიმსივნე. 5 წლამდე ბავშვებში კი ჰაერის დაბინძურება პნევმონიის მიზეზია. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ჰაერის დაბინძურების მიმართ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფად სწორედ ბავშვები მიიჩნევიან.

არასამთავრობო ორგანიზაცია **IEA** ძირითადად ენერგეტიკულ საკითხებზე მუშაობს, მისი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ინფორმაციის (ანგარიშების, კვლევების) გამოქვეყნება სხვადასხვა საკითხზე, როგორიცაა ენერგეტიკული უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება და გარემოს დაცვა.

**P.S. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ უარყო, რომ ქვეყანაში ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებელია.**

# თამაზ მეჭიაური: თინა ხიდაშელი მთავრობაში «შაჰიდის ქმრის» როლს ასრულებს

**დეპუტატი თამაზ მეჭიაური გამოეხმაურა თავდაცვის მინისტრის განცხადებას ჯარში სავალდებულო გაწვევის გაუქმების შესახებ.**



„თინა ხიდაშელი მთავრობაში „შაჰიდის ქმრის“ როლს ასრულებს. ვინც მას ამდენ ხანს თანამდებობაზე აჩერებს, პასუხისმგებლობა მანაც უნდა აიღოს, იმიტომ, რომ ეს ქალი არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებს. არ მესმის, რატომ დგას ის პარლამენტის ზემოთ, აუქმებს გაწვევებს და იღებს სხვადასხვა საზიანო გადაწყვეტილებას. მან ასევე განაცხადა, რომ ამერიკა გვეხმარება. მაინტერესებს, რაში გამოიხატება ამერიკის დახმარება(?!) — ორი ტანკით და სასულე ორკესტრით? ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ამით აპირებს? ამ ქალის გადაწყვეტილებებში დამატებით საფრთხეებს ვხედავ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის კუთხით. რუსეთი რომ ამას რეაგირების გარეშე არ დატოვებს, იმედია, ეჭვი არ ეპარება. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს ქალი არაადეკვატურია, მისი გადაწყვეტილებები — პოპულისტური, რომლებიც მკვდარი რესპუბლიკური პარტიის გაცოცხლებას ისახავს მიზნად“, — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

# ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: ჟან-კლოდ იუნკერი თანამდებობისთვის შეუფერებელია

**ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუბომირ ზაორალეკმა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერი გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ის თანამდებობისთვის შეუფერებელია.**



„ვინმეს გადადგომისკენ არ მოვუწოდებ, მაგრამ ვიღაც უნდა იყოს პასუხისმგებელი იმ ფაქტზე, რომ მან ვერ შეძლო „ბრექსიტის“ შედეგების პროგნოზირება. მიმაჩნია, რომ ევროკომისიის მოქმედი თავმჯდომარე თანამდებობისთვის შეუფერებელია. მინდა, რომ ევროკომისიის ხელმძღვანელი პატივცემული, ღირსეული ადამიანი იყოს, რომელსაც საზოგადოება ენდობა“, — განაცხადა ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისტორიის დაუფარავი ფალსიფიკაცია განპირობებული იყო რეჟიმის მისწრაფებით, მაქსიმალურად მოეწყვიტა ქართველი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი მეგობრისგან — ერთმორწმუნე რუსი ერისგან; დაეთესა ხალხთა შორის მტრობა და შუღლი. რუსოფობია გადაიქცა „ნაციონალური“ რეჟიმის მთავარ მკვებავ ნიადაგად“.**

# მრგვალი მაგიდა — «დიდი სამამულო ომი და საქართველო დღეს»

**2016 წლის 21 ივნისს სასტუმრო „ვერე პალასში“ პუბლიცისტ დავით მხეიძის ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა სახელწოდებით „დიდი სამამულო ომი და საქართველო დღეს“. შეხვედრას პოლიტოლოგები, პოლიტიკოსები, საქართველოს პარლამენტის წევრები, ისტორიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები ესწრებოდნენ.**







## «ქართველებისთვის უცხოა ქსენოფობია, მით უმეტეს — რუსოფობია»

**დავით მხეიძე, პუბლიცისტი:**

— შეხვედრის მიზანი იყო, საზოგადოებისთვის გაგვეხსენებინა დიდი სამამულო ომის დაწყების მიზეზები და საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს, როლი ფაშიზმის დამარცხებაში. მოგეხსენებათ, დღეს მსოფლიოში ანტირუსული ისტერია მძვინვარებს, რომელსაც საქართველოც უერთდება. ქვეყანაში გამოჩნდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც საფუძველშივე კლავენ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის აღდგენის შანსს. არ შეიძლება, მეზობელ ქვეყანას უთხრა, რადგან ევროპამ ზურგი გვაქცია, ახლა შენ დაგელაპარაკებითო. ეს უარყოფითად განაწყობს მოპირდაპირე მხარეს. ჩვენი მიზანია, საზოგადოებას ვამცნოთ, რომ მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გადაარჩენს ქვეყნის ეკონომიკას.

## «საქართველოში არ უნდა არსებობდეს უცხოური სამხედრო ბაზები»

**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

— დიდი სამამულო ომის თემა ყოველთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია. აუცილებელია, ქართველმა ხალხმა მე-20 საუკუნის ისტორია შეისისხლხორცოს და ყველა კითხვას ადეკვატური პასუხი გასცეს. არ არის აუცილებელი, დავრჩეთ წარსულში, შესაძლებელია, რომ ახლებური ხედვებიც გვქონდეს, მაგრამ სამამულო ომის დეტალების გაქიაქება დაუშვებელია.

ძალიან ცუდია, რომ დიდი სამამულო ომის ვეტერანები, რომლებიც თითო-ოროლაღა შემორჩნენ ქვეყანას, მხოლოდ 9 მაისს ახსენდებათ და 200 ლარს ჩუქნიან ხოლმე. ომის თემას არ აშუქებს არც ერთი ტელევიზია და მხოლოდ რუსეთთან კონფრონტაციაზეა საუბარი. აღარ ვლაპარაკობ სტალინის წინააღმდეგ დაწყებულ ისტერიაზე...

ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების დასარეგულირებლად, მაგრამ სასურველი შედეგებისგან ჯერ შორს ვართ. ძალზე ცოტა გაკეთდა საიმისოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მიეცეს ჯეროვანი შეფასება დიდ სამამულო ომს, როგორც მთელი კაცობრიობისა და, მათ შორის, საქართველოს გადარჩენისთვის ომს. გამარჯვების დღე — 9 მაისი — საქართველოში ჯეროვნად არ აღინიშნება, ყველაფერი შემოიფარგლება იმით, რომ ოფიციალური პირები თბილისში უცნობი ჯარისკაცის მონუმენტს თაიგულებით ამკობენ, ცოცხლად დარჩენილ მცირერიცხოვან ვეტერანებს კი ერთჯერად დახმარებას ურიგებენ. საქართველოს ქალაქებში ამ დღეს არ ჩანს ბანერები მისალოცი სიტყვებით, არ არის სატელევიზიო მიმართვები, არ ხდება ომის თემაზე დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ჩვენება.

დავით მხეიძის ინიციატივით გამართული მრგვალი მაგიდა მეტად დროული და მნიშვნელოვანია ქართველი საზოგადოებისთვის.

**მრგვალი მაგიდის — „დიდი სამამულო ომი და საქართველო დღეს“ — მონაწილეებმა შეაჯამეს რა ღონისძიება, შეადგინეს მიმართვა საზოგადოებისა და ხელისუფლებისადმი, რომლის ტექსტს აქვე გთავაზობთ:**

„ანტიქართული „ნაციონალური“ რეჟიმის პირობებში საზოგადოებას თავს მოახვიეს აზრი, რომ საბჭოთა კავშირის ბრძოლა ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ 1941-1945 წლებში ორ ტოტალიტარულ სისტემას — კომუნიზმსა და ფაშიზმს — შორის კონფრონტაციის გამოვლინება იყო. დიდი სამამულო ომის ცნება პრაქტიკულად გააუქმეს, რადგან საქართველო განიხილებოდა საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ და, ამ მხრივ, ორ ტოტალიტარულ სისტემას შორის დაპირისპირებაში იძულებით ჩათრეულ ქვეყნად. ფაშიზმზე გამარჯვების დამსახურება ძირითადად „დემოკრატიულ“ დასავლეთს მიეწერებოდა, რომლითაც თურმე ისარგებლა კომუნისტურმა საბჭოთა კავშირმა და გააძლიერა საკუთარი პოზიციები.

ისტორიის ამგვარი დაუფარავი ფალსიფიცირება განპირობებული იყო რეჟიმის მისწრაფებით — მაქსიმალურად მოეწყვიტა ქართველი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი მეგობრისგან — ერთმორწმუნე რუსი ერისგან, დაეთესა ხალხთა შორის მტრობა და შუღლი. რუსოფობია გადაიქცა „ნაციონალური“ რეჟიმის მთავარ მკვებავ ნიადაგად.

მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი დარჩა ერთგული იდეალებისა, რომელთა გამოც ასიათასობით ქართველი მიდიოდა ფაშიზმის წინააღმდეგ ომში. ქართველებისთვის უცხოა ქსენოფობია, მით უმეტეს, რუსოფობია. ქართველმა ხალხმა იმიტომაც უთხრა „არა“ ანტიხალხურ რეჟიმს, რომ იგი აწარმოებდა პროვოკატორულ პოლიტიკას რუსეთის მიმართ, რომელმაც ისევ და ისევ საქართველო დააზარალა.

დღევანდელმა ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისკენ, მაგრამ სასურველი შედეგებისგან ჯერ ისევ შორს ვართ. ძალზე ცოტა გაკეთდა საიმისოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მიეცეს ჯეროვანი შეფასება დიდ სამამულო ომს, როგორც მთელი კაცობრიობისა და, მათ შორის საქართველოს, გადამრჩენს. გამარჯვების დღე — 9 მაისი საქართველოში სათანადოდ არ აღინიშნება, ყველაფერი შემოიფარგლება იმით, რომ ოფიციალური პირები თბილისში უცნობი ჯარისკაცის მონუმენტს თაიგულებით ამკობენ, საუკუნეს მიტანებულ მცირერიცხოვან ვეტერანებს კი ერთჯერად დახმარებას ურიგებენ. საქართველოს ქალაქებში ამ დღეს არ ჩანს მოსალოცი ბანერები, არ არის სატელევიზიო მიმართვები, არ ხდება ომის თემაზე დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ჩვენება. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შეკვეცილად ისწავლება დიდი სამამულო ომის ისტორია, უფრო მეტიც, ეს ისტორია მახინჯდება. არ დასჯილან პირები, რომლებიც გორში სტალინის ძეგლის უკანონო დემონტაჟზე არიან პასუხისმგებელნი. მეტიც, ახალმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, შეესრულებინა მოქალაქეთა უმრავლესობის მოთხოვნა — სტალინის ძეგლი თავის ადგილას დაებრუნებინა.

ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის უმრავლესობის ნებას, ამიტომ მოვუწოდებთ პარლამენტსა და მთავრობას, ხელისუფლების ყველა შტოს, გამოფხიზლდნენ და ამ პრობლემას ყურადღება მიაქციონ, რადგან წარსულის ჯეროვანი გააზრების გარეშე ჩვენს ქვეყანას არ ექნება მომავალი.

საქართველოს ასევე არ სურს, იყოს დასავლეთის ხელში რუსეთის საწინააღმდეგო ინსტრუმენტი. ჩვენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურაში საქართველოს ჩათრევის გზით კავკასიის რეგიონში ვითარების ხელოვნური დაძაბვის წინააღმდეგ გამოვდივართ. საქართველოში არ უნდა არსებობდეს უცხოური სამხედრო ბაზები. საქართველო უნდა გახდეს ურთიერთთანამშრომლობის არენა.

მრგვალი მაგიდის მონაწილენი:

**გოგი თოფაძე**, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი;

**რამაზ ხუროძე**, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი;

**ლევან ჩაჩუა**, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეის“ თავმჯდომარე;

**ტარიელ გაგნიძე**, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე;

**იოსებ არჩვაძე**, პროფესორი;

**თამარ კიკნაძე**, პროფესორი;

**ნანა ჭითელაშვილი**, პროფესორი;

**გიორგი შერვაშიძე**, გადამდგარი გენერალი;

**ტრისტან ჭითელაშვილი**, გადამდგარი გენერალი, ყოფილი პოლიტპატიმარი;

**ომარ მხეიძე**, საქართველოს სახალხო არტისტი;

**ომარ მარგველაშვილი**, მეწარმე;

**იური მეჩითოვი**, მხატვარი-ფოტოგრაფი;

**ნანა დევდარიანი**, პოლიტოლოგი, საქართველოს ყოფილი ომბუდსმენი;

**გივი ვანიშვილი**, გადამდგარი ოფიცერი, ყოფილი პოლიტპატიმარი;

**ავთანდილ იოსელიანი**, პოლიტიკური მოძრაობა „რუსეთი ჩემი მეზობელიას“ თავმჯდომარე;

**გელა ღლიღვაშვილი**, პროფესორი;

**გიორგი ნიშნიანიძე**, ექიმი;

**დავით გოგიშვილი**, ისტორიკოსი;

**გულბაათ რცხილაძე**, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი;

**დავით მხეიძე**, პუბლიცისტი

თბილისი, 21 ივნისი, 2016 წ.“

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**„ნეოდიქტატორებმა“ უკვე დაუფარავად განაცხადეს, რომ უმაღლესი სასწავლებლების ტრადიციული ორიენტაციის პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც გაბედავენ და საჯაროდ ან მალულად შეეწინააღმდეგებიან „ორიენტაციის შეცვლას“, უბრალოდ, დაითხოვენ სასწავლებლიდან.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## რადიკალური სოდომიზმი შეტევაზე გადმოდის

**2016 წლის 1 სექტემბრიდან კანადის უმაღლესი სასწავლებლები „ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიით“ იმუშავებენ. ყველა თანამშრომელს, რომლებისთვისაც მიუღებელი იქნება ერთნაირსქესიანთა იდეოლოგია, დაითხოვენ.**

### კანადის უნივერსიტეტებში ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიას ნერგავენ

ამა წლის 24 მაისს ამერიკულმა და კანადურმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ **კანადის უნივერსიტეტებსა და სხვა სასწავლებლებში დიქტატორული მეთოდით ცდილობენ ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიის გავრცელებას. სასწავლებლების ყველა მასწავლებელი თუ რიგითი თანამშრომელი ვალდებულია, ჩააბაროს გამოცდა (ტესტი) გენდერული თეორიის საფუძვლების შესახებ და შემდეგ ეს ცოდნა გადასცეს სტუდენტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლებლიდან დათხოვნა ემუქრება.**

კანადაში სტარტი აიღო პროგრამა „გადამზადებამ“, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომელთა ცოდნის ამაღლებას ითვალისწინებს ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიის საკითხებში. ამ პროექტის ავტორებმა განაცხადეს, რომ ყველას, ვინც ნებისმიერი მიზეზით არ შეისწავლის ჰომოსექსუალიზმის ანბანას ლექციებზე, სემინარებსა და კოლოკვიუმებზე, დაითხოვენ.

კანადურ პროექტს ეწოდება **„ახალი ინკლუზია“.** ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტმა (ვანკუვერი, კანადა) უკვე მიიღო დაფინანსება ჰომოსექსუალების კოჰორტისგან და იძულებულია, „ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგია“ სახელწოდებით „ახალი ინკლუზია“ სასწავლებლის სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეიტანოს.

ჰომოსექსუალისტები, პირველ რიგში, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიური ფაკულტეტების პედაგოგების გადამზადებას გეგმავენ. კანადის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების „ვექტორის შეცვლის“ იდეოლოგები არიან არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელთა ჯგუფები, რომლებმაც გულუხვად დააფინანსეს „ორიენტაციის ცვლილება კანადის უმაღლეს სასწავლებლებში“.

**ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანმა ჟურნალისტებთან საუბარში განმარტა, რომ პედაგოგების „გადამზადების“ პროგრამა ითვალისწინებს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიც არის „ჰომოსექსუალებისთვის განკუთვნილი ტუალეტების გამოყენება“.** უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა განცხადებით, „ინკლუზია“ კლიმატს შეცვლის ამ სასწავლებელში, აგრეთვე, სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადების პოლიტიკას კანადაში. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა „ახალი ინკლუზიის“ გავრცელებას და ამით არა მხოლოდ „სასწავლო გეგმების“, არამედ „თანამდებობრივი ინსტრუქციებისა“ და „საგანმანათლებლო კომპეტენციის“ ორიენტაციის შეცვლას აპირებს კანადის ყველა უნივერსიტეტში.



ამასთანავე, **„ორიენტაციის შეცვლა“ ულტერნატივოდ გავრცელდება კანადელი საზოგადოების სასწავლო და სამეცნიერო წრეებზე. და ეს უზრუნველყოფს კანადის საგანმანათლებლო და კულტურული სივრცის წარმომადგენელთა ტოტალურ ჰომოსექსუალიზაციას, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს „ჰომოსექსუალიზმის გამარჯვებას“ კონტინენტზე.** ფაქტობრივად, წესდება თავისებური კონტროლი უმაღლესი სასწავლებლების თითოეული პედაგოგისა და თანამშრომლის ცნობიერებაზე. პროექტის ავტორებმა უკვე ოფიციალურად განაცხადეს, რომ „დარწმუნების“ კონტროლი განხორციელდება კანადის უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომელთა გადამზადების სპეციალურ კურსებზე.






პედაგოგებმა და სტუდენტების მშობლებმა უკვე გამოხატეს შეშფოთება კონტროლის ე.წ. ალტერნატიული მეთოდების შემოღების გამო, რადგან გამორიცხული არ არის, რომ კანადელი პროფესორ-მასწავლებლებისთვის „იდეოლოგიური მითითებების“ შესრულებაზე კონტროლის დაწესების ერთ-ერთი მეთოდი იყოს კოლეგების დასმენა, ვიდეოკამერების დამონტაჟება და სატელეფონო საუბრების მოსმენა.

ტრადიციული ორიენტაციის მქონე კაცობრიობა კი „კანადელი ჰომოსექსუალების ლაშქრობას“ კანადისა და მსოფლიოს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე აფასებს, როგორც დისკრიმინაციის დიქტატორულ მცდელობას კანადისა და მსოფლიოს ტრადიციულ მოსახლეობაზე.

მილიარდერი ჰომოსექსუალების მიერ გამოყოფილ ფინანსურ ნაკადებს შეუძლია უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცის „იდეოლოგიური გარდაქმნა“ არა მხოლოდ კანადაში, არამედ მსოფლიოში.

კანადელმა „ნეოდიქტატორებმა“ უკვე დაუფარავად განაცხადეს, რომ უმაღლესი სასწავლებლების ტრადიციული ორიენტაციის პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც გაბედავენ და საჯაროდ ან მალულად შეეწინააღმდეგებიან „ორიენტაციის შეცვლას“, უბრალოდ, დაითხოვენ სასწავლებლიდან.



# გერმანიაში სანიტარმა, რომ არ მოეწყინა, 33 პაციენტი მოკლა

**გერმანიაში ერთ-ერთი საავადმყოფოს ყოფილი სანიტარი, რომელსაც ორი პაციენტის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, კიდევ ათობით ადამიანის მკვლელობაში დაადანაშაულეს.**

გაირკვა, რომ მსჯავრდადებულმა 33 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. როგორც მან განაცხადა, მკვლელობები სამუშაო ადგილზე ჩაიდინა მოწყენილობის გამო.

გერმანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სანიტარი-მკვლელი ერთდროულად მოქმედებდა გერმანიის ორ ქალაქში — დალმენჰორსტსა და ოლდენბურგის ახლოს. ბოროტმოქმედმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ პაციენტებს ინიექციებს უკეთებდა, შემდეგ კი მათ რეანიმირებას ცდილობდა, რათა კოლეგების შექება დაემსახურებინა.

ახალი გარემოებების გამოვლენის გამო გერმანიის ხელისუფლებამ სამართალდამცავებს იმ სამედიცინო დაწესებულების პაციენტების გვამების ექსჰუმაციის უფლება მისცა, რომლებშიც ბრალდებული მუშაობდა.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შემთხვევა მოხდა 2015 წელს აშშ-ში. ონკოლოგმა **ფარიდ ფატამ** თავისი რამდენიმე პაციენტი ქიმიოთერაპიითა და დასხივების დიდი დოზებით მოკლა. ექიმი-მკვლელი ამას სარგებლის მიღების მიზნით აკეთებდა — პრეპარატებს მისგან ყიდულობდნენ და ამ ბინძური შემოსავლებით დიდძალი ქონება დააგროვა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



სმოლენსკში ჩასული გოლოვანოვი დღე და ღამეს ასწორებდა, რათა სრულად დაეკომპლექტებინა პოლკი და სასწრაფოდ დაეწყო სამხედრო წვრთნები. სამოქალაქო ავიაციაში გაწაფული მფრინავები სწრაფად ეუფლებოდნენ სამხედრო ხელოვნებას. Ƨგოლოვანოვმა პოლკში ჩაიყვანა ორი თვითმფრინავი „დუგლასი“, რომლებიც სასწრაფოდ გადააკეთეს საჰაერო ლაბორატორიებად. თვითმფრინავების კაბინებსა და კამერებში განთავსებული იყო რადიონავიგაციის სისტემები. სპეციალისტები შესანიშნავად მართავდნენ ყოველგვარ ამინდში ყველა მიმართულებით მფრინავ ბომბდამშენებს.

# სტალინი და მარშალი გოლოვანოვი

## «მზად ვარ, სიმართლისთვის დავიკისრო პასუხისმგებლობა!»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22 (251)

### ნაწილი III

**„სტალინის ბრძანებით, ავიაციის გენერალ-მაიორი ვასილი მოლოკოვი და გენერალ-ლეიტენანტი პავლე რიჩაგოვი სტალინის კაბინეტში გამოცხადდნენ. მასპინძელი მათ შუა ოთახში შეეგება:**

— სასწრაფოდ უნდა დასხდეთ გოლოვანოვთან ერთად და გადაწყვიტოთ პოლკის ჩამოყალიბების საკითხები და მისი დისლოკაციის ადგილი.

მისაღებში გამოსული რიჩაგოვი მკერდით დამეჯახა და მითხრა:

— მალე მოიტეხ კისერს შენი უცნაური წინადადებებით, უმჯობესი იქნება, რაც შეიძლება მალე შეცვალოთ თქვენი სულელური გადაწყვეტილებები. გამოჩნდა რა მეორე კოკინაკი, მალე, ალბათ, მესამეც გამოჩნდება

— ვერ ვხვდებოდი, — იგონებს გოლოვანოვი, — რატომ არ ეუბნებოდა ამის შესახებ სტალინს, როდესაც ის ამ საკითხებს იხილავდა, რატომ უქნევდა თანხმობის ნიშნად თავს ან რატომ გაიძახოდა ხშირად: „მართალია“. ვფიქრობდი და ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა სტალინის კაბინეტში ერთი კაცობის გამოჩენა, მის გარეთ კი — მეორის (როდესაც ამის დრო დადგება, რიჩაგოვზე კარგი მასალა მაქვს დასაწერი — გრ. ონიანი)“.

რიჩაგოვის ასეთი განწყობის მიუხედავად, კოლექტივი თავგამოდებით მუშაობდა სპეციალური ავიაპოლკის შექმნის საკითხებზე. კომპლექტდებოდა მისი შემადგენლობა, არჩევდნენ შტაბის უფროსს და პოლკის მეთაურის მოადგილეთა კანდიდატურებს, სხვა ათას წვრილმანს.

პოლკი სულმოუთქმელად ელოდა პოლიგონზე გასვლას და წვრთნის დაწყებას.

სმოლენსკში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. გოლოვანოვს სასწრაფოდ მოსკოვში უხმობდნენ. ისიც თავისი ეკიპაჟით დაუყონებლივ გაემგზავრა და მოსკოვის სამხედრო აეროდრომზე დაეშვა, მაგრამ აეროდრომზე დახვდა მოულოდნელი ამბავი — სამოქალაქო ავიაციის მინისტრის განკარგულებით, მას ჩამოერთვა ეკიპაჟი (სამოქალაქო ავიაციის) და დღეიდან ამ ეკიპაჟის თანხლებით ფრენა აღარ შეეძლო.

მალე სტალინსა და სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად სამუშაო მაგიდასთან ისხდნენ და საკითხებს იხილავდნენ.

„ჩემთვის ცნობილი შეიქნა, რომ ცალკე ჩამოყალიბდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ავიაპოლკი №212, რომლის მეთაურობაც მე მქონდა დავალებული“.

სხდომა დამთავრდა და გოლოვანოვმაც დანიშნულების ადგილს მიაშურა.

„არ გასულა დიდი დრო, რომ კვლავ გამომიძახეს სტალინთან. სმოლენსკიდან პირდაპირ კრემლს მივაშურე. სტალინთან შესულს, მისალმების შემდეგ, პირდაპირ საქმიან კითხვებზე მომიწია პასუხის გაცემა:

— როგორ წყდება თქვენთან შტაბის მეთაურის საკითხი?

— შტაბის უფროსად შერჩეული მყავდა აკადემიადამთავრებული, ძალზე გამოცდილი მეთაური მაიორი **ჟივცოვი**, მაგრამ მოვიდა ჩემთან და მთხოვა, ბრიგადის შტაბის უფროსად მაწინაურებენ და ხელს ნუ შემიშლით წინსვლაშიო. დავეთანხმე. შემდეგ კი შტაბის უფროსად დავნიშნე მაიორი **ბოგდანოვი.** უნდა მოგახსენოთ, ამხანაგო სტალინ, რომ მაიორი ბოგდანოვი არის საუკეთესო ოფიცერი, რომელსაც არც ერთი საფეხური არ გამოუტოვებია არმიაში, ისე მივიდა მაიორის წოდებამდე. ჩემი თხოვნაა, დატოვოთ მაიორი ბოგდანოვი შტაბის უფროსად ჩემს პოლკში“.

სტალინი დათანხმდა, რისთვისაც გოლოვანოვმა მადლობა გადაუხადა.

„— კიდევ ხომ არ გაქვთ თხოვნა? — ჰკითხა სტალინმა.

— მაქვს, — უპასუხა გოლოვანოვმა. მასპინძელმა გაკვირვებით შეხედა სტუმარს.

— მინდა გთხოვოთ, ამხანაგო სტალინ, დამიტოვოთ ჩემი სამოქალაქო ეკიპაჟი და გადმომცეთ ჩემ განკარგულებაში ჩემი თვითმფრინავიც. შეჩვეული ვარ და მათთან ერთად მინდა გავაგრძელო ჩემი საყვარელი საქმე. ძალიან გთხოვთ!

— გადავცეთ? — ჰკითხა იქ დამსწრე პოლიტბიუროს წევრებს სტალინმა.

— გადავცეთ, გადავცეთ, — იყო პასუხი.

— აი, ხომ ხედავთ, — მომმართა სტალინმა, — წაიყვანეთ თქვენი თვითმფრინავიც და ეკიპაჟიც. სამოქალაქო ავიაციის მინისტრს კი მე თვითონ მოველაპარაკები.

თავისუფლად ამოვისუნთქე, ბედნიერი ვიყავი, — იგონებს გოლოვანოვი.

— ახლა მე მაქვს თქვენთან შეკითხვა: ძველ სამსახურში რამდენი გქონდათ ხელფასი თვეში?

— სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მე, როგორც შეფ-პილოტს, თვეში განსაზღვრული მქონდა ხელფასი 4000 მანეთის ოდენობით.

— რამდენს იღებს პოლკის მეთაური თვიური განაკვეთის მიხედვით, — ჰკითხა სტალინმა თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალ **ტიმოშენკოს.**

— ჩვენთან ასეთი ხელფასი მინისტრსაც არ აქვს. პოლკის მეთაურს თვიური განაკვეთი ჩვენთან 1600 მანეთით განისაზღვრება, ამხანაგო სტალინ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მითხარით, საერთოდ, რამდენს გამოიმუშავებდით ხოლმე თვეში?

საუბარმა გოლოვანოვისთვის არასასიამოვნო სახე მიიღო.

— ამხანაგო სტალინ, მე ფულს არასოდეს დავხარბებივარ და არც არასოდეს დავეხარბები. მეკუთვნის 1600 მანეთი? ეს ხელფასი ჩემთვის სრულიად საკმარისია.

— არა, მე გეკითხებით, საერთოდ რამდენს გამოიმუშავებდით თვეში?



212-ე პოლკის მეთაური ალექსანდრე გოლოვანოვი (მარჯვნიდან პირველი). სმოლენსკი, 1941 წლის გაზაფხული.

— ბევრს. ცოტა ხამამაღლა უპასუხა გოლოვანოვმა.

გოლოვანოვი წუხდა, მისთვის ასე სასიამოვნოდ დაწყებული საუბარი ასეთ საკითხზე მსჯელობით რომ მთავრდებოდა.

სტალინი ჩაფიქრდა. დაიწყო სიარული წითელ ხალიჩაზე და ჩიბუხის გაბოლება. პაუზის შემდეგ მომიახლოვდა, წინ გამიჩერდა და მითხრა:

— აი რა, ამხანაგო გოლოვანოვ! როგორც პოლკის მეთაურს, სახელმწიფოს ხარჯზე გექნება უფასო კვება, უფასოდ მოგეცემათ ფეხსაცმელი და ტანსაცმლი, ამას დაემატება უფასო სახელმწიფო ბინა, ყველაფერ ამის გათვალისწინებით უნდა დაკმაყოფილდეთ თქვენი ხელფასით.

რატომ უნდა იყოს უკმაყოფილო ადამიანი, როდესაც ის მიდის საპასუხისმგებლო სამუშაოზე? ეს როგორ, ამხანაგებო? — მიმართა იქ დამსწრე ამხანაგებს სტალინმა.

გაისმა შეძახილები: „სწორია, სწორია“.

სტალინი ჩემკენ შემობრუნდა, — კმაყოფილი ხართ?

— რა თქმა უნდა, სრულიად კმაყოფილი, ამხანაგო სტალინ.

— ეს კარგია. დროა, ჩაიცვათ სამხედრო ფორმა და გამოცხადდეთ სამსახურში. ფორმა თუ შეგიკერეს?



ა. გოლოვანოვი

— ალბათ, მალე შემიკერავენ, — მივუგე მე.

ჩემი დანიშვნისა და სამხედრო წოდების მონიჭების შესახებ ბრძანება ჯერაც არ მქონდა მიღებული, მაგრამ ეს ამბავი სტალინისთვის არ მითქვამს, რადგან შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყოლოდა ზოგიერთისთვის“.

თითქმის ყველა საკითხი ამოწურული იყო, როცა გოლოვანოვმა წასვლის ნებართვა ითხოვა, მაგრამ სტალინმა უბრძანა, დარჩენილიყო. იქ დამსწრეთა უმრავლესობამ უკვე დატოვა სტალინის კაბინეტი, მაგრამ დარჩნენ: **მოლოტოვი, მალენკოვი** და **მიქოიანი.**

— ამხანაგო გოლოვანოვ, როგორც ყველა სამხედროს, მტკიცედ უნდა გწამდეთ, რისთვის და რა ოპერაციებისთვის უნდა მოამზადოთ თქვენი ხელქვეითები, ამიტომ მინდა, რაღაც გითხრათ.

სტალინი გაემართა კაბინეტში დაკიდებული მსოფლიოს უზარმაზარი რუკისკენ, მეც გავყევი. გაჩერდა და რუკაზე მიმითითა.

— ხედავ, როგორ გვახვევია გარშემო მტრები, მაგრამ იცოდე, აი, ამათგან, — თითი გაიშვირა დიდი ბრიტანეთისკენ, — და მათგან, — მიმანიშნა საფრანგეთზე, — საფრთხე ჯერჯერობით არ გვემუქრება. ახლო მომავალში ომი მოგვიწევს აი ამათთან, — და თითი გერმანიის ტერიტორიას მიადო. თქვენი ვალდებულებაა, ზუსტად შეისწავლოთ ყველა სამხედრო და სამრეწველო ობიექტი გერმანიის ტერიტორიაზე. ყველანაირი საშუალებითა და მეთოდით უზრუნველყოთ მათი განადგურება, როდესაც დრო დადგება. და იცოდეთ, რომ ეს დრო მალე დადგება.

მშვიდი და დამაჯერებელი ტონი იყო იმის ნიშანი, რომ იმას, რასაც სტალინი ამბობდა, იქნებოდა ისე და არავითარ შემთხვევაში სხვანაირად.

—არის თუ არა ყოველივე ეს გასაგები თქვენთვის?

— ყველაფერი გასაგებია.

—გისურვებთ წარმატებას.

— ნახვამდის, — დავემშვიდობე სტალინს”.

გარეთ გამოსული გოლოვანოვი ფრთებშესხმული იყო სტალინის სიბრძნითა და მომნუსხველი მოქმედებით, აგრეთვე, იმით, რომ ხვალიდან ბრძანებასა და მოქმედების გეგმას მიიღებდა და სამხედრო წვრთნას შეუდგებოდა.

სმოლენსკში ჩასული გოლოვანოვი დღე და ღამეს ასწორებდა, რათა სრულად დაეკომპლექტებინა პოლკი და სასწრაფოდ დაეწყო სამხედრო წვრთნები. სამოქალაქო ავიაციაში გაწაფული მფრინავები სწრაფად ეუფლებოდნენ სამხედრო ხელოვნებას. გოლოვანოვმა პოლკში ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დავუკავშირდი ჩემი პოლკის მორიგეს და მივეცი განგაშის „პაროლი“. სასწრაფოდ ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. დავინახე, როგორ გარბოდნენ მფრინავები აეროდრომისკენ, თან როგორ იკრავდნენ ღილებს და იჭერდნენ ქამრებს. გარბოდა ყველა, ვისაც კი რაღაც ევალებოდა სამხედრო აეროდრომზე“.**

◀ ჩაიყვანა ორი თვითმფრინავი „დუგლასი“, რომლებიც სასწრაფოდ გადააკეთეს საჰაერო ლაბორატორიებად. თვითმფრინავების კაბინებსა და კამერებში განთავსებული იყო რადიონავიგაციის სისტემები. სპეციალისტები შესანიშნავად მართავდნენ ყოველგვარ ამინდში ყველა მიმართულებით მფრინავ ბომბდამშენებს. პოლკის მეთაურმა უფროსი და უმცროსი შემადგენლობა ერთ ბირთვად შეკრა, ყველა ერთ მიზანს ემსახურებოდა, „ყველა — ერთისთვის და ერთი — ყველასათვის!“ — ასეთი იყო პოლკის მოსამსახურეთა საბრძოლო დევიზი.

**მაიორი ბოგდანოვი, პოლკის შტაბის უფროსი, რომელიც გამოირჩეოდა, როგორც სამხედრო საქმის მცოდნე და დისციპლინის დამცველი, ხშირად აფრთხილებდა პოლკის მეთაურ გოლოვანოვს, რომ პოლკა, სამხედრო და საფრენოსნო მომზადებაში უმაღლეს დონეზე ყოფნის მიუხედავად, ძალზე მოიკოჭლებდა სამწყობრო დისციპლინაში, რაც შეიძლება ძალზე ძვირად დასჯდომოდა კარგად გაწრთვნილ სამხედრო შენაერთს.**

სამოქალაქო ავიაციაში თავისუფლებას შეჩვეული მფრინავები ვერ ეგუებოდნენ მწყობრი ნაბიჯით სასადილოში შესვლა-გამოსვლას და სხვა სავალდებულო სამხედრო წესებს, რომლებიც სამოქალაქო ავიაციაში არ მოქმედებდა. სწორედ ამ პერიოდში პოლკის დისლოკაციის ადგილზე მოსკოვიდან ავტორიტეტული კომისია ჩავიდა სამწყობრო დისციპლინის შესამოწმებლად. შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ საკითხზე მუშაობა პოლკში სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო, რის გამოც კომისიამ შეადგინა არცთუ სასიამოვნო აქტი, რომელზეც, რა თქმა უნდა, პოლკის მეთაურებმაც მოაწერეს ხელი.

შტაბის უფროსის, მაიორ ბოგდანოვის გაფრთხილება, რომელიც ყურად არ იღო პოლკის უფროსმა, უსიამოვნების საბაბი შეიქნა. გოლოვანოვი დარწმუნებული იყო, რომ ძალიან შეახურებდნენ, მაგრამ გულში იმედის ნაპერწკალი არ უქრებოდა — „იქ“ ხომ გულშემატკივარი ჰყავდა.

გავიდა რამდენიმე დღე, შემოწმების აქტის გამო გოლოვანოვი არავის გამოუძახებია, არც რამე დირექტივა მოსულა. სასჯელის ბრძანების კიდევ რამდენიმე დღით დაგვიანების შემდეგ გამოცდილმა მაიორმა ბოგდანოვმა გოლოვანოვს მიულოცა, — შენს დასჯას ვიღაცამ ვეტო დაადო და მომავალში მოსალოდნელი აღარ არისო.

**ამის შემდეგ გოლოვანოვმა, როგორც დისციპლინებულმა სამხედრომ, რათა არ შეერცხვინა თავისი „პატრონის“ სახელი, პოლკის სამწყობრო მომზადებაც უმაღლეს დონემდე აიყვანა.**

„ჩემი დანიშვნიდან ოთხი თვის შემდეგ, 1941 წლის 7 მაისს, 12 საათზე, შევაღე სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის — პავლოვის კაბინეტის კარი.

მაგიდასთან იჯდა თავგადაპარსული, სრული აღნაგობის სამხედრო პირი არმიის გენერლის სამხრეებით. პავლოვი მომესალმა და მკითხა, ამდენ ხანს რატომ არ გამოცხადდი, მე ხომ სტალინისგან მიღებული მაქვს ბრძანება, ყველაფერში დაგეხმაროო.

**«ხედავ, როგორ გვახვევია გარშემო მტრები, მაგრამ იცოდე, აი ამათგან, — თითი გაიშვირა დიდი ბრიტანეთისკენ, — და მათგან, — მიმანიშნა საფრანგეთზე, — საფრთხე ჯერჯერობით არ გვემუქრება. ახლო მომავალში ომი მოგვიწევს აი ამათთან, — და თითი გერმანიის ტერიტორიას დაადო. — თქვენი ვალდებულებაა, ზუსტად შეისწავლოთ ყველა სამხედრო და სამრეწველო ობიექტი გერმანიის ტერიტორიაზე. ყველანაირი საშუალებითა და მეთოდით უზრუნველყოთ მათი განადგურება, როდესაც დრო დადგება. და იცოდეთ, რომ ეს დრო მალე დადგება»**



ავიაციის მარშალი ნოვიკოვი, გენერალი გოლოვანოვი და პოდპოლკოვნიკი კოჟევნიკოვი

ვიდრე მის შეკითხვაზე პასუხის გაცემას დავასრულებდი, — იგონებს გოლოვანოვი, — პავლოვმა სიტყვა გამაწყვეტინა და განმიცხადა, რომ ჩემი პოლკი უშუალოდ მის დაქვემდებარებაში გადავიდოდა.

ვუპასუხე, ამ საკითხს მე არ ვწყვეტ-მეთქი.

— ახლავე დაველაპარაკები სტალინს.

მან ყურმილი აიღო და მოსკოვი შეუკვეთა. რამდენიმე წუთში ხაზზე სტალინი იყო.

პავლოვმა ვერ მოასწრო იმის თქმა, რომ მასთან გოლოვანოვია და მისი დაქვემდებარების საკითხი უნდა გადაწყვიტოს, რომ, ეტყობა, სტალინმა კითხვა დაუსვა. პავლომა უპასუხა:

— არა, ამხანაგო სტალინ, ეს მართალი არ არის. სწორედ ეს წუთია, დავბრუნდი სასაზღვრო ზონიდან, გერმანელთა ჯარების მოახლოება საზღვართან არ შეინიშნება და, საერთოდ, ჩემი დაზვერვა საუკეთესოდ მუშაობს. კიდევ ერთხელ შევამოწმებ მდგომარეობას, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს ვიღაცის პროვოკაციული განცხადებაა. კარგი, ამხანაგო სტალინ.

— როგორ იქნება გოლოვანოვის საქმე?

— გასაგებია.

პავლოვმა ყურმილი დაკიდა.

— „ხაზეინი“ უგუნებოდაა. ვიღაც სულელი არწმუნებს, გერმანელთა არმიები საზღვარს უახლოვდებიანო.

მე, რა თქმა უნდა, ვდუმდი.

— არ უნდა „ხაზეინს“ შენი ჩემდამი დაქვემდებარება, ისედაც ბევრი საქმე გაქვსო.

**ვინ იფიქრებდა, რომ ზუსტად ორი კვირის შემდეგ სწორედ იმ ადგილას, რომელზეც სტალინი აფრთხილებდა პავლოვს, საზღვარი გაამაგრეო, საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს ფაშიზმის „უძლეველი“ არმიები შემოანგრევდა და ქვეყანა კატასტროფის წინაშე დადგებოდა. მე ხომ ამის მოწმე ვარ, მე ხომ ყველაფერი ჩემი ყურით მოვისმინე. იყო თუ არა ეს სამშობლოს ღალატი? და ღალატი ვისგან — სტალინისგან თუ პავლოვისგან? როგორც შემდგომ მრავალი გამოკვლევით დადგინდა, სამშობლოს სწორედ პავლოვის ღალატმა შეუქმნა კატასტროფა.**

პავლოვის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე ჩემს პოლკს მივაშურე. გავეცი განკარგულება პოლკის სრული საბრძოლო მზადყოფნისთვის და დავიწყეთ წვრთნა ისე, როგორც ომში. წრთვნა მიმდინარეობდა ყოველდღიურად — თვითმფრინავიდან ცვიოდა ბომბები და ზუსტად ხვდებოდა მიზნებს. ცხადდებოდა განგაში და განგაშის პირობებში მიმდინარეობდა ყოველივე ის, რასაც ზემოთ მოგახსენებდით.

ბოლო განგაში სწორედ 1941 წლის 21 ივნისის დილის 3 საათზე გამოვაცხადეთ. წვრთნამ ბრწყინვალედ ჩაიარა. პოლკის წარმატებული შედეგების გამო, მეორე დღე, კვირა, 22 ივნისი, პოლკის მთელი შემადგენლობისთვის დასვენების დღედ გამოვაცხადეთ.

შაბათს საღამოს, 21 ივნისს, ოფიცერთა სახლში დიდი კონცერტი გაიმართა, სადაც უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მე კონცერტს არ დავესწარი. პოლკის მორიგეს დავალებები მივეცი და შინ დასასვენებლად გავეშურე. ჩემთან ერთად ოთახში შტაბის უფროსი, მაიორი ბოგდანოვი და ჩემი მოადგილე ბაიდუკოვი ცხოვრობდნენ. ისინი კონცერტზე დარჩნენ, ერთიც და მეორეც უცოლო იყო და კონცერტის შემდეგ, ალბათ, სადმე შეყვნენ. მე კი წიგნის კითხვამ გამიტაცა. დილამდე ვკითხულობდი. მზემ რომ შემოანათა, გადავწყვიტე, წამოვწოლილიყავი და დამეძინა. ჩაძინებული არ ვიყავი, ტელეფონის ზარი რომ გაისმა. ყურმილი ავიღე და მომესმა მინსკის სამხედრო ოლქის ჯარების მორიგის განწირული ხმა:

— საბრძოლო განგაშია გერმანელები ქალაქ ლიდას ბომბავენ!

ასეთი საგანგაშო შეტყობინა იმ პერიოდში ძალიან ბევრი იყო.

— ამხანაგო მორიგევ, მოგვეცით პოლკის შემადგენლობის ერთი დღით დასვენების საშუალება.

— გერმანელები ბომბავენ ქალაქებს, თქვენთან საუბრის მეტი დრო არ მაქვს.

**დავუკავშირდი ჩემი პოლკის მორიგეს და მივეცი განგაშის „პაროლი“. სასწრაფოდ ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. დავინახე, როგორ გარბოდნენ მფრინავები აეროდრომისკენ, თან როგორ იკრავდნენ ღილებს და იჭერდნენ ქამრებს. გარბოდა ყველა, ვისაც კი რაღაც ევალებოდა სამხედრო აეროდრომზე.**

— ასაფეთქებელი მივცეთ? — მეკითხება სირბილით მიმავალი სამხედრო, რომელიც საბრძოლო იარაღების საწყობს განაგებდა.

— კითხვამ დამაბნია, რადგან ასაფეთქებლები დალუქულ ყუთებშია, რომლის გახსნას სპეციალური განკარგულება სჭირდება „ზევიდან“, განგაში კი ჩემი გამოცხადებული არ იყო. დააწყვეთ ასაფეთქებლები თვითმფრინავის ახლოს და არ გახსნათ ჩემი ბრძანების გარეშე. ყველა თვითმფრინავი და ეკიპაჟი საბრძოლველად მზად იყო, მხოლოდ ჩემი ბრძანების გაცემას ელოდებოდნენ. შტაბის უფროსს დავავალე, სასწრაფოდ დაკავშირებოდა მინსკს და მოეთხოვა ბრძანების გაცემა. უკან დაბრუნებულმა შტაბის უფროსმა მომახსენა, რომ მინსკთან კავშირი არ იყო“.

ასე ხშირად ხდება, — იფიქრა გოლოვანოვმა, — ესეც ხომ გამოცდაა, თუ რას მოიმოქმედებს ამ კრიტიკულ შემთხვევაში მეთაური.

„ვუბრძანე, მოემზადებინათ მსხვილკალიბრიანი ფუგასური ბომბები და დაეწყოთ მზადება გასაფრენად.

დღის მეორე ნახევარში უკვე დანამდვილებით ვიცოდით, რომ ომი დაიწყო, მოვისმინეთ კიდეც მოლოტოვის მიმართვა ხალხისადმი.

სასწრაფოდ გამომიძახეს კორპუსის მეთაურთან, პოლკოვნიკ **სკრიპკოსთან**, რომელმაც გამაცნო ჩვენი პოლკის დავალება, დაგვებომბა ვარშავა.

შევეკითხე, აქვს თუ არა განკარგულება, გავხსნათ კონვერტი ლიტერით **„?“**, პოლკოვნიკისგან უარყოფითი პასუხი მივიღე.

ბრძანება ან წერილობითი განკარგულება თუ გაქვთ, რომ დავიწყოთ ვარშავის დაბომბვა?

არც ასეთი დოკუმენტი აღმოაჩნდათ.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, — მივმართე სკრიპკოს, — ვინ მოგცათ ეს დავალება?

— ამხანაგმა ჟიგარევმა (სამხედრო-საჰაერო ფლოტის სარდალმა — გრ. ონიანი).

— თქვენ თუ გახსენით პაკეტი? — ვკითხე მე.

— არა, პაკეტი არ გამიხსნია, განსაკუთრებული ბრძანების გარეშე პაკეტს არ გავხსნი.

— და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ნაბრძანებია, ჩვენმა პოლკმა დაბომბოს ვარშავა?

— მე კიდევ ერთხელ გადმოგცემთ ჟიგარევის სიტყვიერ განკარგულებას, განახორციელოთ საბრძოლო გაფრენა ვარშავაზე, — ხმას აუწია სკრიპკომ.

მეორე დღეს აეროპოლკი ჰაერში აიჭრა და კურსი ვარშავისკენ აიღო.

**გაგრძელება იქნება**




**ყურადღება!**

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოცნების“ სამოქმედო გეგმის ნაწილი ახალი ტყუილების თქმაა, რათა კვლავ ვენდოთ, მაგრამ ივანიშვილი ვერ გახდება ქართველი ხალხის ერონული ინტერესების გამომხატველი დამოუკიდებელი პოლიტიკოსი. აღმოსავლური სიბრძე გვასწავლის: „ვინც ხელს უწყობს დამნაშავეს, ორმაგად დამნაშავეა“. საქართველოს, ქართველი ხალხის წინაშე დამნაშავეა ქვეყნის ხელისუფლება, რადგან მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ჩვენი იდეოლოგიური მტრის — დასავლეთის მითითებით ხორციელდება. დღეს საქართველო ამერიკული დემოტრაკიით ყარს.**

# აურზაური «სალხინეთში», ანუ სიმართლე, რომელზეც არ საუბრობენ

**„სალხინეთი“ — საქართველო „დალხენილ რჩეულთა“ სავანეა, ანუ პარლამენტი, რომელიც ხალხის ნების გამომხატველი არასდროს ყოფილა. ამჟამად პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობაა. ქვეყნის საგარეო კურსზე განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს თამაზ მეჭიაურმა, რომელმაც ცალკე პარტიაც ჩამოაყალიბა, და გოგი თოფაძემ.**

რატომ გაჩნდა კითხვები ნატოს მიმართ „ქართული ოცნების“ მმართველობის ბოლო წლის მიწურულს? „ჩვენ მხოლოდ ვიმეორებთ იმას, რასაც ამერიკელები ამბობენ“, — თავი დაიზღვიეს პარლამენტარებმა და აღნიშნეს, რომ ევროკავშირში შესვლას მხარს უჭერენ. „ნატოში არ გვიღებენ“, — დანანებით კი არ უნდა ვსაუბრობდეთ, თითქოს სამოთხეში შესვლაზე გვეუბნებიან უარს, არამედ ეს თემა იდეაშიც არ უნდა გვქონდეს. არც ერთი პარლამენტარი არ ლაპარაკობს იმაზე, რომ ნატო ტერორისტული ორგანიზაციაა და ყველა ქვეყანაში ამერიკის ინტერესებს იცავს.

**არავინ საუბრობს,** რომ ნატოს აქვს ფაშისტური ფესვები და ის შეიქმნა ჰიტლერის გენშტაბის წარმომადგენლის — **რეინჰარდ გელენის** ინიციატივით, რომელიც მიეყიდა ამერიკელებს. აშშ-მა მსოფლიო კრიზისამდე მიიყვანა და გააჩინა უამრავი ლტოლვილი. მან არა მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებს შეუქმნა პრობლემები, არამედ ევროპის ქვეყნებსაც და სწორედ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები ცდილობენ, ევროკავშირსა და ნატოს თავი დააღწიონ. **თვით ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი აღნიშნავს, რომ რუსეთთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობა სურს და ნატო, რომელიც სსრკ-ის საპირწონედ შეიქმნა, აღარ უნდა არსებობდეს.**

**არავინ საუბრობს** იმაზე, რომ ნატოში შესვლის საფასურს საქართველო თავისი სუვერენიტეტითა და ტერიტორიების დარღვევით გადაიხდის და ქართველი ხალხი მუსლიმური სახელმწიფოს — თურქეთის დიქტატის ქვეშ იცხოვრებს. საკითხავია, ვისგან ვიცავთ თავს ნატოს დახმარებით? თუ რუსეთისგან, ვის ტერიტორიაზე განხორციელდება ეს თავდაცვა და როგორ აისახება ეს საქართველოზე? არავინ საუბრობს, რა მიზანი აქვს ნატოს წვრთნებს, ბაზების განლაგებაზე პროვოკაციულ განცხადებებს და რა შედეგის მომტანია საქართველოში ამერიკული ტანკების შემოყვანა, რომელიც მხოლოდ რუსეთის გაღიზიანებას იწვევს? **ფუნქცია, რომელიც ამერიკამ საქართველოს დააკისრა — ეს არის რუსეთის გაღიზიანება. იგივე ფუნქცია აკისრია უკრაინას.** ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლით, რომელსაც არ სურს, ამერიკა სხვა ქვეყნების საქმეებში ერეოდეს, საქართველო კარგავს გამაღიზიანებლის ფუნქციას, რომელიც გამოიხატება ხმამაღლა ყვირილში: „ნატო-ნატო“. აღმაშფოთებელია, რომ ასეთი შეკვეთების შემსრულებელ, პრიმიტიული აზროვნების ერად მივაჩნივართ და ამ სიტუაციას ვეგუებით. ეს ხომ ერის ღირსების საკითხია?! ჩვენი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ და არა პირადი სიმპათიების — ამერიკა მოგვწონს თუ რუსეთი; უნდა გავაცნობიეროთ და შევაფასოთ რუსეთის პოლიტიკის ღირსებები თუ ღირებულებები და შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ.

ნატოს წევრობა სიკეთის მომტანი არ არის საქართველოსთვის, მაგრამ ხელისუფლებას ხომ სჭირდება თემა, რომელზეც ისაუბრებს?

არადა, **არავინ საუბრობს** იმაზე, რომ ქართველმა ხალხმა 25 წლის განმავლობაში ვერ შეძლო სიდუხჭირის დაძლევა და ზოგიერთ დარგში 1920-იანი წლების დონეზე დავეშვით. **რაც შეეხება ევროკავშირში გაერთიანებას, აქაც გვატყუებს ხელისუფლება, როცა ბალტიისპირეთის მაგალითზე მიგვითითებს. თვით გაეროს გენმდივანი პან გი მუნიც კი აღნიშნავს, რომ ბალტიისპირეთი კვდება, ქვეყანა დაიცალა და მკვიდრი მოსახლეობის ადგილს უცხო ჯიში იკავებს. გარდა ამისა, ევროკომისია ითხოვს, ბალტიისპირელებმა უცხოელებს მიწა გამარტივებული წესით მიჰყიდონ, ეს ჩვენს ქვეყანასაც ემუქრება.** ამასთანავე, ევროკავშირმა ბალტიისპირეთს რძის პროდუქტების წარმოებაში შეზღუდვები დაუწესა, ბულგარეთსა და პოლონეთს — ხილისა და ბოსტნეულის წარმოებაში. სსრკ-ის პერიოდში ბულგარული პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობდა და მთელ კავშირს ამარაგებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. დღეს ბულგარეთში ადგილობრივი წარმოების ხილ-ბოსტნეული გერმანულმა ჩაანაცვლა — დასავლეთ ევროპა თავის პროდუქციას ასაღებს. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენც დაგვიწესონ შეზღუდვები ყურძნის წარმოებაში. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში — პოლონელებივით ავკაფოთ ვაშლის ხეები და ვაზი?!

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ხელისუფლების ოთხწლიანი მმართველობიდან? მთელი სახელისუფლო სპექტრი მიყიდულია ამერიკელებს და მათ მითითებებს უყოყმანოდ ასრულებს.

მართალია, დანამატებს ვიღებთ, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთო, — ბრძანა იუსტიციის მინისტრმა. მართლაც, საშვილიშვილო საქმეს იკეთებენ თავიანთი ოჯახებისთვის. **უზარმაზარი შემოსავლების მქონე მოხელეებიდან ერთს მაინც თუ გასჩენია კეთილშობილური იდეა, საქველმოქმედო ფონდი შეექმნა და თავისი შემოსავლებიდან ყოველთვიურად გარკვეული თანხა ჩაერიცხა თუნდაც იმ სტუდენტების დასახმარებლად, რომლებსაც სასწავლებლებიდან ყრიან თანხის გადაუხდელობის გამო?**

**ლევან ბერძენიშვილმა** გაახმოვანა ის, რასაც მთელი სახელისუფლო სპექტრი გულში მღერის: „ხალხისგან ხმები გვინდა და არა მათი კეთილგანწყობა“. პარლამენტარ **მანანა კობახიძეს** ახლა გაახსენდა: „ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე სიღარიბეა და ჩვენ მას დავამარცხებთო“(?!). როგორ დაამარცხებენ, თუ სისტემა არ შეცვალეს და პროპორციული თანაფარდობით არ მოხდა ხელფასების დანიშვნა, ხოლო ეს თანაფარდობა საარსებო მინიმუმზე არაუმეტეს ხუთმაგი ოდენობისა უნდა იყოს?! როგორ უნდა დაამარცხონ სიღარიბე, როცა მთელი ქვეყნის შემოსავალს თვითონ იდებენ ჯიბეში და 100-ათასიანი ჯიპებით დასეირნობენ?! ხშირად წამოცდენა უფრო მეტს ამბობს ხელისუფლების რეალურ მიზნებზე, ვიდრე დეკლარირებული „სიმართლე“. როგორც მეჭიაურმა განაცხადა, მისი პარტიის შექმნა ივანიშვილთან არის შეთანხმებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილის გენერალურ კურსს უპირისპირდება და თანაც ამ დაპირისპირებას ივანიშვილს უთანხმებს. ამასთანავე, ამბობენ, უკან დასახევ გზას ვიტოვებთო(?!). რა არის ეს, თუ არა ხალხის გაბრიყვების მცდელობა? ხომ არ არის ეს პარტია ისეთივე სატელიტი „ქართული ოცნებისა“, როგორც პაატა ბურჭულაძის პარტია — „ნაცების“?

ივანიშვილი აღნიშნავს, რომ ამერიკის ელჩთან იდეოლოგიური თანხვედრა აქვს, ხოლო ამერიკის ელჩი „მაიდნით“ გვემუქრება და ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებს — სურს, სასამართლოს „რუსთავი 2“-ის მიმართ ის გადაწყვეტილება მიაღებინოს, რომელიც მისთვის სასარგებლოა. ამერიკა ელჩის პირით მოურიდებლად შეგვახსენებს, — იმდენი გავიღეთ საქართველოსთვის, რუსეთთან დაპირისპირებული უნდა იყოთო. ყოველივე, რაც ხდება, იმის შედეგია, რომ ქვეყანაში გატარებული პოლიტიკა ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ივანიშვილი საქართველოს განვითარების გზას ევროპასა და ნატოში ხედავს, მაგრამ როგორ დაარწმუნებს რუსეთს, რომ მისთვის დამიზნებული რაკეტები საფრთხეს არ წარმოადგენს?

**ახალმა „საოცნებო“ ლიდერმა კოლუაშვილმა თავისი „ნაც-ქოცური“ სიმყრალე ამოაფრქვია.** ეს ის სიმყრალეა, რომელსაც „ოცნებისტი“ პრემიერი და მისი თანამაზრეები გულმოდგინედ ნიღბავენ, მაგრამ, როგორც ჩანს, „ჭირმა თავი არა დამალა“. მან თავისი მეგობრის — პრემიერის გულის მოგება მოინდომა, მკვეთრად პროდასავლური მიდგომა დააანონსა და, ამასთანავე, დასავლელ პარტნიორებს, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ რეანიმაციას ცდილობენ, ამ დამნაშავე ორგანიზაციის ქებით ერთგვარ ბერკეტად მოევლინა. ორმაგი სტანდარტებით მოთამაშე გაცილებით ამაზრზენია, ვიდრე მამალი ნაცი.

„ჩვენ ვაფასებთ ბიძინას ბრძოლას სააკაშვილის წინააღმდეგ“, — ვერ ისვენებენ ბიძინისტები და ოპოზიციის ერთი ნაწილი. მაშ, დააფასეთ ამერიკელთა ძალისხმევაც, რადგან მათი ინიციატივით მოვიდა ივანიშვილი ქვეყნის სათავეში; დააფასეთ ისიც, როგორ ცდილობს ამერიკა სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს კრიმინალი, რითაც ქართველი ხალხის კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს. სახელისუფლო წრიდან გვესმის განცხადებები, რომ, თუ ხალხი არჩევნებზე მივა, ნაცები პოლიტიკური სივრციდან გაქრებიან, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **ნაცების წინააღმდეგ არანაირი ბრძოლა არ ყოფილა. საამისოდ ივანიშვილს ჰქონდა სამართლებრივი და პოლიტიკური ბერკეტები, მაგრამ არ გამოიყენა.** ვერ გააცნობიერა, არის თუ არა დამნაშავე სააკაშვილის რეჟიმი: მკვლელობების ინიციატორი, პროვოკაციული ომის წამომწყები და ტერიტორიების დამკარგავი, ორგანოებით მოვაჭრე თბილისსა თუ უკრაინაში.



„ოცნების“ სამოქმედო გეგმის ნაწილი ახალი ტყუილების თქმაა, რათა კვლავ ვენდოთ, მაგრამ ივანიშვილი ვერ გახდება ქართველი ხალხის ერონული ინტერესების გამომხატველი დამოუკიდებელი პოლიტიკოსი. აღმოსავლური სიბრძე გვასწავლის: „ვინც ხელს უწყობს დამნაშავეს, ორმაგად დამნაშავეა“. საქართველოს, ქართველი ხალხის წინაშე დამნაშავეა ქვეყნის ხელისუფლება, რადგან მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ჩვენი იდეოლოგიური მტრის — დასავლეთის მითითებით ხორციელდება. **დღეს საქართველო ამერიკული დემოტრაკიით ყარს.**

**არავინ ლაპარაკობს,** რომ ვიზალიბერალიზაცია ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ვიზალიბერალიზაცია ხელს აძლევს ქვეყნის ხელისუფლებას, რომელიც ხალხს ელემენტარული პირობებით ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ ქართველი ერისა და საქართველოს მომავლისთვის დამღუპველია. რას გვთავაზობს დღეს „ქართული ოცნება“?

წადი ქვეყნიდან! — ეს ხელისუფლების მესიჯია ქართველი ხალხის მიმართ.

**არავინ საუბრობს** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ხოლო აფხაზები მადლობას სწირავენ რუსეთს, რომ გადაარჩინა საქართველოს ხელისუფლების გავლენისაგან, რომელმაც ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმი სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია.

რას ფიქრობს ოპოზიცია? მას ყველა ბერკეტის გამოყენება სურს, რათა ხელისუფლებაში მოვიდეს. მაგალითად, ყველაზე მძიმე წონის „პატრიოტი“ — **თარხან-მოურავი** ყველაზე მძიმე წონის „ეროვნული“ **სანიკიძესავით** გვეუბნება, რომ ევროკავშირში

**არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ ვიზალიბერალიზაცია ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ვიზალიბერალიზაცია ხელს აძლევს ქვეყნის ხელისუფლებას, რომელიც ხალხს ელემენტარული პირობებით ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ ქართველი ერისა და საქართველოს მომავლისთვის დამღუპველია. რას გვთავაზობს დღეს «ქართული ოცნება»? წადი ქვეყნიდან! — ეს ხელისუფლების მესიჯია ქართველი ხალხის მიმართ**

„წითელი დროშებით გავრეკოთ ცისფერი და ცისარტყელას ფერების დროშებითა და „უკანალის ფილოსოფია-იდეოლოგიით აღჭურვილი“ თახსირები ქართული პოლიტიკიდან! სატანის მოციქულები გავრეკოთ ქართული ტელეარხებიდან, ამერიკული ტელეარხები კი — საქართველოდან!“

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უნდა შევიდეთ და არაფრის შეცვლა არ შეიძლება, რადგან მსოფლიო თანამეგობრობა ამის უფლებას არ მოგვცემს, ანუ ჩვენ ჯაჭვით დაბმული მონები ვართ. არ ვიცი, ოცნებობს თუ არა მილიონზე თავისი კოლეგასავით, მაგრამ მოგვიწოდებს, რომ ყველამ, ვისაც არ უნდა ნატო და ევროკავშირი, ხმა მის პარტიას მისცეს, თვითონ კი ევროპიდან დაალაგებს ურთიერთობებს რუსეთთან.

ოპოზიცია, რომელიც საქართველოში ეროვნულ ტრადიციებსა და იდეოლოგიაზე გვესაუბრება, დასავლეთში ჩვენი იდეოლოგიის მტრებს თავის თავს სთავაზობს, — ჩვენ უკეთეს პარტნიორობას გაგიწევთო, ანუ თქვენს დირექტივებს უკეთ შევასრულებთო. **პარტია, რომელმაც „პატრიოტი“ დაირქვა და მეზობელ ქვეყანას — რუსეთს „საერთაშორისო ბანდიტს“ უწოდებს, რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებს?! თუ რუსეთი საერთაშორისო ბანდიტია, მაშინ ამერიკა ბანდიტების სუპერსახელმწიფოა!** პირდაპირ ეთერში ვკითხე თარხან-მოურავს: **ჩვენი ეროვნული გზა აფხაზეთ-სამაჩაბლოზე გადის, რატომ არ ჩადიხართ იქ-მეთქი? — რა იცით, რომ არ ჩავდივარო? — მიპასუხა „პატრიოტმა“ და ეთერიდან გამთიშა. თუ ჩადიხართ, იმაზე მესაუბრეთ, თქვე კეთილმოდელირებულებო, რა დადებითი მუხტი მოგაქვთ იქიდან და არა იმაზე, ათასმეერთე სენატორმა რა გითხრათ და რა უთხარით.**

ქართველ საზოგადოებას თუ ახსოვს, ამ ოპოზიციურ ძალას არსებული სახელფასო სისტემის მიმართ პროტესტი გამოეთქვას? მათ მხოლოდ საარჩევნო გარემო აშფოთებთ — ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ხომ უნდათ მსუყე დაფინანსება? მეტიც, მოგვიწოდებენ ის პარტია ავირჩიოთ, რომელიც არ ყოფილა ხელისუფლებაში, მხოლოდ საკუთარი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავენ. ერთი რამ ცხადია: **ეს ის პოლიტიკური სპექტრი არ არის, რომელიც რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებს, ეს ის პოლიტიკანები არიან, დასავლეთს უკანალს რომ უთამაშებენ!**

ამას წინათ ზუგდიდიდან ჩვენი გაზეთის მკითხველმა დამირეკა და მკითხა: „86 წლის კაცი ვარ, ბაბუ, მითხარი, საქართველო არავის უყვარს?“. მინდა, ჩვენს მკითხველს ვუპასუხო: ჩვენ, რიგით მოქალაქეებს, რომლებიც არც სამთავრობო და არც საპარლამენტო სავარძლებზე არ ვოცნებობთ, საქართველო უანგაროდ გვიყვარს!

**იზა თამაზაშვილი**

**P.S. ჩემი თანამოაზრე, გურჯაანელი მეურნე მერაბ ზურაბაშვილი საქართველოს პოლიტიკურ სპექტრსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ასე გამოეხმაურა:**

**„კაენის ნაბიჭვრები ხართ,**
**იუდას ძმები სულითა,**
**სამშობლო ვერცხლზე**
**გაცვალეთ,**
**მტრებმა მოგხიბლათ**
**ფულითა,**
**სუყველას მალე დაგერხეთ,**
**ამას გისურვებთ გულითა!“**

# გორში ახალი მოძრაობა დაფუძნდა — «სოციალისტური საქართველო»

**2016 წლის 22 ივნისს, დიდი სამამულო ომის დაწყების 75-ე წლისთავზე, გორში სახალხო მოძრაობა „სოციალისტური საქართველო“ დაფუძნდა. მოძრაობის დამფუძნებლები არიან: საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარე გრიგოლ ონიანი, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი ვალერი კვარაცხელია და ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე თემურ ფიფია. შეხვედრას ესწრებოდნენ: რუსეთის დუმის დეპუტატი ვლადიმერ სიმაგინი და რუსეთის კომუნისტრული პარტიის წარმომადგენელი ჩერმენ დუდატი.**

**შეკრებაზე საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ადამიანებმა ამ ახალი პროგრესული მოძრაობის დაფუძნებას ერთხმად დაუჭირეს მხარი და მის თავმჯდომარედ ვალერი კვარაცხელია აირჩიეს.**

## „მჯერა, გორიდან დაიწყება და ისევ აღდგება რუსეთ-საქართველოს შორის დიდი მეგობრობა... რუსეთი არ დაგივიწყებთ“

**ვლადიმერ სიმაგინი, რუსეთის დუმის დეპუტატი:**

— სრულიად რუსეთის სახელით მოგესალმებით ამ უძველეს მიწაზე. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ 25 წელი, მიუხედავად ყველაფრისა, შეინარჩუნეთ რუსი ხალხის სიყვარული. ქართველებმა შეგიძლიათ უახლოეს ადამიანად ჩამთვალოთ. მე სიონის ტაძარში მოვინათლე. მახსოვს ბედნიერი საქართველო. ეს იყო მაშინ, როდესაც რუსები და ქართველები მეგობრობდნენ. ჩვენ გვიყვარს თქვენი სიმღერა, ჩვენ ამერიკულ სიმღერებს არ ვმღერით. არ დაგავიწყდეთ ევროკავშირის მიზანი — მათ საქართველოს კეთილდღეობა არ სურთ. თქვენი გადასაწყვეტია, რა გზას აირჩევთ.

ვიმყოფები რა გორში, არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ სტალინის მსგავსი ადამიანი დედამიწაზე მეორე არ დაბადებულა. ჩვენ სხვა დიდი ქართველებიც ვიცით, მაგრამ სტალინი განსაკუთრებული ფენომენია. მჯერა, გორიდან დაიწყება და ისევ აღდგება რუსეთ-საქართველოს შორის დიდი მეგობრობა; მჯერა, ისევ ბედნიერი იქნება ქართველი ხალხი. რუსეთი თქვენ არ დაგივიწყებთ.

**სტუმარმა შეხვედრის ორგანიზატორებს რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერის — გენადი ზუგანოვის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები გადასცა.**

**ჩერმენ დუდატი, რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის წევრი:**

— პირველად ვიმყოფები საქართველოში, სტალინის სამშობლოში... სასიამოვნოა, რომ ვხედავ ამდენ ადამიანს, რომლებსაც დიდი ბელადის ღვაწლი ახსოვთ.

მივესალმები თქვენ წამოწყებულ საქმეს — სახალხო მოძრაობა „სოციალისტური საქართველოს“ დაფუძნებას. მე მისიაც მაკისრია, უნდა წაგიკითხოთ გენადი ზუგანოვის მისალმება: „ძვირფასო მეგობრებო, მივესალმები თქვენ წამოწყებულ საქმეს და მჯერა, რომ ეს მოძრაობა იქნება ჩვენი საყრდენი, საიმედო პარტნიორი ბრძოლაში მშრომელი ხალხის დასაცავად და სოციალიზმის ასაყვავებლად. ჩვენ წლების განმავლობაში ერთად ვიბრძოდით საერთო ღირებულებებისთვის. ჩვენ, ყველამ ერთად, დავამარცხეთ ფაშიზმი და ერთობლივი ძალისხმევით ძალიან მალე ქვეყანა ფეხზე დავაყენეთ. გვჯერა, რომ მოძრაობა „სიციალისტური საქართველო“ ყველაფერს გააკეთებს ორ ქვეყანას შორის მეგობრობის აღსადგენად.

## „თუ სააკაშვილის „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია, დახმარება სთხოვოს ამერიკასა და ევროპას, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია მივმართოთ რუს ხალხს?!“

**გრიგოლ ონიანი, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე:**

— საქართველოს ყოველთვის სჭირდებოდა დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერა. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ამბობს, რომ, რასაც აფხაზი, ოსი და ქართველი ხალხი ერთმანეთში მოილაპარაკებს, რუსეთი მათ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს. აი, ამას ჰქვია მხარდაჭერა. რუსეთმა ხალხის იმედი ბევრჯერ გაამართლა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსოფლიო ფაშიზმისგან გაათავისუფლა.

**თუ სააკაშვილის „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია, დახმარება სთხოვოს ამერიკასა და ევროპას, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია მივმართოთ რუს ხალხს?!**

გაუმარჯოს ქართველი და რუსი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას! გაუმარჯოს სტალინის უკვდავ იდეას, სოციალიზმის უკვდავ იდეას!

გორელებო, თქვენ მოგმართავთ! სტალინი უნდა გაცოცხლდეს იქ, სადაც დაიბადა, და მისი მტრების დასამარება სწორედ სტალინის მიწა-წყლიდან უნდა დავიწყოთ.

**გრიგოლ ონიანმა გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ვალერი კვარაცხელია დაასახელა, დამსწრე საზოგადოებამ მას ერთხმად დაუჭირა მხარი.**

**ვალერი კვარაცხელია, „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი:**

— თქვენ წინაშე პარტიის სახელით არ გამოვდივარ. აქ ვდგავარ იმიტომ, რომ მოგიწოდოთ, პარტიების იმედი არ გქონდეთ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე იყავით და გქონდეთ იმ მოძრაობის იმედი, რომელსაც დღეს ერთად ვაფუძნებთ — „სოციალისტური საქართველოს“.

ჩვენი დროშა წითელია!

ჩვენი ჰიმნი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჰიმნია!

ჩვენი დევიზია „დედასამშობლო გვიხმობს!“

ჩვენი სლოგანია „აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, ილხინე, ივერთ მხარეო!“

გიხმობთ, გეძახით, გეპატიჟებით!

**წითელი დროშებით გავრეკოთ ცისფერი და ცისარტყელას ფერების დროშებითა და „უკანალის ფილოსოფია-იდეოლოგიით აღჭურვილი“ თახსირები ქართული პოლიტიკიდან!** სატანის მოციქულები გავრეკოთ ქართული ტელეარხებიდან, ამერიკული ტელეარხები კი — საქართველოდან!

**ვალერი კვარაცხელია დარწმუნებულია და რუსეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმაც დაუდასტურეს, რომ რუსეთის ფედერაცია საერთო სახალხო მოძრაობა „სოციალისტურ საქართველოს“ დაუჭერს მხარს.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**



«საქართველოს ყოველთვის სჭირდებოდა დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერა»



«სტალინის მსგავსი ადამიანი დედამიწაზე მეორე არ დაბადებულა. ჩვენ სხვა დიდი ქართველებიც ვიცით, მაგრამ სტალინი განსაკუთრებული ფენომენია. მჯერა, გორიდან დაიწყება და ისევ აღდგება რუსეთ-საქართველოს შორის დიდი მეგობრობა; მჯერა, ისევ ბედნიერი იქნება ქართველი ხალხი. რუსეთი თქვენ არ დაგივიწყებთ»



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დევიდ კემერონისა და მთელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის საწინააღმდეგოდ ბრიტანეთმა მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გასვლას, რათა დაერღვია რამდენიმე ათეული წლის წინათ მიღებული შეთანხმება და საკუთარი თავი დაეყენებინა ახალი შესაძლებლობების ან რისკების, ან სულაც — ორივეს წინაშე“.**

# დიდი ბრიტანეთი ევროკავშირს ტოვებს, რა მოხდება შემდეგ?

**23 ივნისს დიდ ბრიტანეთში გამართულ რეფერენდუმზე, ევროკავშირში ბრიტანეთის წევრობის შესახებ, მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის გასვლას ევროკავშირიდან. „ბრექსიტის“ სასარგებლოდ ხმა მისცა ბრიტანელი ამომრჩევლების 52%-მა (დაახლოებით 17,1 მლნ კაცი — რედ.), — იუწყება „ბი-ბი-სი“.**




„უნდა დარჩეს გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის წევრად?“ ან „უნდა გამოვიდეს ბრიტანეთი ევროკავშირიდან?“ — ბიულეტენში აღნიშნული ამ 2 კითხვიდან ერთ-ერთის გასწვრივ უნდა დაესვათ ჯვარი ბრიტანელებს.

**შედეგი განისაზღვრა უბრალო უმრავლესობის მიხედვით — ბრიტანეთის მომავალი ბედის განსასაზღვრავად საჭირო იყო, ამ კითხვებიდან ერთ-ერთისთვის მხარი დაეჭირა რეფერენდუმზე მისულთა 50%-ს პლუს ერთ მოქალაქეს.**

სოციოლოგ **ჯონ კერტისის** აზრით, „ეს იყო რეფერენდუმი, რომელშიც ლონდონი და საუნივერსიტეტო ქალაქები დამარცხდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ინგლისთან. ეს იყო რეფერენდუმი, რომელშიც კოსმოპოლიტურ- ლიბერალური ბრიტანეთი დამარცხდა იმიგრაციის გამო ღრმად შეშფოთებულ კონსერვატიულ მოსახლეობასთან“.

**„დევიდ კემერონისა და მთელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის საწინააღმდეგოდ ბრიტანეთმა მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გასვლას, რათა დაერღვია რამდენიმე ათეული წლის წინათ მიღებული შეთანხმება და საკუთარი თავი დაეყენებინა ახალი შესაძლებლობების ან რისკების, ან სულაც — ორივეს წინაშე“,** — ასეთია „ბი-ბი-სის“ პოლიტიკური მიმომხილველის — **ლორა კუნსბერგის** თვალსაზრისი რეფერენდუმის შედეგებზე.

## რატომ ჩაატარა ბრიტანეთმა რეფერენდუმი?

ევროკავშირში ბრიტანეთის ყოფნა-არყოფნის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება კონსერვატორების ერთ-ერთი დაპირება იყო 2015 წლის არჩევნების წინ.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პრემიერმინისტრმა **დევიდ კემერონმა** მოლაპარაკებები დაიწყო ევროკავშირის სხვა წევრი-სახელმწიფოებისა და ევროკომისიის ხელმძღვანელობასთან ევროკავშირის რეფორმირებისა და ბრიტანეთისთვის ახალი პირობების შექმნაზე. 2016 წლის თებერვალში კემერონმა მიაღწია შეთანხმებას ევროკავშირში ბრიტანეთის წევრობის ახალ პირობებზე, შემდეგ კი გამოაცხადა საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების თარიღი — 23 ივნისი.

**«ეს იყო რეფერენდუმი, რომელშიც ლონდონი და საუნივერსიტეტო ქალაქები დამარცხდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ინგლისთან. ეს იყო რეფერენდუმი, რომელშიც კოსმოპოლიტურ-ლიბერალური ბრიტანეთი დამარცხდა იმიგრაციის გამო ღრმად შეშფოთებულ კონსერვატიულ მოსახლეობასთან»**




ეს მხოლოდ მესამე საერთოეროვნული რეფერენდუმია გაერთიანებული სამეფოს ისტორიაში. მას წინ უსწრებდა 4-თვიანი მღელვარე სააგიტაციო კამპანია, რომლის მიმდინარეობისას ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის მომხრეები გაერთიანდნენ ლოზუნგით LEAVE („გავიდეთ“), მათი მოწინააღმდეგეების მთავარი ლოზუნგი კი იყო REMAIN („დავრჩეთ“).

თვითონ კემერონი ევროკავშირიდან გასვლის წინააღმდეგ გამოდიოდა, მაგრამ მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრი და პრემიერის რამდენიმე ახლო მოკავშირე Leave-ს ბანაკს შეუერთდნენ. „ბრექსიტის“ ყველაზე სახელოვანი და აქტიური მომხრე იყო ლონდონის მერი, კონსერვატორი **ბორის ჯონსონი.**

## არგუმენტები IN-ის ან OUT-ის სასარგებლოდ

„ბრექსიტის“ მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის კამათის მთავარი საგანია **იმიგრაცია.** დევიდ კემერონი მიუთითებდა, რომ ევროკავშირთან მიაღწია შეთანხმებას და მისგან მიიღო უფლება იმიგრანტებისთვის შემწეობების შემცირების თაობაზე. აქედან გამომდინარე, პრობლემა მოგვარებული იყო. Leave-ს მომხრეები კი ამბობდნენ, რომ ეს ნახევარზომაც არ არის და ეს უფლება ვერ შეზღუდავს მიგრანტების ნაკადს, მათ შორის, ნაკადს იმ ადამიანებისა, რომლებიც ბრიტანეთში შემწეობებისა და შეღავათების გამო ჩადიან.

მეორე ცხელი თემა იყო **ეროვნული სუვერენიტეტი.** ბორის ჯონსონი და მისი თანამოსანგრეები „ევროპის შეერთებულ შტატებში“ ბრიტანეთის მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდიან. **„ბრიუსელი უარს არ ამბობს იდეაზე, შექმნას ევროპული სუპერსახელმწიფო, რომელშიც დიდი ბრიტანეთი, უბრალოდ, გაითქვიფება და ერთ-ერთ პროვინციად იქცევა“,** — ამბობენ „ბრექსიტის“ მომხრეები.

საპასუხოდ კემერონი მიუთითებდა, რომ ევროკავშირმა ბრიტანეთს მისცა უფლება, არ ჩართულიყო საინტეგრაციო პროცესებში და უარეყო საერთო ევროპული საკანონმდებლო ინიციატივები.

## რა მოხდება

**დიდი ბრიტანეთი, სულ მცირე, 2 წლის განმავლობაში მაინც იქნება ევროკავშირის შემადგენლობაში. ევროკავშირის კონსტიტუციის 50-ე მუხლის მიხედვით, გასვლის პროცედურის დასაწყებად ლონდონმა ფორმალურად უნდა აუწყოს ბრიუსელს ამ განზრახვის შესახებ. ამ ფორმალურ მიმართვას მოჰყვება მოლაპარაკებების პროცესი, რომელიც შეიძლება 2 წელიწადს გაგრძელდეს.**

მაგრამ ბრიტანეთის მთავრობა ვალდებული არ არის, რეფერენდუმის დასრულებისთანავე ოფიციალურად აუწყოს ბრიუსელს ევროკავშირიდან გასვლის შესახებ, და მოლაპარაკებების პროცესი, საორიენტაციო ვადაზე (2 წელიწადი) გაცილებით მეტხანს გაგრძელდება.

გასვლის შემთხვევაში ბრიტანეთს მოუწევს ბევრი კანონისა და რეგულაციის შეცვლა, რომლებიც ევროკავშირის კანონების საფუძველზე მიიღეს.

ამ ყველაფერთან ერთად ევროკავშირთან დაიწყება მოლაპარაკებები ახალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებაზე. რამდენ ხანს გასტანს ეს მოლაპარაკებები, არავინ იცის.

**„ბი-ბი-სი“**

# მაფია, პროსტიტუცია, ევროკავშირი — რეფერენდუმების მოკლე ისტორია




**ბრიტანული სამაუწყებლო კორპორაცია „ბი-ბი-სის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ რეფერენდუმებზე.**

ბრიტანეთში რეფერენდუმს წინ უსწრებდა ხანგრძლივი კამპანია, რომელმაც განხეთქილება შეიტანა ბრიტანეთის მთავრობაში და მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ეს რეფერენდუმი საინტერესოა იმითაც, რომ მისი შედეგების მიხედვით ბრიტანეთი გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც ევროკავშირს დატოვებს.

**1793 წლიდან,** როდესაც საფრანგეთში ამომრჩევლებმა კენჭი უყარეს ახალ რევოლუციურ კონსტიტუციას, მსოფლიოში თითქმის 3000 საერთოეროვნული რეფერენდუმი ჩატარდა, კიდევ უფრო მეტი — ადგილობრივ და რეგიონულ საკითხებზე.

1970-იანი წლებიდან მსოფლიოში რეფერენდუმების რაოდენობა სწრაფი ტემპით იმატებდა და მაქსიმუმს 1990-იან წლებში მიაღწია. მაგალითად, **1995 წელს იტალიაში ჩატარდა 12 რეფერენდუმი სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, მაფიის წევრების მიმართ შინაპატიმრობის გამოყენებაზე.**

1997 წელს ეკვადორში რეფერენდუმი ჩატარდა 14 საკითხზე, მათ შორის, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებაზეც.

რეფერენდუმად ითვლება ამომრჩეველთა გამოკითხვა ნებისმიერ საკითხზე — ბუნებრივი აირის მრეწველობის ნაციონალიზაციით დაწყებული, ახალი საარჩევნო სისტემის შემოღებით დასრულებული.

**2009 წელს შვეიცარიაში ჩატარდა რეფერენდუმი მეჩეთების მშენებლობის შესახებ, 2012 წელს კი ციურიხში, ქვეყნის ყველაზე დიდ ქალაქში, გაიმართა პლებისციტი ავტომობილში პროსტიტუციით დაკავებულთათვის სპეციალური სექსპარკინგის შემოღებაზე.** შვეიცარია ეს არის ქვეყანა, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი საკითხი რეფერენდუმზე გააქვთ.

ზოგი რეფერენდუმის ეგზოტიკურობის მიუხედავად, ის ფართოდ გამოიყენება მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას, მაგალითად, დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად, რომელიმე ალიანსიდან ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან გასასვლელად.

1945 წლიდან დღემდე დამოუკიდებლობის საკითხზე მსოფლიოში 52 რეფერენდუმი ჩატარდა. მათგან 27 ქვეყანაში, შედეგების მიხედვით, პასუხი დადებითი იყო, 25-ში — უარყოფითი.

1990-იან წლებში დამოუკიდებლობის საკითხზე 14 რეფერენდუმი გაიმართა. შედეგების მიხედვით, 8 ქვეყანამ დატოვა სსრკ, 3-მა — იუგოსლავია, ერთი გამოეყო ეთიოპიას და ერთი გახდა აღმოსავლეთი ტიმორი.

1967 წლიდან **პუერტო-რიკომ** ოთხჯერ ჩაატარა რეფერენდუმი აშშ-ისგან დამოუკიდებლობის შესახებ, ოთხივე რეფერენდუმის პასუხი უარყოფითი იყო; **კვებეკის პროვინციაში** ორჯერ გაიმართა კენჭისყრა კანადისგან გამოყოფის შესახებ და ორჯერვე შედეგი უარყოფითი იყო, თუმცა პუერტო-რიკოშიც და კვებეკშიც კვლავ გაისმის მოწოდებები ახალი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.

**„ბი-ბი-სი“**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რეფერენდუმი თვითონ ევროკავშირსა და მის სტრუქტურებში დასაქმებულ უამრავ ადამიანს სჭირდება. როდესაც ხედავთ ევროდეპუტატებს, რომლებიც ივიწყებენ, როგორ ცხოვრობენ მათი თანამოქალაქეები, ხედავთ მათ ათასობით ასისტენტს, სხვადასხვა თანამშრომელს, ევროკავშირის ფუნქციონერების გასაგიჟებელ ხელფასებსა და ბონუსებს, უიმედობის განცდას ისეთი პრობლემების გადაწყვეტისას, როგორიც არის მიგრაციული კრიზისი, უნებლიეთ დაფიქრდები, შეუძლიათ კი ამ ადამიანებს ადეკვატურად აღიქვან რეალობა“.



# სლოვაკეთის პარლამენტის სპიკერი: ევროპელი მაღალჩინოსნები რეალობას მოსწყდნენ

**სლოვაკეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ანდრეი დანკომ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების კომენტირებისას განაცხადა, რომ ევროპელი მაღალჩინოსნები რეალობას მოსწყდნენ და ბრიტანული რეფერენდუმის შედეგები სიგნალი უნდა იყოს მათი საქმიანობის გადასახედად.**

„ვიმედოვნებ, სწორედ ეს რეფერენდუმი იქნება სიგნალი ევროპელი მოხელეების საქმიანობის გადასახედად, რომლებიც რეალობას მოსწყდნენ, აგრეთვე, ვიმედოვნებ, რომ ჩვენთვის ეს იქნება გაკვეთილი და არ დაიწყება ქაოსი.

**რეფერენდუმი თვით ევროკავშირსა და მის სტრუქტურებში დასაქმებულ უამრავ ადამიანს სჭირდება. როდესაც ხედავთ ევროდეპუტატებს, რომლებიც ივიწყებენ, როგორ ცხოვრობენ მათი თანამოქალაქეები, ხედავთ მათ ათასობით ასისტენტს, სხვადასხვა თანამშრომელს, ევროკავშირის ფუნქციონერთა გასაგიჟებელ ხელფასებსა და ბონუსებს, უიმედობის განცდას ისეთი პრობლემების გადაწყვეტისას, როგორიც არის მიგრაციული კრიზისი, უნებლიეთ დაფიქრდები, შეუძლიათ კი ამ ადამიანებს ადეკვატურად აღიქვან რეალობა?“** — განაცხადა სლოვაკეთის პარლამენტის ხელმძღვანელმა.

# ევროკავშირი ირღვევა

## მარინ ლე პენი საფრანგეთს ევროკავშირის დატოვებისკენ მოუწოდებს, მას მხარი აუბა ნიდერლანდების პარტია თავისუფლების ლიდერმა

**პარტია „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა ფრანგებს მოუწოდა, ქვეყანაში ჩატარდეს რეფერენდუმი, ბრიტანეთში ჩატარებულის მსგავსი, ევროკავშირში საფრანგეთის ყოფნა-არყოფნის შესახებ.**



„თავისუფლების გამარჯვება, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ვითხოვდი — ჩვენ უნდა ჩავატაროთ ასეთივე რეფერენდუმი საფრანგეთსა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც“, — დაწერა მარინ ლე პენმა სოციალურ ქსელში. როგორც ჩანს, ლე პენის განწყობილება ამაღლებულია. სოციალურ ქსელში მან, აგრეთვე, გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც ის იღიმის და ხელში საფრანგეთისა და ბრიტანეთის ალმები უჭირავს. „ფრანგულ-ბრიტანული განწყობა, ვიზეიმოთ ხალხების თავისუფლება!“ — დაწერა ფოტოს ქვეშ ფრანგმა პოლიტიკოსმა.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის გამოცხადებისთანავე, ნიდერლანდების თავისუფლების პარტიის ლიდერმა **გერტ ვილდერსმა** მოითხოვა, ქვეყანაში ჩატარდეს რეფერენდუმი ევროკავშირიდან ნიდერლანდების გასვლის შესახებ.

# ინდოეთი და პაკისტანი თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის წევრები ხდებიან

**თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის (თშო) წევრი სახელმწიფოების მეთაურებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს გაერთიანების წევრობის მოსაპოვებლად ინდოეთისა და პაკისტანის ვალდებულებების შესახებ.**

ევროკავშირის შოკის ფონზე თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია ფართოვდება. რუსეთის, ჩინეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის ლიდერებმა დაამტკიცეს ინდოეთისა და პაკისტანის ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც საჭიროა თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციაში (თშო) გასაწევრებლად.




ექსპერტთა შეფასებით, ამ ქვეყნების შესვლა გაერთიანებაში 2017 წელს დასრულდება. ინდოეთისა და პაკისტანის თშო-ში გაერთიანების პროცედურა 2015 წელს დაიწყო. ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსი აქვს ბელარუსს, მონღოლეთს, ინდოეთს, ირანს, პაკისტანსა და ავღანეთს.



# «ბრექსიტი» ხელს შეუწყობს დომინოს ეფექტის ამოქმედებას ევროპაში

**ბრიტანელთა მაგალითი შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს ევროკავშირის სხვა უკმაყოფილო წევრებისთვის, — წერს ფრანგული გამოცემა „ფიგარო“.**

გაზეთი აღნიშნავს, რომ ევროსკეპტიკოსების ბანაკი ფართოვდება, პირველ რიგში, ლონდონის სკანდინავიელი მოკავშირეების ხარჯზე, მათ შორის, მთავარ ევროსკეპტიკოსად **დანია** ითვლება. საინტერესოა: ადრე თუ გვიან, დანიაც დატოვებს ევროკავშირს, თუკი ქვეყანაში ევროკავშირიდან გამოსვლის მომხრეები გაიმარჯვებენ? დანიის სამეფოში უკვე, დიდი ხანია, ყურადღებით აკვირდებიან „ნისლიან ალბიონზე“ მიმდინარე პროცესებს.

„ჩვენ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული სუვერენიტეტი. დანია, ევროპული თანამშრომლობის ცენტრში კი არა, პერიფერიაზე უნდა იყოს“, — განაცხადა ხალხის პარტიის ხელმძღვანელმა **კრისტიან ტულესენ დალმა.**

**გერმანიაც** ყურადღებით აანალიზებს ბრიტანულ რეფერენდუმს, მაგრამ გერმანიის ხელისუფლებას სხვა ინტერესები ამოძრავებს. ბერლინში არავის სურს ერთი ერთზე დარჩენა დასუსტებულ საფრანგეთთან, თანაც ბრიტანეთის გარეშე ბერლინს ლონდონი დამატებითი სახელმწიფოებრივი ხარჯების მიმართ „მადის“ შესაზღუდად სჭირდება.

# ბრიტანელებს ახალი ლიდერი სჭირდებათ

## კემერონი პოსტის დატოვებას აპირებს

**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა დევიდ კემერონმა 23 ივნისს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გამო, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთმა ევროკავშირი უნდა დატოვოს, გადადგომა გადაწყვიტა.**



კემერონი, რომელიც „ბრექსიტის“ წინააღმდეგი იყო, რეფერენდუმის შედეგების მიუხედავად, პოსტის დატოვებას არ აპირებდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყვეტილება შეცვალა.

რეფერენდუმამდე კარგა ხნით ადრე ექსპერტები ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლას ქვეყნის მთავრობის კატასტროფულ ჩავარდნას უწოდებდნენ.

„ქვეყანაში სწრაფი ცვლილებები არ დაიწყება“, — აღნიშნა კემერონმა და დასძინა, რომ ევროგაერთიანებიდან ბრიტანეთის გამოსვლის პროცესის დაწყების ვადას ახალი პრემიერი განსაზღვრავს ოქტომბერში პოსტის დაკავების შემდეგ. 28 ივნისს კემერონმა მთავრობის სპეციალური სხდომა გამართა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ევროპის საბჭოს ეწვევა, რათა განმარტოს ბრიტანელების გადაწყვეტილება ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე, აგრეთვე, თავისი გადაწყვეტილება პოსტიდან გადადგომის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთი მხრივ, ეგვიპტეს, გაერთიანებულ არაბულ საამიროებსა და საუდის არაბეთს, მეორე მხრივ კი, დასავლეთის სახელმწიფოებს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებთ ლიბიაში. საუდელები ცდილობენ, ლიბიის სათავეში მოიყვანონ ქმედუნარიანი მთავრობა, რომელიც ამ ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკას ერ-რიადის კონტროლს დაუქვემდებარებს; დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი კი უარს არ იტყვიან ლიბიის ახალ კოლონიურ დაყოფაზე.**

# ახალი ინტერვენცია ლიბიაში

**გაზაფხულზე თეთრი სახლის ცხოვრებაში გაუგონარი რამ მოხდა: აშშ-ის პრეზიდენტმა აღიარა, რომ 2011 წელს ლიბიის საქმეებში ამერიკის ჩარევა, რომელმაც მუამარ კადაფის დამხობა გამოიწვია, შეცდომა იყო. აღსანიშნავია, რომ ლიბიის საშინაო საქმეებში ამერიკელთა ჩარევა სპონტანური და მოუფიქრებელი აქცია არ ყოფილა. ის კარგად იყო გათვლილი და, სულ ცოტა, ორ მიზანს ემსახურებოდა.**



**პირველი** — ლიბიის წინააღმდეგ აგრესიას უნდა შეეჩერებინა ლიბიის ჯამაჰირიის წარმატებული ეკონომიკური ექსპანსია აფრიკაში. ეს ექსპანსია კოლონისტი სახელმწიფოების — დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის — დომინაციურ მდგომარეობას ემუქრებოდა. სწორედ ამიტომ აღმოჩნდნენ აშშ-ის ნატოელი მოკავშირეები შეიარაღებული ინტერვენციის მოთავეები.

**მეორე** — ლიბიის მიერ ოქროს დინარის შემოღების პერსპექტივამ დასავლეთის საფინანსო წრეების უკმაყოფილება გამოიწვია. აფრიკის კავშირის ქვეყნების მიერ ამ ვალუტის გამოყენების შედეგად ოქროს დინარი დოლარის პოზიციებს შეარყევდა და დიდად დააზარალებდა საერთაშორისო მევახშეთა კაპიტალს.

ანადგურებდნენ რა ლიბიაში არსებულ პოლიტიკურ წყობილებას, აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები, ალბათ, არც დაფიქრებულან, რომელი ძალა მოვიდოდა მის შემცვლელად.

მოსახლეობის ტომობრივი სტრუქტურის მქონე ქვეყანაში მდგრადი ავტორიტარული რეჟიმის დამხობას, რომელმაც ლიბიელები შეაკავშირა, შეუძლებელი იყო, არ გამოეწვია ტომებსა და კლანებს შორის შეტაკებები — „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. ასეთ პირობებში კი სწრაფად გაიზარდა რადიკალური ისლამისტების გავლენა.

**ამჟამად ლიბიაში მოქმედებს 1700 სამხედრო დაჯგუფება, რომლებიც იყოფენ ძალაუფლებას ამ არაბულ ქვეყანაში.**

9 ივნისს გავრცელდა ინფორმაცია დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან ლიბიის საპორტო ქალაქ სირტისა და მისი სანავთობე ტერმინალის გათავისუფლების თაობაზე. ნიშანდობლივია, რომ განმათავისუფლებელთა როლში გამოვიდნენ მისრატას „ბოევიკები“, რომლებიც რადიკალიზმში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს არ ჩამოუვარდებიან. 2011 წელს სწორედ მისრატასა და ბენღაზის კლანების წარმომადგენლებმა დაიწყეს ახალი „რევოლუცია“ ლიბიაში. **კირენაიკისა და მისურატის კლანები იმხანად ყატარის ინტერესების გამტარებლად განიხილებოდნენ. სწორედ მათზე დადო ძირითადი ფსონი დოჰამ, რომელიც პოსტკადაფისტურ ლიბიაში დომინირებისკენ მიისწრაფვის, მაგრამ ქაოსის დაწყებისთანავე ცხადი შეიქნა, რომ სანავთობე „ნამცხვარი“ ყველას არ ეყოფოდა. ამან გამოიწვია კლანების დაყოფა და მათ დაიწყეს ყატარის გავლენის ორბიტიდან გასვლა.**

ამის ნათელი მაგალითია **ტრიპოლის გუბერნატორი, წარსულში ადგილობრივი „ალ ქაიდას“ ლიდერი აბდელჰაკიმ ბელჰაჯი. 2011 წელს ის მეამბოხეთა რიგებში იდგა, როგორც ყატარის პოლიტიკის ოპერატორი ლიბანში, მაგრამ, როდესაც ყატარელებისგან ისეთი ჯილდო ვერ მიიღო, როგორსაც ელოდა, ჯერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ინტერესებს ატარებდა, ახლა კი მჭიდროდ თანამშრომლობს ალჟირის სპეცსამსახურებთან. მან საველე მეთაურის კამუფლაჟი იტალიური ფირმა „ბრიონის“ კოსტიუმზე გაცვალა და ყველაფერთან ერთად რესპექტაბელური ბიზნესმენიც გახდა.** აბდულჰაკიმ ბელჰაჯი ამჟამად ფლობს ლიბიის უდიდეს ავიაკომპანიას, სადაზღვევო სააგენტოებს, ექსპორტ-იმპორტით დაკავებულ ფირმებს ლიბიაში, ტუნისში, სუდანსა და თურქეთში. ამჟამად ბელჰაჯისთვის, ისევე, როგორც ლიბიის სხვა „ომის სენიორებისთვის“, მთავარია კონტროლის დაწესება ლიბიის ნაციონალურ სანავთობე კომპანიაზე, ცენტრალურ ბანკსა და საინვესტიციო სააგენტოზე. ეს სააგენტო იმით არის საინტერესო, რომ იურიდიული უფლება აქვს, დასავლეთში არსებული კადაფის ავუარები (აქტივები: ფული, ფასიანი ქაღალდები) გაყინოს.

**ტრიპოლის გუბერნატორი, წარსულში ადგილობრივი «ალ ქაიდას» ლიდერი აბდელჰაკიმ ბელჰაჯი 2011 წელს მეამბოხეთა რიგებში იდგა, როგორც ყატარის პოლიტიკის ოპერატორი ლიბანში, მაგრამ, როდესაც ყატარელებისგან ისეთი ჯილდო ვერ მიიღო, როგორსაც ელოდა, ჯერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ინტერესებს ატარებდა, ახლა კი მჭიდროდ თანამშრომლობს ალჟირის სპეცსამსახურებთან. მან საველე მეთაურის კამუფლაჟი იტალიური ფირმა «ბრიონის» კოსტიუმზე გაცვალა და ყველაფერთან ერთად რესპექტაბელური ბიზნესმენიც გახდა**




**ამჟამად ქვეყანაში შექმნილი ქაოსის გამო აშშ და ევროკავშირი უარს ეუბნებიან ლიბიელებს კადაფის ავუარების გადაცემაზე და ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი ბრძოლა გაიმართება ლიბიაში ამ აქტივების დასაუფლებლად.**

ლიბიაში კლანების შესაძლებლობებით იმედგაცრუებულმა ყატარელებმა, ბოლოს და ბოლოს, ფსონი „ისლამურ სახელმწიფოზე“ დადეს, მაგრამ ლიბია ერაყი არ არის, ერაყელი სუნიტების თემში „ისლამური სახელმწიფოს“ პოპულარობას ხელს უწყობდა საერთო მტრის არსებობა შიიტების სახით. ლიბიაში ასეთი მტერი არ არსებობს, ტომობრივი უთანხმოება კი აქ გაცილებით ძლიერია, სწორედ ამიტომ ვერ შეძლო „ისლამურმა სახელმწიფომ“ ლიბიის მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაპყრობა.

დღეს ლიბიაში ვითარებას სულ უფრო განსაზღვრავს უცხოეთის ჩარევის ესკალაცია. სირტისთვის ბრძოლაში მისრატის კლანის „ბოევიკების“ მხარდამხარ იბრძოდა ბრიტანული სპეცრაზმიც. უცხოელები მისრატელთა მთავარი კონკურენტის, გენერალ **ხალიფ ხაფთარის** სამხედრო ქვედანაყოფებშიც არიან. ბენღაზის შტურმში, რომელიც გენერალმა გამარჯვებით დაასრულა ივნისის დასაწყისში, ფრანგული სპეცდანიშნულების რაზმი მონაწილეობდა. ამ გენერალს მხარს, აგრეთვე, უჭერენ ეგვიპტე, გაერთიანებული არაბული საამიროები, ცოტა ხნის წინათ კი — საუდის არაბეთიც.

შეგახსენებთ, რომ ლიბიაში ორი მთავრობა და ორი პარლამენტია: წარმომადგენელთა პალატა თობრუკში და სახალხო კონგრესი ტრიპოლიში, რომლებიც ისლამისტებისგან შედგება. 2015 წლის დეკემბერში მათი ხელმძღვანელები ზემოქმედების შედეგად, როგორც იქნა, დათანხმდნენ ნაციონალური ერთობის მთავრობის ჩამოყალიბებაზე.

ამჟამად ვითარება იცვლება. **საუდის არაბეთმა აქტიურად დაიწყო მუშაობა მისრატისა და ტრიპოლის საველე მეთაურებთან. მათ იბირებენ და ამით ყატარის პოზიციებს ასუსტებენ. საუდელებმა, მაგალითად, გადაიბირეს სახალხო ლაშქრის ლიდერი იბრაჰიმ ჯადრანი, აგრეთვე, „ტრიპოლის დაცვის ბრიგადის“ საველე მეთაური ისმაილ სალაბი — ადგილობრივი დაჯგუფება „ძმები მუსლიმების“ ადგილობრივი დაჯგუფების სულიერი მოძღვრის ძმა.**

ეს აქციები ხორციელდება **ფაეზ სარაჯის** ნაციონალური ერთობის მთავრობის მხარდასაჭერად.

ექსპერტთა აზრით, ერთი მხრივ, ეგვიპტეს, გაერთიანებულ არაბულ საამიროებსა და საუდის არაბეთს, მეორე მხრივ კი, დასავლეთის სახელმწიფოებს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებთ ლიბიაში.

საუდელები ცდილობენ, ლიბიის სათავეში მოიყვანონ ქმედუნარიანი მთავრობა, რომელიც ამ ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკას ერ-რიადის კონტროლს დაუქვემდებარებს. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი კი უარს არ იტყვიან ლიბიის ახალ კოლონიურ დაყოფაზე.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ლიბია პროვინციების კონგლომერატს წარმოადგენდა, თანაც კირენაიკის ოლქს ინგლისელები აკონტროლებდნენ, ტრიპოლის (ტრიპოლიტანიას) — იტალიელები, ფეცანს — ფრანგები. ლიბიის დაყოფის ამგვარი სცენარი ამჟამადაც არ არის გამორიცხული.

**FONDSK.RU**

**დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ლიბია პროვინციების კონგლომერატს წარმოადგენდა. კირენაიკის ოლქს ინგლისელები აკონტროლებდნენ, ტრიპოლის (ტრიპოლიტანიას) — იტალიელები, ფეცანს — ფრანგები. ლიბიის დაყოფის ამგვარი სცენარი ამჟამადაც არ არის გამორიცხული**



**„ღამღამობით ახალწვეულები სპორტდარბაზში შეჰყავდათ. მაიძულებდნენ, ორალური სექსით დავკავებულიყავი სხვა ახალწვეულებთან. ეს ყველაფერი ხდებოდა მას შემდეგ, როდესაც ახალწვეულს ჯერ მეთაური გააუპატიურებდა. მეთაურები ამბობდნენ, რომ ეს ყველაფერი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ახალწვეულები ნამდვილ მამაკაცებად ქცეულიყვნენ“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავსტრალია: ახალწვეულებს ერთმანეთის გაუპატიურებას აიძულებდნენ



**ავსტრალიის არმიის ახალწვეულებს, საგამოძიებო კომისიის მონაცემების მიხედვით, მათი უშუალო მეთაურები აუპატიურებდნენ, აგრეთვე, აიძულებდნენ, ერთმანეთი გაეუპატიურებინათ.**

23 ივნისს ავსტრალიაში დაიწყო ღია მოსმენა საქმისა ავსტრალიის არმიაში მეთაურთა მიერ ახალწვეულებზე ძალადობის შესახებ.

კომისიამ (The Royal Commission), რომელიც ბავშვებზე ძალადობის შემთხვევებს იძიებს, ავსტრალიის არმიაში ახალწვეულებზე ძალადობის შემთხვევებიც გამოიძია.

სასამართლო პროცესზე მოწმეთა ჩვენებები ავსტრალიის ბევრმა მედიასაშუალებამ გამოაქვეყნა:

*** ძალადობის მსხვერპლთ რეგულარულად შეურაცხყოფდნენ და ამცირებდნენ.**

*** ამ საქმეზე 100-ზე მეტი ადამიანი მისცემს ჩვენებას;**

*** კომისია იძიებს წარსულში და ახლახან ჩადენილი ძალადობის შემთხვევებს.**

*** მოწმეები აღწერენ, როგორ აუპატიურებდნენ მათ მეთაურები და როგორ აიძულებდნენ ერთმანეთის გაუპატიურებას;**

*** გამოძიება მიმდინარეობს 1960-დან 2000 წლების პერიოდში ჩადენილ დანაშაულებზე.**

ერთ-ერთმა მოწმემ განაცხადა, რომ დასავლეთ ავსტრალიაში მდებარე სამხედრო-საზღვაო ბაზა HMAS Leeuwin-ზე სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში სხვა ახალწვეულების მხრიდან ხშირად განიცდიდა დამცირებასა და შეურაცხყოფას, ხოლო, როდესაც გაქცევას შეეცადა, დასაჯეს.

**„სამხედრო-საზღვაო პოლიციის წარმომადგენლები მთელი ღამის განმავლობაში მამცირებდნენ და შეურაცხმყოფდნენ ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. ეს ხდებოდა ორალური და ანალური სექსის სახით, აგრეთვე, ონანირებით“.** მოწმემ სასამართლოს განუცხადა, რომ მის გაჩუმებას მუქარით შეეცადნენ.

სხვები ყვებიან, როგორ უსვამდნენ ანალურ ნახვრეტში ფეხსაცმლის კრემს და შემდეგ აუპატიურებდნენ ჯაგრისით, აგრეთვე, როგორ აიძულებდნენ შარდის ალოკვას იატაკიდან.

**გლენ გრივზმა** სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამსახური 1971 წელს დაიწყო და რამდენიმე მედლით არის დაჯილდოებული. გრივზი ამ სასამართლო მოსმენაზე სწორედ ამ მედლებით მივიდა.

გრივზმა აღწერა, როგორ აღვიძებდნენ ღამით, პირში ჩრიდნენ ტუალეტის ქაღალდს, სწორ ნაწლავში კი — იატაკის საწმენდის ტარს.

„დღეს მე მედლები მხოლოდ ერთი მიზეზით გავიკეთე მკერდზე. მსურდა, მემსახურა ჩემი ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, ჩემი ყმაწვილკაცობის წლები ისეთი არ იყო, როგორიც წარმომედგინა. **ღამღამობით ახალწვეულები სპორტდარბაზში შეჰყავდათ. მე მაიძულებდნენ, ორალური სექსით დავკავებულიყავი სხვა ახალწვეულებთან. ეს ყველაფერი ხდებოდა მას შემდეგ, როდესაც ახალწვეულს ჯერ მეთაური გააუპატიურებდა. მეთაურები ამბობდნენ, რომ ეს ყველაფერი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ახალწვეულები ნამდვილ მამაკაცებად ქცეულიყვნენ“,** — განაცხადა გრივზმა სასამართლო პროცესზე.



**«სამხედრო-საზღვაო პოლიციის წარმომადგენლები მთელი ღამის განმავლობაში მამცირებდნენ და შეურაცხმყოფდნენ ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. ეს ხდებოდა ორალური და ანალური სექსის სახით, აგრეთვე, ონანირებით»**



# თეთრები პოზიციებს კარგავენ

## როგორ აისახება დემოგრაფიული ცვლილებები აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე

**ბოლო წლებში აშშ-ში მნიშვნელოვნად შეიცვალა ეთნიკური სურათი: მაგალითად, ბევრ შტატში თეთრები უკვე აღარ წარმოადგენენ უმრავლესობას, წარმოშობით ლათინოამერიკელების, აფრიკელებისა და აზიელების წილმა კი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შესამჩნევად მოიმატა.**

The Wall Street Journal-ში გამოქვეყნებული მასალის ავტორების აზრით, ცვლილებები გავლენას იქონიებს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე — **დონალდ ტრამპი** ფსონს ქვეყნის თეთრკანიან მოსახლეობაზე დებს, მოსახლეობის სხვა ჯგუფები კი მხარს, ალბათ, **ჰილარი კლინტონს** დაუჭერენ.

წერილში აღნიშნულია, რომ ამჟამად აშშ-ის დემოგრაფიული სურათი ყველაზე „ჭრელია“ ქვეყნის ისტორიაში. 36 შტატის 370 ოლქში, მათ შორის, კოლუმბიის, 2015 წლის ივლისში თეთრკანიანი ამერიკელები მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს შეადგენდნენ.

ბრუკინგის ინსტიტუტის წარმომადგენელი, დემოგრაფი **უილიამ ფრეი** აღნიშნავს, რომ აღწერის მონაცემები ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ასაკობრივი სხვაობის მომატებაზეც მიუთითებს. **ამერიკის მოსახლეობაში 54 წელზე უფროსი ადამიანების 75% თეთრკანიანია, 18-დან 34 წლის მოსახლეობაში კი თეთრების წილი 56%-ია. რაც შეეხება ბავშვებსა და მოზარდებს, მათ შორის თეთრკანიანების რაოდენობა მხოლოდ ოდნავ აჭარბებს 50%-ს.**

ეს დემოგრაფიული ცვლილებები მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება საპრეზიდენტო არჩევნებზე: **აშშ-ში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები დემოკრატიული პარტიისკენ უფრო იხრებიან.**

რესპუბლიკელების კოზირი კი არის ის, რომ თეთრკანიანი მოსახლეობა, აგრეთვე, ხანში შესულები, უფრო ცხადდებიან არჩევნებზე, ვიდრე სხვა სოციალურ-ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები.

მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი ინტრიგა არის ის, **ვის დაუჭერს მხარს აშშ-ის შუა დასავლეთის მოსახლეობა** (ის დონალდ ტრამპისკენ იხრება) და ვის — ადამიანები ლათინოამერიკული ფესვებით, რომლებიც უკმაყოფილონი არიან მექსიკელებისა და, საერთოდ, მიგრაციულ პრობლემებზე ტრამპის განცხადებებით.

**აღსანიშნავია, რომ ფლორიდის შტატის დედაქალაქის (ტალაჰასი) ოლქში თეთრკანიანი მოსახლეობა ამჟამად უმცირესობაა ესპანურენოვანი ადამიანების წილის ზრდის გამო. თუ 2010 წელს არაესპანურენოვანი თეთრკანიანების წილი ქალაქ ორლანდოს მოსახლეობაში 53,6%-ს შეადგენდა, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 49,2%-მდე დაეცა. ამასთანავე, გაიზარდა რაოდენობა ლათინოამერიკული ფესვების მქონე ადამიანებისა, რომლებიც ტრადიციულად ხმას დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს აძლევენ.**

ტეხასის შტატში ლათინოამერიკელები უზრუნველყოფენ მოსახლეობის რაოდენობის მატებას, რადგან ისინი, საშუალოდ, უფრო ახალგაზრდები არიან თეთრებზე, ამასთანავე, მათ ოჯახებში უფრო მეტი ბავშვი იბადება. ტეხასში თეთრკანიანთა რაოდენობის შემცირების მიზეზი არის ისიც, რომ მოსახლეობა ისეთი აგლომერაციისა, როგორიც არის ოსტინი, საცხოვრებლად სხვა შტატებში გადადის.

ელექტორატის სურათზე არანაკლები გავლენა აქვს აზიელ მოსახლეობასაც. **აზიიდან ტეხასში ჩასულთა პროცენტული მაჩვენებელი პრაქტიკულად გაუტოლდა ლათინური ამერიკიდან ჩასულთა მაჩვენებელს. არც ერთი და არც მეორე ჯგუფი რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის მხარდამჭერი არ არის.**

2015 წლის ივლისის მდგომარეობით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აშშ-ში აზიელთა რაოდენობამ 3,4%-ით მოიმატა, ესპანურენოვანთა რაოდენობამ — 2,2%-ით, შავკანიანთა — 1,3%-ით, არაესპანურენოვანი თეთრკანიანი მოსახლეობის მატებამ კი მხოლოდ 0,1% შეადგინა.

**THE WALL STREET JOURNAL**

# კონტროლი გასროლაზე: დემოკრატები პროტესტის ნიშნად იატაკზე დასხდნენ



**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელებმა სხდომა გადადეს, რათა არ განეხილათ კანონი, რომელიც ქვეყანაში იარაღის გაყიდვის წესების გამკაცრებას ითვალისწინებს. სხდომის გადადების გამო, რომელზეც ქვეყანაში იარაღის გაყიდვის წესების გამკაცრების კანონი უნდა განხილულიყო, დემოკრატებმა მოაწყვეს მჯდომარე აქცია, რომელშიც, კონგრესმენ ჯერალდ ნადლერის თქმით, პარტიის 60-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

„ვფიქრობ, თუკი კენჭისყრა გაიმართებოდა, ეს კანონპროექტი აუცილებლად გავიდოდა, ამიტომ ეშინიათ რესპუბლიკელებს კენჭისყრის გამართვის“, — განაცხადა ნადლერმა.

ორი პარტიის წარმომადგენელთა უთანხმოების მიზეზი არის შესწორება, რომელიც კრძალავს იარაღის მიყიდვას იმ პირებისთვის, რომლებსაც უფლება არ აქვთ, მართონ საჰაერო ტრანსპორტი, აგრეთვე, ცვლილება, რომლის მიხედვითაც უნდა გამკაცრდეს მყიდველის ფსიქოლოგიური შემოწმება. იარაღის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანაზე საუბარი აშშ-ის სამთავრობო წრეებში ორლანდოში ცოტა ხნის წინათ მომხდარი ტრაგედიის შემდეგ დაიწყეს, როცა **ომარ მიტინმა** გეიკლუბის 50-მდე სტუმარი სიცოცხლეს გამოასალმა.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა აშშ ვერ აკონტროლებს ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგს, იგი დაჟინებით ცდილობს, შეაღწიოს ირანში. სწორედ თავისი ამ მისწრაფების განსახორციელებლად ცდილობს, დაარტყას ირანს და არა იმიტომ, რომ დაიცვას კაცობრიობის უსაფრთხოება.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-23 (330-352)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

ვუბრუნდებით პომიდვრის პრობლემას. გულდასაწყვეტია, როცა ამ სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებელი ფერმერები მოწმენი ხდებიან, როგორ იყიდება კაპიკებად მათ მიერ მოწეული მოსავალი. უყურებენ ამ უსამართლობას, მაგრამ ძალა არ შესწევთ, შეცვალონ ვითარება: საბაზრო მაფიას ვერ მოერევიან, მხოლოდ შეაფერხებენ, გამონაკლის შემთხვევაში და ისიც დროებით.

მაგრამ ბოსტნეულ-ბაღჩეულის პალიტრა პომიდვრით არ ამოიწურება. არსებობს კიდევ კიტრი. და მიდის ბაზარზე კიტრის მომყვანი ფერმერი მოსავლის გასაყიდად. იქ, ბაზარში, კი იგივე მაგარი ბიჭები ქურდებად სხედან. ახალს არაფერს ამბობენ, „პირველ ჩვენებას აწვებიან“. შენი კიტრის ფასი, ეუბნებიან ფერმერს, პომიდვრისას მიებმებაო.

პომიდვრის ფასს კი, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, აკონტროლებს საბაზრო მაფია: აიაფებს და აძვირებს თავისი სურვილისამებრ.

თქვენ, პატივცემულო მკითხველო, პომიდვრის მოყვანით რომ იყოთ დაკავებული, დაეთანხმებოდით იმ „მაგარ ბიჭებს“, თქვენი პროდუქციის გასაყიდი ფასი მიბმული რომ ყოფილიყო რომელიმე სხვა პროდუქტზე, რომელთანაც არაფერი გაკავშირებთ?

დარწმუნებული ვარ, არ დაეთანხმებოდით.

რისთვის, რა მიზნით გამოვიყენეთ ეს სასურსათო ალეგორიები? იმ მიზნით, რათა მარტივად წარმოგვედგინა ჩვენი მკითხველისთვის ის სინამდვილე, რომელიც ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზეა ჩამოყალიბებული. **ნავთობის საბადოების საკონტროლო პაკეტი აშშ-ის ხელშია. მას შეუძლია გააძვიროს ან მინიმუმამდე (როგორც სურს) გააიაფოს „შავი ოქრო“, მით უფრო, რომ, საკონტროლო პაკეტის გარდა, მსოფლიო ფინანსებიც მისი საკუთრებაა.**

მაგრამ ბუნებრივი აირის მსოფლიო ბაზარზე ყველაფერი სხვაგვარადაა — ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგის 56,4 პროცენტი რუსეთში, ირანსა და ყატარშია. ყველაზე დიდი საბადოები რუსეთისაა, შემდეგ მოდის ირანი. თუ ფიქრობთ, რომ აშშ-ს ძალა არ შესწევს, დაწიოს ბუნებრივი აირის ღირებულება, შემცდარხართ და ეგაა.

იმ რეალობაში, **როცა შტატები ვერ აკონტროლებს ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგს, იგი დაჟინებით ცდილობს, შეაღწიოს ირანში.**

**სწორედ თავისი ამ მისწრაფების განსახორციელებლად ცდილობს, დაარტყას ირანს და არა იმიტომ, რომ დაიცვას კაცობრიობის უსაფრთხოება.**

**ეს ერთი.**

**მეორე.** აშშ-მა შექმნა იმგვარი „საბაზრო“ სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის ბუნებრივი აირის ფასის გაკონტროლებას ისე, რომ ახლოს არ მიეკაროს საბადოებს.

ეს როგორ უნდა გავიგოთ?

ოდესმე გსმენიათ **ბრიტანული თერმული ერთეულის** შესახებ? თუ დარგის სპეციალისტი არ ხართ, სავარაუდოდ, პასუხი უარყოფითი იქნება.

არადა, ძალიან საინტერესო ერთეულია. სწორედ იგი იძლევა ბუნებრივი აირის ფასზე კონტროლის დაწესების საშუალებას ბუნებრივი აირის საბადოებზე „საკონტროლო პაკეტის“ არქონის პირობებში...

ვიდრე ამას გავარკვევთ, მცირე ხნით დავუბრუნდეთ ბაზარს, მაგრამ არა მსოფლიო ბაზარს, არამედ საკონტროლოს. თქვენ იქ მიბრძანდით ორიოდე კილოგრამი კიტრისა და პომიდვრის საყიდლად. ჩვეულებრივ ეკითხებით გამყიდველს — რას აფასებს კილოგრამს? პასუხი უჩვეულოა, მაგრამ საინტერესო.

— რა ღირს კილოგრამი? — იმეორებს გამყიდველი, — არ ვიცი, რა ღირს. უნდა გადავიანგარიშო ფორმულა.

— რომელი ფორმულა? — ინტერესდებით თქვენ.

— კიტრის ფასის შემფასებელი ფორმულა. ჩვენ ბაზარში, — გიზუსტებთ გამყიდველი, — საამისოდ ვიყენებთ „საკოლმეურნეო ვიტამინის გრადუსს“.

— რას იყენებთ? — გაოცებას ვერ მალავთ, რადგან ვერაფერს იგებთ, — რომელ „საკოლმეურნეო გრადუსს“?! სიცხის საზომს კი არ ვყიდულობ, კიტრზე გევაჭრებით, რომელიც დახლზე გიწყვიათ!

— მეც ზუსტად იმას გიპასუხებ, ჩემო კარგო, რაც გაინტერესებს: კილოგრამი კიტრის ფასის გასაგებად ფორმულა უნდა გადავიანგარიშო საკოლმეურნეო ვიტამინის გრადუსის საშუალებით. ეს გრადუსი გვიჩვენებს, თუ რამდენი დარჩება ერთი მილიგრამი ბოსტნეულიდან, თუ მას ერთ მილილიტრ წყალში მოვხარშავთ.

აქ თქვენ გევსებათ მოთმინების ფიალა:

— გეყოფათ მასხარაობა, მიპასუხეთ, რა ღირს კილოგრამი კიტრი და თავგზას ნუ მიბნევთ თქვენი „ვიტამინის გრადუსებით“.

ახლა გამყიდველის აღშფოთების ჯერი დგება.

— რატომ გწყინთ, პატივცემულო?! ჩვენთან ყველაფერი სინდის-ნამუსიანად კეთდება, მეცნიერულ საფუძველზე! ამის გარეშე კიტრს არავინ გაყიდის! ფასს ყველა საკოლმეურნეო ვიტამინის გრადუსის გამოანგარიშების საფუძველზე ადებს.

— კეთილი და პატიოსანი, — ბოლოს და ბოლოს, ეთანხმებით, — გამოიანგარიშეთ თქვენი „გრადუსის“ მიხედვით და მითხარით, რა ღირს კილოგრამი კიტრი, რადგან ვერაფერი გავიგე თქვენი ახსნა-განმარტებიდან. ნუღარ დააყოვნებთ!

გამყიდველი ამოიღებს კალკულატორს და იწყებს გამოთვლას.

— ეს მარტივი საქმე არ არის, ჩემო ბატონო. პატიოსნად გეტყვით, როგორ ვანგარიშობთ. რას ვუმატებთ, რას ვამრავლებთ. ვანგარიშობთ შემდეგნაირად: ვიღებთ კრასნოდარ-მოსკოვის (ან თბილისი-ერევნის) მატარებლით სამგზავრო ბილეთის ფასს, ვამრავლებთ 0,79 კოეფიციენტზე, ამას ვუმატებთ უკრაინული გრივნის კურსს ირანის დინარის მიმართ, რომელიც იყო 9 თვის წინათ, და ამ ყველაფერს გავყოფთ პომიდვრის ფასზე, რომელიც იყო ნიუ იორკის ბაზარზე გუშინ საღამოს. ერთი მილიონი საკოლმეურნეო ვიტამინის გრადუსი ეღირება...



თქვენი მოთმინება ამოიწურა და აღარც კიტრის ფასი გაინტერესებთ, კიტრის ყიდვის სურვილიც გაგიქრათ.

მაგრამ მათ, ვინც ბუნებრივი აირით ვაჭრობს, უფლება არ აქვთ, კალკულატორსა და ფურცელზე თქვან უარი. სხვაგვარად ისინი თავიანთი საქონლის ფასს ვერ გამოიანგარიშებენ. საქმე ის არის, რომ ბუნებრივი აირის ფასი ნავთობის ფასთან არის გათანაბრებული. ეს კი ნიშნავს, რომ რუსეთს, რომელიც მსოფლიოში ბუნებრივი აირის უდიდეს მარაგს ფლობს, არ შეუძლია განსაზღვროს თავისი საქონლის ფასი.

საოცარია: **ნავთობის ფასის დადგენა რუსეთს არ შეუძლია იმიტომ, რომ არის ნავთობის ბაზარი, არის ფიუჩერსები ნავთობზე, არის მომწოდებელთა და მომხმარებელთა უზარმაზარი მასა. მაშასადამე, არსებობს ფასის დადგენის ორიენტირები, რომლებზეც, გინდა-არ გინდა, უნდა აიღო გეზი. რუსეთი ბუნებრივი აირის ფასსაც იმიტომაც ვერ განსაზღვრავს, რომ მსოფლიო ბაზარი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და, მაშასადამე, არ აქვს ფასების საკუთარი ორიენტირები. შედეგად, რუსეთის ბუნებრივი აირის ფასს ადგენს ნავთობის „ბაზარი“, რომელსაც ამერიკელები აკონტროლებენ.**

აი, ახლა კი ვილაპარაკოთ ბრიტანულ თერმულ ერთეულზე.

რას ნიშნავს იგი?

რადგან ბუნებრივი აირის ფასი ნავთობის ფასზეა მიბმული, ისინი ერთმანეთს უნდა შევუფარდოთ. აქ წარმოიქმნება პრობლემა: ბუნებრივი აირი გაზია, ნავთობი — სითხე. როგორ შევადაროთ ისინი ერთმანეთს? პირველი, რაც აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, ბუნებრივი აირისა და ნავთობის ფასები განზომილების ერთნაირ (შეფარდებულ) ერთეულებში უნდა გადავიყვანოთ. საამისოდ მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებულია ბრიტანეთის თერმული ერთეული (ბთე). ბრიტანეთის თერმული ერთეული არის სითბოს ის რაოდენობა, რომელიც ერთი ფუნტი წყლის ფარენგეიტის ერთი გრადუსით გასათბობად არის საჭირო. ნავთობის ერთი ბარელი შეიცავს 5,825 ბთე-ს, ბუნებრივი აირის ერთი კუბური მეტრი შეიცავს 36,6785 ბთე-ს.

თქვენ უთუოდ იგრძენით უმაღლესი მათემატიკის ნიავის ქროლვა ამ ელემენტარული საკითხის გარკვევის მცდელობისას. ალბათ, ასეა. თქვენ გსურთ, გაიგოთ თქვენივე ბუნებრივი აირის ღირებულება. ამაზე ადვილი არაფერია. გაათბეთ ერთი ფუნტი წყალი ფარენგეიტის 1 გრადუსით! ეს არც ხუმრობაა და არც შეურაცხყოფა. სწორედ ამაზეა აგებული ბუნებრივი აირის დღევანდელი გაყიდვა. სწორედ ასე ანგარიშობენ და ადგენენ მის ფასს. **არასოდეს არაფერი გსმენიათ ბრიტანეთის თერმული ერთეულის შესახებ? პოლიტიკოსები და ეკონომისტები უფრთხილდებიან თქვენს ფსიქიკას და პირდაპირ გეუბნებიან, რა ფასს ადებენ ერთ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს ამერიკულ დოლარებში. ზემოთ მოხმობილ ფორმულაზე საუბარი რომ დაეწყოთ, თქვენ, ალბათ, ჭკუიდან გადადგებოდით.**

და მაინც — როგორ ადგენენ ბუნებრივი აირის ფასს? კუბური მეტრის ღირებულება ავადმყოფის ტემპერატურასავით დახტის. თუ ამჩნევთ, რომ ამ ღირებულების ყოველდღიურად ან ყოველ საათში შეცვლა „თითიდან არის გამოწოვილი“, ე.ი. თქვენ ნორმალური ადამიანი ბრძანდებით.

**საქმე ის არის, რომ არ არსებობს ერთიანი და საყოველთაოდ მიღებული მეთოდიკა ან ფორმულა, რომლითაც გამოითვლება ბუნებრივი აირის ფასი!**

არადა, ასეთი ფორმულა უამრავია.

ბუნებრივი აირის ფასი ბრიტანული თერმული ერთეულებით დგინდება ანგლოამერიკულ ბაზრებზე (ამერიკულ დოლარებში მილიონ ბთე-ზე). უმეტესად გამოიყენებენ „ორ მარტივ ფორმულას“ ბუნებრივი აირის ფასის განსასაზღვრავად, ორივე შემთხვევაში — ბარელი ნავთობის ფასიდან გამომდინარე. რადგან ბარელი ნავთობი შეიცავს 5,825 ბთე-ს, ერთი კვადრატული მეტრი ბუნებრივი აირის მილიონი ბთე-ს ფასის ზედა ზღვრად მიჩნეულია ბარელი ნავთობის ღირებულების ერთი მეექვსედი. ჯერ კიდევ იგებთ, რასაც კითხულობთ? მაშინ დავუმატოთ, რომ მოცემული ფორმულა ამგვარად გაანგარიშებული, როგორც წესი, ამეტებს ბუნებრივი აირის ფასს. ქვედა ზღვრად იყენებენ ერთი ბარელი ნავთობის ფასის ერთ მეათედს. ამრიგად, ბუნებრივი აირის ფასი მერყეობს ერთი ბარელი ნავთობის ფასის ერთ მეათედსა და ერთ მეექვსედს შორის.

მიაქციეთ ყურადღება: **ფასი, რომელიც გაანგარიშებულია „მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე“, შეიძლება მერყეობდეს და იცვლებოდეს თითქმის 50 პროცენტის ფარგლებში. სწორედ ასეთი სხვაობაა 1/10-სა და 1/6-ს შორის.**

თუ ასე ყიდიან ბუნებრივ აირს, ამგვარადვე რატომ არ უნდა გაყიდონ კიტრი და პომიდორი?! კიდეც უნდა დაამკვიდრონ საკოლმეურნეო ვიტამინის გრადუსი.

თანდათან ხვდები, რომ ტვინი გეყინება. ამ დროს კი გაანგარიშების მხოლოდ ერთ ფორმულას გავეცანით. ბოლო პერიოდში იგი ფრიად პოპულარულია. მას (ამ ფორმულას) „საწვავის პარიტეტადაც“ მოიხსენიებენ. მოცემული ფორმულის საფუძველია „საწვავის კონკურენცია“ გაზსა და სათბობ მაზუთს შორის. ამ ფორმულის თანახმად, ბუნებრივი აირის ერთი მილიონი ბთე=-0,5+0,1611X ბარელი ნავთობის ფასი.

**გაუგებრობაა სრული. რატომ არის ასე და არა სხვანაირად, ანუ გასაგებად? ვისმა ავადმყოფურმა ფანტაზიამ წარმოგვიდგინა ბუნებრივი აირის გაყიდვის ამგვარი სქემა? რატომ არ შეიძლება ამ ბუნებრივი პროდუქტის გაყიდვა ისე, როგორც ნებისმიერი საქონელი იყიდება მსოფლიოში: საქონლის ერთეულის ღირებულებით და არა აბსტრაქტულ ბრიტანულ თერმულ ერთეულთან შეფარდებით?**

დაფიქრდით: საბაზრო ფასი ფორმულის მიხედვით — ეს ისეთივე ნაბოდვარია, როგორც კაზინო მოგების გარანტიით. **კაზინოებს იმიტომ ხსნიან, რომ მოთამაშეებმა წააგონ (ან მოიგონ) თავიანთი ფული. ხოლო თავისუფალი ბაზარი, როგორც გვასწავლეს, არსებობს იმისთვის, რათა განსაზღვროს საქონლის ფასი მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსიდან გამომდინარე, მაგრამ არავითარი მოთხოვნა და არავითარი მიწოდება ბუნებრივი აირის ბაზარზე რატომღაც არ მუშაობს.** ამ „გამონაკლისს“ კი განგვიმარტავენ იმით, რომ „...მსოფლიო პრაქტიკაში ბუნებრივი აირის მიწოდების უმრავლეს კონტრაქტში ფასის ზუსტი ფორმულა კომერციული საიდუმლოებაა“. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეული კონტრაქტისთვის სპეციალურად იწერება ფორმულა! ე.ი. ფასი სხვადასხვა კონტრაქტში სხვადასხვა იქნება. მაშასადამე, **არავითარი საბაზრო მექანიზმი ბუნებრივი აირის გასაყიდად არ არსებობს. ყველა ცალკე შემთხვევაში მიმდინარეობს პოლიტიკური ვაჭრობა: პოლიტიკოსები განსაზღვრავენ გაზის ფასს და მხოლოდ ამის შემდეგ მიაწერენ კონტრაქტის დამდებნი შეთანხმებულ ციფრს ლამაზ ფორმულას. ეს იმას ჰგავს, მათემატიკაში თეორემები უკნიდან რომ იწერებოდეს: ჯერ — შედეგი, შემდეგ — გამოანგა-** ▶

**არავითარი საბაზრო მექანიზმი ბუნებრივი აირის გასაყიდად არ არსებობს. ყველა ცალკე შემთხვევაში მიმდინარეობს პოლიტიკური ვაჭრობა: პოლიტიკოსები განსაზღვრავენ ბუნებრივი აირის ფასს, და მხოლოდ ამის შემდეგ მიაწერენ კონტრაქტის დამდებნი შეთანხმებულ ციფრს ლამაზ ფორმულას. ეს იმას ჰგავს მათემატიკაში თეორემები უკნიდან რომ იწერებოდეს — ჯერ შედეგი, შემდეგ გამოანგარიშება.**

## ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არასოდეს არაფერი გსმენიათ ბრიტანეთის თერმული ერთეულის შესახებ? პოლიტიკოსები და ეკონომისტები უფრთხილდებიან თქვენს ფსიქიკას და პირდაპირ გეუბნებიან, რა ფასს ადებენ ერთ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს ამერიკულ დოლარებში. ზემოთ მოხმობილ ფორმულაზე საუბარი რომ დაეწყოთ, თქვენ, ალბათ, ჭკუიდან გადადგებოდით**

**რიშება ამ შედეგის მისაღებად. ჯერ — „ოთხი“, შემდეგ — „ორჯერ ორი“. შეიცვალა ფასი, გახდა „სამი“, „ოთხს“ რა ემართება? ვცვლით ფორმულას — ახლა ჩავწერთ „სამჯერ ერთი“...**

**ეს აბდაუბდა, ისევე, როგორც თერმული ერთეული, ბრიტანელების მოგონილია და დანერგილია ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე.**

სხვა ფორმულებს ნუღარ განვიხილავთ, გავუფრთხილდეთ საკუთარ ნერვულ სისტემას, თუმცა კიდევ ერთზე შეჩერება ღირს.

„ბუნებრივ აირზე უფრო ზუსტი ფასის მიღება შეიძლება რეგრესული ანალიზის დახმარებითა და სეზონური ფაქტორების გათვალისწინებით... რეგრესიული ანალიზის თანახმად, რუსეთის ბუნებრივი აირის ფასის ფორმულა შეიძლება გამოისახოს ასე: 1 მლნ ბთე გაზის ფასი = 1,5762 + 0,1009 X ბარელი ნავთობის ფასზე. ამ ფორმულის თანახმად, ბუნებრივი აირის ფასი დამოკიდებულია მხოლოდ ნავთობის ფასზე მიმდინარე მომენტში. მაგრამ ასეთი ფორმულის გამოყენებისას გაზის ფასი ნავთობის ფასის ცვალებადობაზე იქნება მიბმული — შეიცვლება პირველი, შეიცვლება მეორეც.

აქედან გამომდინარე, **არსებობს ბუნებრივი აირის ფასის დადგენის სხვა ფორმულაც, რომელიც მკითხველი საზოგადოებისთვის ისეთივე გაუგებარია, როგორც პირველი. მაგრამ, გული რომ არ დაგწყდეთ, ამ მეორესაც წარმოგიდგენთ: ბუნებრივი აირის 1 მლნ ბთე-ს ფასი =0,714+0,046 X ბარელი ნავთობის ფასზე +0,0975 X ბარელი ნავთობის ფასზე 9 თვის წინათ.**

ეს ორი მაგალითი გვარწმუნებს, რომ გაზის ნებისმიერ ფასს შეიძლება მივუსადაგოთ შესაფერისი სიმპათიური და დამარწმუნებელი ფორმულა.

ბუნებრივი აირის ფასის დადგენას რომ გადავყევით, ვიცით კი, რას წარმოადგენს თავისთავად ეს აირი, სად და როგორ იყენებენ მას?

ბუნებრივი აირი მოიპოვება დედამიწის ქერქში, სადაც, გარკვეულ პირობებში, წარმოქმნის დიდ საბადოებს. ბუნებრივი აირის მთავარი შემადგენელია — მეთანი, ეთანი, პროპანი და ბუტანი. გაზი თავისთავად ნაზავია ნახშირწყალბადების, ესაა „გაზისმაგვარი ნავთობი“! ამიტომაა, რომ ბუნებრივი აირის გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ როგორც იაფი საწვავის, არამედ როგორც ნედლეულის ქიმიური მრეწველობისთვის. ამ ჰიპოსტასში მისი გამოყენება მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაიწყო. ნახშირწყალბადები, რომლებიც ბუნებრივი აირის შემადგენლობაშია, წარმოგვიდგება, როგორც ნედლეული ფორმალდეჰიდის, მეთილის სპირტის, აცეჰალდეჰიდის, აცეტონის, ძმარმჟავასა და სხვა ორგანული შენაერთების მისაღებად. ბუნებრივი აირი ფართოდ გამოიყენება ამიაკის, სპირტებისა და სხვა ორგანული პროდუქტების მისაღებად, ასევე პლასტიკური მასების, სინთეთიკური კაუჩუკის, ხელოვნური ნართისა და ა.შ. და ა.შ. საწარმოებლად. დღეისთვის მრეწველობა ბუნებრივი აირის მოცულობის 44 პროცენტს გამოიყენებს, ენერგეტიკის დარგი — 31 პროცენტს. დანარჩენი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და ტრანსპორტის სექტორებს ხმარდება.

**ბრიტანული თერმული ერთეული და ბარელი ნავთობის ღირებულების მიბმა გაზის ფასზე დასავლეთის ინტერესების სადარაჯოზე დგას და რუსეთს თავისი ბუნებრივი რესურსების სარფიანად ვაჭრობის გზას უკეტავს. მართალია, ბუნებრივი აირის ექსპორტი დღესაც არ არის წამგებიანი, მაგრამ ის თანხა, რომელიც ამ გზით შეიძლება მიიღოს რუსეთმა და რომელსაც ამჟამად იღებს, დიდად განსხვავებულია.**

რის გაკეთება შეიძლება ამ შემთხვევაში?

ბუნებრივი აირის გაყიდვა ნავთობის გაყიდვას უნდა ჩამოვაცილოთ, ბუნებრივი აირის ფასი ნავთობის ფასისგან გამოვაცალკევოთ, რომელსაც (ნავთობის ღირებულებას) აიაფებს ფიუჩერსები და ვარდნა-გაიაფებაში ბუნებრივი აირსაც ითრევს.

მთავარ ღონისძიებად შეიძლება დავასახელოთ „ბუნებრივი აირის ოპეკის“ შექმნა. ეს იდეა მკვდარი წერტილიდან დაიძრა 2006-2007 წლებში, როცა ირანის სულიერმა ლიდერმა **აიათოლა ჰომეინიმ** შესთავაზა რუსეთს „ბუნებრივი აირის ოპეკის“ შექმნა“.

მარტივია „საბჭოდი დაზგის“ რეაქციის გათვლა, რომელსაც ხელიდან გამოაცლიან ნავთობის ალტერნატიული საწვავის კონტროლს. „აშშ და ევროკავშირი მიიჩნევენ, რომ „ბუნებრივი აირის ოპეკის“ შექმნა საფრთხეს შეუქმნის მსოფლიოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და ფასებით მანიპულირების შესაძლებლობას გააჩენს“.

„ევროკომისიამ განაცხადა, რომ წინააღმდეგია, ბუნებრივი აირის მწარმოებელთა კარტელის შექმნის მსგავსად, ოპეკის მოდელის“. ეს ითქვა მას შემდეგ, რაც ბუნებრივი აირის უმსხვილესმა მომპოვებლებმა — რუსეთმა, ირანმა და ყატარმა — გაავრცელეს ინფორმაცია თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ. „კომისია პრინციპულად წინააღმდეგია პროდუქციით ვაჭრობისთვის კარტელების შექმნის, ნახშირწყალბადები გამონაკლისი არ არის. მიგვაჩნია, ისეთი პროდუქტების, როგორიც ბუნებრივი აირია, გაყიდვის საუკეთესო პირობებს ჰქმნის თავისუფალი და გამჭვირვალე ბაზარი“.

მაგრამ **2008 წელს ბუნებრივი აირის ოპეკი რეალობად იქცა. კრიზისმა, რომელიც ყველაფერს ხელს უშლის, ამ შემთხვევაში ყველას უბიძგა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისკენ. ირანისა და რუსეთის მოშთოვბის საშიშროებამ ნავთობის გაიაფების გზით ავტომატურად წარმართა ისინი ბუნებრივი აირის უფრო ძვირად გაყიდვისკენ.**

**„21 ოქტომბერს ირანის ნავთობის მინისტრმა გოლიამჰოსეინ ნოზარიმ განაცხადა, რომ რუსეთმა, ირანმა და ყატარმა შეიმუშავეს „ბუნებრივი აირის ოპეკის“ დაარსების პირობები.** „შეხვედრის მსვლელობისას მივიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. არის მოთხოვნა „ბუნებრივი აირის ოპეკის“ შექმნის და ამჟამად მიღწეულია შეთანხმება მის შესაქმნელად“, — განაცხადა ბატონმა ნოზარიმ სამმხრივი მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ ყატარის ნავთობის მინისტრი და რუსეთის „გაზპრომის“ ხელმძღვანელი ალექსეი მილერი“.



აშშ ამას უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. დაპირისპირების ვადამ და ლოგიკამ საპასუხო ნაბიჯების გადადგმა **ბარაკ ობამას** დააკისრა, თუმცა არც **ჯორჯ ბუშს** დაუკლია მცდელობა.

ჯორჯ ბუში ამერიკის პრეზიდენტი 8 წლის განმავლობაში იყო. სწორედ მისი მმართველობის პერიოდში მიაღწია აშშ-ის სახელმწიფო ვალმა კოსმოსურ სიდიდეს. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლამ ისევე გამოაცალა ძალები შეერთებულ შტატებს, როგორადაც აშშ-ის წინააღმდეგ ბრძოლამ გამოაცარიელა საბჭოთა ქვეყნის ხაზინა. ჯერ კიდევ **რონალდ რეიგანის** პრეზიდენტობისას, 1990 წელს, შტატების ვალმა 700 მილიარდი დოლარიდან 2 ტრილიონ დოლარს მიაღწია *(იხ. ა. გრინსპენი, „ძვრების ეპოქა“, 2008 წ., გვ. 110).* ეს თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ ამერიკელებიც იმავე სიძნელეებს განიცდიდნენ, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. საბჭოთა ქვეყნის შემთხვევაში ეს გამოწვეული იყო სოციალისტური ეკონომიკის უძლურობით, რაც იწვევდა პროდუქტებისა და საქონლის დეფიციტს, ამერიკელები კი სრული სიმძლავრით ამუშავებდნენ თავიანთ „საბეჭდ დაზგას“. **ციფრები გვიჩვენებს, რომ კრიზისიდან გამოსვლაში ამერიკას ხელი შეუწყო ორმა რამემ: „საბეჭდმა დაზგამ“ და საბჭოთა კავშირის დაშლამ. ამასთანავე, მეორემ გადაფარა პირველი. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ამერიკის ეკონომიკას მეორე სუნთქვა გაეხსნა.** ეს ჭეშმარიტება ალიბეჭდა ყველა სტატისტიკურ მონაცემში, ანგარიშსა და მემუარებში. „1993 წლის ბოლოსთვის რეალური მშპ არა მხოლოდ 8,5 პროცენტით გაიზარდა 1991 წლის კრიზისულ წელიწადთან შედარებით, არამედ ზრდის წლიურმა ტემპმა 5,5 პროცენტს გადააჭარბა“.

**რეიგანის შემცვლელი მამა-ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში, 1993 წელს, აშშ-ს მთელი მსოფლიოს ვალი — 3 ტრილიონი დოლარის დააწვა კისერზე.**

**შვილმა-ბუშმა თავისი პრეზიდენტობა ამ ვალის 10,5 ტრილიონამდე გაზრდით აღნიშნა.** ეს რიცხვი „საბეჭდი დაზგის“ მფლობელებს მხოლოდ სიდიდით არ აფრთხობს. იგი საშიშია შედარების კუთხიდან განხილვით. **1997 წელს აშშ-ის მშპ-ც 10 ტრილიონ დოლარი იყო. ეს კი ნიშნავდა, რომ ამერიკას დანარჩენი მსოფლიოს ვალი ჰქონდა იმდენი, რა მოცულობის პროდუქტსაც აწარმოებდა ეს ქვეყანა.**

ჯორჯ ბუში კარგა ხნის წინათ წავიდა. ბევრი ცოდვა აჰკიდეს მას, მაგრამ ერთი უმთავრესია — 8 წლის განმავლობაში აშშ კი არ გაძლიერდა, არამედ დასუსტდა. და, რუსეთი რომ არ დაიშალა, ეს არა მხოლოდ რფ-ის ხელმძღვანელობის, არამედ ბუშის ადმინისტრაციის „დამსახურებაცაა“.

ჯორჯ ბუში წავიდა, მაგრამ დაგვიტოვა ისეთი მარგალიტები, რომლებიც დაღვრემილ ადამიანებს კარგ განწყობაზე დააყენებს.

თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ!

### ლაპარაკობს ჯორჯ ბუში

***გულახდილად გეტყვით, რომ მასწავლებლები ერთადერთი პროფესიაა, რომლის წარმომადგენლები ჩვენს ბავშვებს ასწავლიან (18.09.1995).**

* მიმაჩნია, რომ ჩვენ ვდგავართ გზაზე, რომელსაც უფრო მეტი თავისუფლებისკენ და დემოკრატიისკენ მივყავართ, რომელსაც ვერ გადავუხვევთ. მაგრამ ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს (22.05.1998).

***დარწმუნებული ვარ, რომ თევზებსა და ადამიანებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა (29.09.2000).**

* კარგი იყო, მეკითხა იმისთვის, ვინც შემეკითხა. მე არ მქონდა საშუალება მეკითხა მისთვის, ვინც შემეკითხა. მაგრამ რომელ შეკითხვაზე ვლაპარაკობთ? (ოსტინი, ტეხასი, 08.01.2001).

***მე განზრახული მაქვს, შევინარჩუნო აღმასრულებელი ხელისუფლება არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემი წინამორბედებისთვისაც (ვაშინგტონი, 29.01.2001).**

*ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ ორივე მხარესთან, რათა ტერორის დონე შევამციროთ იმ დონემდე, რომელიც ორივე მხარისთვის იქნება მისაღები (ვაშინგტონი, 02.10.2001).

*** ჩემი მოგზაურობა აზიაში იწყება იაპონიიდან ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზის გამო. იგი აქედან იწყება, რადგან საუკუნე-ნახევარია, ამერიკამ და იაპონიამ შექმნეს უახლესი დროის ყველაზე უფრო მყარი და ყველაზე ხანგრძლივი კავშირი. ამ კავშირმა შვა მშვიდობის ერთა წყნარი ოკეანის რეგიონში (ტოკიო, 19.02.2002).**

*თქვენც გყავთ ზანგები? (შეეკითხა ბრაზილიის პრეზიდენტს — ფერნანდო კარდოზოს. სან პაულოს შტატი, 28.04.2002).

*** თქვენ თავისუფალი ხართ! თავისუფლება მშვენიერია, მაგრამ იცით, საჭიროა დრო, რათა აღდგეს ქაოსი და წესრიგი — წესრიგი ქაოსიდან. გამოცალკევებული, მაგრამ ჩვენ ამას გავაკეთებთ! (ვაშინგტონი, 14.04.2003).**

*ჩემთვის დიდი პატივია, ხელი ჩამოვართვა ერაყის მამაც ადამიანს, რომელსაც ხელი მოჰკვეთა სადამ ჰუსეინმა (ვაშინგტონი, 25.04.2004).

***მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს მეგობარს, სენატორ ბილ ფრისს იმისთვის, რომ დღეს ჩვენთანაა. მან იქორწინა ტეხასელ ქალიშვილზე, თქვენ რომ იცოდეთ. კარინიც აქ არის. იგი ტეხასელი გოგონაა, როგორც მე თვითონ (ნეშვილი, თენესის შტატი, 278.05.2004).**

* ჩვენს მტრებს აქვთ ტექნოლოგიები და რესურსები, ჩვენც — აგრეთვე. ისინი მუდამ იმაზე ფიქრობენ, რომ ავნონ რამე ჩვენ ქვეყანას და ჩვენ ხალხს. ჩვენც — ასევე (ვაშინგტონი, 05.08.2004).

*** ამას გარდა, მე და პრეზიდენტმა დავადასტურეთ ჩვენი მზადყოფნა, მტკიცედ ვებრძოლოთ ტერორს, დავნერგოთ ნარკოვაჭრობა და ღირსეულად მივაგოთ პატივი მათ, ვინც აფუჭებს ჩვენს ახალგაზრდობას (ჩილეს პრეზიდენტთან საუბრის შესახებ, სანტიაგო, 21.11.2004).**

* მიმაჩნია, რომ საჭიროა, დაუყოვნებლივ მივცეთ უფლება ხბოებს გადმოლახონ ჩვენი საზღვარი (ოტავა, 30.11.2004).

***როცა ჩვენ ვკარგავთ ადამიანთა მსხვერპლს, ეს ყოველთვის არის სევდისა და მწუხარების მომენტი (ვაშინგტონი, 21.12.2004).**

* იდეა იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები ირანზე თავდასხმისთვის ემზადება, სიცილის მომგვრელია. ამას შემიძლია მხოლოდ ერთი რამ დავამატო: ჩვენ განვიხილავთ ყველა შესაძლო ვარიანტს (ბრიუსელი, 22.02.2005).

***ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა მუშებს, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა მუშებს დავპირდით მთავრობის შემწეობას — დაპირება დაპირებული იყო, მაგრამ შემწეობის გაცემა არ შეგვიძლია. ასეა ეს საქმე (ვაშინგტონი, 04.05.2005).**

* მე დიდ დროს დავხარჯავ სოცუზრუნველყოფის პროგრამისთვის. ეს საქმე მომწონს. მომწონს ამ საქმის კეთება. ვფიქრობ, რომ ამ დროს ჩემში დედის გრძნობა ლაპარაკობს (ვაშინგტონი, 14.04.2005).

***იცით, ტერაქტებმა არა მარტო შეუწყო ხელი ვარდნის აჩქარებას, არამედ შეგვახსენა, რომ ომს ვაწარმოებთ (ვაშინგტონი, 08.06.2005).**

*** მინდოდა მეთქვა, რომ ამ ბიჭს პირში თითი არ უნდა ჩაუდო, მაგრამ ეს,** ალბათ, თარგმანში შეიძლება კარგად არ აჟღერდეს. ხომ არ გეწყინებათ, თუ ვიტყვი, რომ მე თქვენ პირში თითს არ ჩაგიდებთ? (ასე მიმართა ლუქსემბურგის პრემიერმინისტრ ჟან-კლოდ იუნკერს, ვაშინგტონი, 08.06.2008).

*ასეთი სამუშაო მაქვს — ჩემ ცხვირზე უფრო შორს ვიფიქრო (ვაშინგტონი, 03.08.2005).

ბარაკ ჰუსეინ ობამას მარგალიტების ასეთი კრიალოსანით არ გავუმხიარულებივართ. განწყობაზე არ იყო, რადგან ბუნებრივი აირისა და ნავთობის პრობლემა იყო მის დროს აშშ-ის პრეზიდენტის ნამდვილი თავის ტკივილი.

თანაც ბუნებრივი აირი უპირველესი იყო...

წიგნის ბოლო თავის თარგმანს „საქართველო და მსოფლიოს“ მომდევნო ნომრიდან შემოგთავაზებთ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავტომობილს ერთჯერადი დამუხტვის შემთხვევაში 400 კმ-ის გავლა შეეძლება. იგი აღჭურვილი იქნება თავისუფალი წვდომით TESLAS SUPERCHARGERS-ზე, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით უკვე 3600 ლოკაციაზეა და კომპანია ამ მაჩვენებლის გაზრდას 2017 წლისთვის 7000-მდე გეგმავს. MODEL 3-ზე მოთხოვნის ზრდის მოლოდინში კომპანია ასევე გეგმავს ყოველწლიურად 500 ათასი ელემენტის წარმოებას საკუთარ GIGAFACTORY-ში.**



# «ლენოვოს» ჭკვიანი სასპორტო ფეხსაცმელი 3D სკანერით

**2016 წელს მსოფლიოს ნიუ ტეკზე სან-ფრანცისკოში, „ლენოვომ“ წარმოადგინა „ჭკვიანი“ სარბენი ფეხსაცმლის პროტოტიპი, რომელსაც შეუძლია აჩვენოს პატრონის ფიზიოლოგიური მდგომარეობის მონაცემები.**

**„ჭკვიან“ ფეხსაცმელს წინ აქვს პატარა დისპლეი ვარჯიშის რეჟიმზე გადასართავად.**

თქვენ შეძლებთ, აირჩიოთ თქვენთვის სასურველი სიჩქარე, სასურველი დატვირთვა. ვარჯიშის დაწყებისას სკანერი ითვლის ნაბიჯებს, დახარჯულ კალორიებს, სიჩქარეს. თუ თქვენ შერჩეულ რეჟიმს ასცდით, ფეხსაცმელი დაიწყებს ციმციმს და შეგატყობინებთ ამის შესახებ. მას აქვს რეჟიმი „სმარტი“. ამ დროს ის თვითონ ქმნის ვარჯიშის გრაფიკს თქვენი წონიდან გამომდინარე, აბალანსებს დატვირთვას, რომელიც უფრო მოსახერხებელია.

ელემენტები იმუხტება უსადენო დამმუხტავი პანელით. ერთჯერადი დამუხტვა საკმარისია ათი დღის განმავლობაში. როდის მოხვდება ლენოვოს საოცარი ფეხსაცმელი მაღაზიებში და რა ეღირება, ჯერ უცნობია.

# «ჭკვიანი ბოთლი», რომელიც ღვინოს დაძმარებისგან დაიცავს

**საქართველო ღვინის ქვეყანაა. ასე რომ, ღვინის დაყენებისა და შენახვის წესები სხვებისგან არ გვესწავლება, არც ის, რატომ ძმარდება ღვინო გახსნილ ბოთლში.**

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჟანგბადის ზემოქმედების გამო ხდება. უმალვე, როდესაც ბოთლიდან საცობს ამოვიღებთ, ბოთლში არსებულ გაზს ცვლის ჟანგბადის შემცველი ჰაერი. ღვინო ჟანგბადს რამდენიმე დღეში შეიწოვს. ჟანგბადი კი იმ ქიმიურ ნაერთებთან რეაგირებს, რომლებიც პასუხს აგებს ღვინოს გემოსა და არომატზე. ეს რეაქცია ცნობილია, როგორც ჟანგვის რეაქცია და ცვლის ღვინის გემოს, სუნსა და არომატს.

არასწორი შენახვით ჩვენი საყვარელი ღვინო რომ არ დაძმარდეს, რა ვუყოთ გახსნილ ბოთლს ერთი-ორი ბოკალის შემდეგ?

ახლახან ამ კითხვას საინტერესო გამოგონებით გასცა პასუხი ამერიკულმა სტარტაპმა Kuvee-მ. მან შექმნა ახალი მაღალტექნოლოგიური ბოთლი, რომელიც შეუნახავს ღვინოს თავის არომატს 30 ან მეტი დღის განმავლობაში, თითქოს ბოთლი ახლახან გაიხსნა. ბოთლი ღვინოს საიმედოდ ინახავს, რადგან არასდროსაა გახსნილი და მასში მხოლოდ 0,1 გრამი ჟანგბადი აღწევს.

**ეს ბოთლი შედგება ორნაწილიანი სისტემისგან: პირველი დახურული კაფსულაა,**



**რომელიც პასუხისმგებელია ღვინოს დაცვაზე, და მეორე — ღია კაფსულა, რომლიდანაც ხდება ღვინის დასხმა.**

**ამ ბოთლის უპირატესობა სწორედ ისაა, რომ ორივე კაფსული ერთმანეთს ავტომატურად ენაცვლება საჭიროებისამებრ.** ასევე გამოყენებულია ტექნოლოგია, რომელიც სითხეს აძლევს საშუალებას, მხოლოდ ერთი მიმართულებით იმოძრაოს — შიგნიდან გარეთ.

დამატებითი ფუნქცია: როდესაც „ჭკვიანი ბოთლი“ უკავშირდება Wi-Fi-ს, შეგიძლიათ გამოხატოთ თქვენი შთაბეჭდილება საყვარელ სასმელზე და შეუკვეთოთ სხვა ბევრი რამ. ამ საოცარი ბოთლის შეძენა 2016 წლის ოქტომბრიდან მასაჩუსეტსა და კალიფორნიაში, სულ რაღაც, 199 დოლარად იქნება შესაძლებელი.

# «ტესლას» ახალი მიღწევები

**ელექტრომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია „ტესლას“ დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა ელონ მასკმა, რომელიც AUTO BILD-მა შარშან საავტომობილო სამყაროს წლის ადამიანად აღიარა და საპატიო ოქროს საჭე გადასცა, განაცხადა, რომ მისმა კომპანიამ Model 3-ის ელექტრომანქანის 276 ათასი შეკვეთა უკვე მიიღო.**




Model 3-ის სასტარტო ღირებულება 35 ათასი დოლარიდან იწყება.

რაც შეეხება ტექნიკურ მახასიათებლებს, ცნობილია, რომ ავტომობილს, ერთჯერადი დამუხტვის შემთხვევაში, 400 კმ-ის გავლა შეეძლება. იგი აღჭურვილი იქნება თავისუფალი წვდომით Teslas Super Chargers-ზე, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით უკვე 3600 ლოკაციაზეა და კომპანია ამ მაჩვენებლის გაზრდას 2017 წლისთვის 7000-მდე გეგმავს. Model 3-ზე მოთხოვნის ზრდის მოლოდინში კომპანია ასევე გეგმავს ყოველწლიურად 500 ათასი ელემენტის წარმოებას საკუთარ Gigafa-Ctory-ში.

ავტომობილი გარეგნულად კომპანიის საიმიჯო დიზაინის შტრიხების მქონეა, მისი ინტერიერიც, Model-ის მსგავსად, აღჭურვილია დიდი ციფრული „სამუშაო დაფით“. ამასთანავე, ელონ მასკის განცხადებით, Model 3 უსაფრთხოების კუთხით ყველა კატეგორიაში მიიღებს ხუთ ვარსკვლავს.

Model 3-ს კონკურენტებს შორის არიან General Motors-ის Chevy Bolt-ი და BYD-ის EV300-ი.

ელონ მასკი სამხრეთ აფრიკიდან აშშ-ში პირველად 1988 წელს ჩავიდა, 1992 წელს კი კინგსტონისა და პენსილვანიის უნივერსიტეტებში ფიზიკისა და ეკონომიკის ფაკულტეტები ბაკალავრის დიპლომების აღებით დახურა და სტენფორდისთვის სტიპენდიაც მიიღო. მაგრამ იქ სწავლა ზუსტად ორ დღეში შეწყვიტა, რადგან მის გარშემო ყველა ინტერნეტ-ფირმებს აარსებდა და მდიდრდებოდა. იმხანად ელონს ჰქონდა 2000 დოლარი, ავტომობილი, კომპიუტერი და ჰყავდა ერთადერთი მეგობარი კალიფორნიაში — მისი უმცროსი ძმა. თუმცა სამხრეთ აფრიკაში დაბრუნებაზე ერთი წამითაც არ უფიქრია — შანსი მიეცა და ამ შანსის გამოყენება უნდოდა. 1995 წელს მან დაარსა Zip2 — ინტერნეტ-კომპანია, რომლითაც ფირმები მასმედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ილებდნენ. Musk & Musk მუშაობდნენ ოფისში, სადაც სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა და რომლის ქირაშიც თვეში 400 დოლარს იხდიდნენ. ძმები მასკები ოფისში იმდენ ხანს რჩებოდნენ და ისე ადრე დგებოდნენ, რომ თანამშრომლები ვერც კი ამჩნევდნენ, სინამდვილეში იქვე რომ ცხოვრობდნენ. 1999 წელს ძმებმა Zip2 სარეკორდო ფასად, 307 მილიონ დოლარად, გაყიდეს. იმ დროს ელონ მასკი 27 წლის გახლდათ. მერე იყო PayPal-ი და დამატებითი მილიონები...



**„ტესლას“ ქარხანა ფრიმონტში (კალიფორნია), რომელიც მასკმა „ტოიოტასგან“ 42 მილიონ დოლარად შეიძინა. დღეს ამ ქარხნის ფასი დაახლოებით 500 მილიონი დოლარია**



**ეს ფოტო ტესლა MODEL S-ის სალონშია გადაღებული. უმაღლესი ხარისხის ტყავს, უძვირფასეს ხესა და ალუმინს სხვა ავტომობილებშიც ვხვდებით ხოლმე. აი, 17-დიუმიანი მონიტორი კი არნახული ინოვაციაა. სენსორულ ეკრანზე, რომელიც APPLE IPAD-ზე მინიმუმ ორჯერ დიდია, ყველაფერს მარტივად და კომფორტულად ვაკეთებთ. TESLA-მ მომავლის ფორმატი აღმოაჩინა.**



# ელექტრომობილის მყიდველებს გერმანიის მთავრობა 4 ათას ევროს აჩუქებს

**გერმანიის ხელისუფლება და ადგილობრივი ავტომწარმოებლები ელექტრომობილის მყიდველებს პრემიით დაასაჩუქრებენ.**

მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, ელექტრომობილის შეძენის შემთხვევაში, მყიდველს მანქანის ღირებულების ნაწილი – 4 000 ევროს ოდენობით აუნაზღაურდება, 3 ათასი ევროს კი ჰიბრიდული ძრავის მქონე ავტომობილების მყიდველები მიიღებენ.

პროგრამისთვის, სუბსიდირების მიზნით, გერმანიის მთავრობა 1 მილიარდ დოლარს გამოყოფს.

„დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, პროგრამა რამდენიმე კვირაში ამოქმედდება. პროგრამის მიზანი 2020 წლისთვის გერმანიაში ელექტრომობილების რაოდენობის, სულ მცირე, ერთ მილიონამდე გაზრდაა.

დღეისთვის გერმანიაში არსებული 45 მილიონი ავტომობილიდან დაახლოებით 50 ათასი ელექტრომობილია.

**პიტნის სუნს ვერ იტანენ კოღოები, რწყილები, ბუზები და თაგვები, ამიტომ მისი დახმარებით თავიდან მოიცილებთ ამ პარაზიტებს, თქვენ კი პიტნის არომატით მხოლოდ ისიამოვნებთ.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## უნივერსალური ნანოსალბუნი

**ScienceAlert-ი გვატყობინეს, რომ ამერიკელმა მეცნიერებმა მასაჩუსეტსიდან გამოიგონეს უნივერსალური სალბუნი, რომელიც საოცარი სისწრაფით არჩენს ნაიარევს.**

მკვლევართა ჯგუფმა ჰიდროგელის საფუძველზე შეიმუშავა ახალი ნივთიერება, რომელსაც აქვს ტემპერატურის იმპულსური საზომი კაპსულებით და შეიცავს უნივერსალურ ფარმაკოლოგიურ ნივთიერებებს. სალბუნის ელასტიურობის ხარჯზე მისი მიმაგრება შესაძლებელია სხეულის ნებისმიერ ნაწილზე.

სალბუნი რეაგირებს პაციენტის სხეულის ტემპერატურაზე. შემდეგ გამოყოფს საჭირო რაოდენობის წამალს სხეულის ზედაპირის დაზიანებულ ნაწილებზე. სპეციალური ნათელი დიოდები, რომლებიც დამონტაჟებულია სალბუნზე, აცნობებს პაციენტს, თუ რა რაოდენობის წამალია დარჩენილი კაფსულაში.

სალბუნის შემქმნელები ფიქრობენ, რომ მათი გამოგონება შეუცვლელი საშუალება იქნება დამწვრობისა და კანის სხვა დაზიანებების სამკურნალოდ.

ჰიდროგელის გამოყენება ასევე შესაძლებელია იმპლანტატის ჩიპებისას, მაგალითად, ჩიპებისთვის, რომლებიც ზომავს ორგანიზმში გლუკოზის ბალანსს.

აღნიშნული გამოგონების გაუმჯობესებაზე ჯერ კიდევ მუშაობენ. მისი გამოშვება 2018 წლამდე იგეგმება.

## როგორ გავუმკლავდეთ მწერებს ბუნებრივი საშუალებებით

**დღეს მაღაზიებში მწერების საწინააღმდეგი უამრავი ქიმიური საშუალება იყიდება, მაგრამ ჩვენ მათ ალტერნატიულ ბუნებრივ საშუალებებს შემოგთავაზებთ. ნატურალური საშუალებები არა მხოლოდ მოგიგვარებთ მწერების პრობლემებს, არამედ თქვენს სახლს სასიამოვნო არომატითაც აავსებს.**



*** პიტნის ზეთი**

გააზავეთ პიტნის ზეთი წყალში პროპორციით 1:1. ნაზავი ჩაასხით სასხურებლიან ბოთლში. ეს უბრალო და უვნებელი საშუალება შესახურეთ იქ, სადაც ობობები გეგულებათ. ამ გზით საბოლოოდ მოიშორებთ თავიდან მომაბეზრებელ ობობებს.

*** სოდა**

მწერების შეგროვების ადგილას მოაყარეთ სოდა. ის ისრუტავს ნესტს, რომელიც ასე იზიდავს მწერებს.



*** თეთრი ძმარი**

ძმარი ზემოხსენებული პიტნის ზეთის კარგი შემცვლელია. ისიც ასევე ჩაასხით ბოთლში და მოასხურეთ ოთახის კუთხეებში.



*** პიტნის ფოთლები**

პიტნის სუნს ვერ იტანენ კოლოები, რწყილები, ბუზები და თაგვები, ამიტომ მისი დახმარებით თავიდან მოიცილებთ ამ პარაზიტებს, თქვენ კი პიტნის არომატით მხოლოდ ისიამოვნებთ.

*** ლავანდა, როზმარინი და ევკალიპტი**

ლავანდის, ევკალიპტისა და როზმარინის ეთერზეთი მწერებთან ბრძოლის უებარი საშუალებაა. სამივე ამ ეთერზეთის წვეთები გახსენით 250 მლ წყალში და მოასხით კუთხეებში.

## ძილის რეჟიმის ერთკვირიანი დარღვევაც კი ათეროსკლეროზს იწვევს

**გადატვირთული რეჟიმის გამო ადამიანებს ხშირად ხანმოკლე ძილი უწევთ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გამოუძინებელი ადამიანების სისხლში ქოლესტერინის დონე მატულობს და გულის დაავადების რისკი იზრდება.**



მედიკოსები შეეცადნენ, აეხსნათ, თუ რატომ დგანან გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მაღალი რისკის ქვეშ ის ადამიანები, რომლებსაც რეკომენდებულ 7-8 საათზე ნაკლები სძინავთ დღეღამის განმავლობაში.

ქოლესტერინი არის ერთგვარი ცხიმი, რომელიც ღვიძლის მიერ წარმოიქმნება სისხლში და სხეულის უჯრედებისა და ორგანოებისთვის აუცილებელია. სისხლში არის სხვადასხვა ტიპის ქოლესტერინი – „ცუდი“ (დსლპ¬ქ — დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი) და „კარგი“ (მსლპ¬ქ — მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი).

„ცუდმა“ ქოლესტერინმა, შესაძლოა, დააზიანოს არტერიების კედლები და გამოიწვიოს მათ დამძიმება, შედეგად სისხლი შედედდება და წარმოიქმნება თრომბი. თრომბი ზღუდავს სისხლის ნაკადის მოძრაობას გულისკენ, რამაც, შესაძლოა, გულის შეტევა ან ინსულტი გამოიწვიოს.

„კარგი“ ქოლესტერინი, მეორე მხრივ, მოქმედებს, როგორც მაგნიტი, იგი „ცუდ“ ქოლესტერინს გამოდევნის არტერიებიდან და ღვიძლიდან.

ჰელსინკის უნივერსიტეტის მეცნიერთა გუნდი შეეცადა, გაერკვია, რამდენადაა დაკავშირებული ძილის რეჟიმი გულის დაავადებებთან.

ისინი ადამიანების ძილს ლაბორატორიაში დააკვირდნენ და გააანალიზეს, თუ რა გავლენას ახდენს ძილი იმ გენზე, რომელიც ორგანიზმში ქოლესტერინის გადაადგილებას არეგულირებს.

ალმოჩნდა, რომ **ძილის რეჟიმის ერთკვირიანი დარღვევაც კი ათეროსკლეროზს იწვევს.**

კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ აუცილებელია ადამიანების ინფორმირება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სრულფასოვანი ძილი ჯანმრთელობისთვის.

## მსოფლიოში პირველ ტყუპ შვიდ ბავშვს 18 წელი შეუსრულდა






**1997 წელს ამერიკელი წყვილის, პარი კენისა და ბობი მაკკოგის, ოჯახში დაიბადა ტყუპი შვიდი ბავშვი. მსგავსი მოვლენა პირველი იყო მსოფლიოში.
ახლახან მათ თვრამეტი წელი შეუსრულდათ.**



ამდენი ბავშვის აღზრდა მართლაც რომ გმირობის ტოლფასი იყო ახალგაზრდა ცოლ-ქმრისთვის. კენი და ბობი დიდი მოთმინებითა და შემართებით ზრდიდნენ პატარებს — ოთხ ბიჭსა და სამ გოგონას და ერთობლივად უმკლავდებოდნენ ყველა სირთულესა და წინააღმდეგობას.

პატარები იზრდებოდნენ თბილ და მოსიყვარულე ოჯახში. ადგილობრივ გაზეთებში მათზე წერდნენ, როგორც „ზეციურ შვიდეულზე“.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მაკკოგებმა, მეორე შვილი რომ არ უჩნდებოდათ, ექიმს მიმართეს. მკურნალობის შემდეგ წყვილს შეატყობინეს, რომ მათ 7 ემბრიონის განვითარების შანსი ჰქონდათ, წყვილმა გადაწყვიტა შვიდივეს შენარჩუნება.

ბავშვები დაიბადნენ 1,13-დან 1,15 კილოგრამამდე წონით.

საქველმოქმედო ფონდები დიდი ხნის განმავლობაში ეხმარებოდნენ ოჯახს მათ აღზრდაში. მათ აჩუქეს დიდი სახლი, ბავშვები უფასოდ დადიოდნენ ბანაკებში და ა.შ. სკოლის დაამთავრების შემდეგ ყველანი გაემგზავრნენ კოლეჯში სასწავლად. მშობლებს გაუჭირდათ ამასთან შეგუება, რადგან სახლი, რომელშიც მუდამ ქაოსი იყო, უცებ დაცარიელდა.

ეს საინტერესოა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„კინგსტონის“ ყურსასმენი HYPERX CLOUD საკმაოდ მყარად ინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს ბაზარზე. ის გათვლილია, როგორც თამაშების მოყვარულებზე, ასევე უნივერსალურ მომხმარებლებზე



# «კინგსტონის» ინოვაციური ყურსასმენი



**კომპანია „კინგსტონი“ ხარისხიანი მეხსიერების ბარათებისა და SSD-დისკების წარმოებითაა ცნობილი, ამჯერად კი პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება და ახალი სათამაშო კომპლექტის გამოშვება გადაწყვიტა.**

ეს არის კომპიუტერული თამაშების მოყვარულთათვის კარგად ცნობილი ბრენდი „კინგსტონის“ სიახლე – ყურსასმენები (Kingston HyperX Cloud).

ყურსამენის მდიდარ კომპლექტში შედის მიკროფონი, ორი დამაგრძელებელი (ერთ და ორმეტრიანი), სამართავი პულტი, ორი გადამყვანი (ერთი — თვითმფრინავში ყოფნისას გამოსაყენებელი აუდიომოსასმენი, მეორე — 3,5 მმიანი შესაერთებლების კომბინაცია სმარტფონისა და მსგავსი გაჯეტებისთვის). ასევე, კომპლექტში შედის ხავერდით დაფარული დამატებითი ყურსასმენის ბალიშები და შალითა. სხვათა შორის, Hyper Xcloud-ის შალითა განხილვის ცალკე თემაა. კომპანიამ მოსახერხებელი კონსტრუქციის შემუშავებისას მომხმარებლის მაქსიმალურ კომფორტზე იზრუნა და შექმნა ნაჭრის ისეთი ჩასადები, რომელშიც არის განყოფილება სადენებისთვის, გადამყვანების, მიკროფონისა და ბალიშებისთვის.

ყურსასმენის ხავერდისა და ტყავის შემცვლელისგან დამზადებული ბალიშები ფუნქციით ერთმანეთისგან განსხვავდება. ტყავისშემცვლელით დაფარულ ბალიშებს ხმის იზოლაციის თვისებები აქვს. მათში გათვალისწინებულია სპეციალური დამახსოვრების ეფექტი, რომელიც ძალიან კომფორტულია გამოყენებისას. სამწუხაროდ, ტყავის შემცვლელის გამოყენება ზაფხულში ნაკლებად კომფორტულია, რადგან გროვდება ოფლი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დისკომფორტი. ხავერდის ბალიშების შემთხვევაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა, თუმცა ხმის იზოლაციისთვის შედარებით სუსტია, მაგრამ კარგია ცხელი სეზონისთვის ან მაშინ, როდესაც არ გინდა სრულიად იზოლირებული იყო სამყაროსგან.

Kingston HyperX Cloud -ის მიკროფონი ადვილად იხსნება და მყარად მაგრდება მარცხენა მხარეს განთავსებულ აუდიოს ბუდეში. მიკროფონის ბუდის ჩასამაგრებელი რეზინისგანაა დამზადებული.

სათამაშო გარნიტურის შემქმნელებმა მომხმარებლის კომფორტისთვის სხვა ასპექტებზეც იფიქრეს. შიგა კაბელი 1,2 მეტრისაა, რაც არ არის საკმარისი თამაშისთვის იმ კომპიუტერებზე, რომელთაც აუდიოგარნიტურის შესაერთებელი წინ აქვს. ამ შემთხვევაში დამაგრძელებლების დახმარებაა საჭირო, რომელიც HyperX Cloud კომპლექტს მოჰყვება. პირველი, ერთმეტრიანი, ზუსტად ერგება ამ შემთხვევას.

რამდენიმე სიტყვა ჟღერადობის შესახებ:

მიუხედავად იმისა, რომ HyperX Cloud-ი გეიმერული ყურსასმენია, მისი მუსიკალური მონაცემები საკმაოდ ღირსეულად გამოიყურება: გამოირჩევა მაღალი სიხშირით, სუფთა და ზუსტი ხმოვანებით. HyperX Cloud უნივერსალური გარნიტურაა. მელომანები შეძლებენ დატკბნენ ღრმა ბასებით და ხმის მაღალი სიხშრით.

„კინგსტონის“ ყურსასმენი HyperX Cloud საკმაოდ მყარად ინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს ბაზარზე. ის გათვლილია, როგორც თამაშების მოყვარულებზე, ასევე უნივერსალურ მომხმარებლებზე, რომლებსაც უყვართ თამაშები, მუსიკის მოსმენა ან ფილმების ყურება. „კინგსტონის“ ყურსასმენის უპირატესობა მისი მაღალი ხარისხია.



# მენდელეევის ცხრილს კიდევ ოთხი ელემენტი მიემატა

**თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირმა ოთხ ახალ ელემენტს მიანიჭა სახელი და დაამატა მენდელეევის ცხრილში.**

ახლა ცხრილში რიგით 113-ე ელემენტია **ნიჰონიუმი** (Nh), 115-ე — **მოსკოვიუმი** (Mc), 117-ე — **ტენესინი** (Ts) და 118-ე — **ოგანესონი** (Og).

საერთაშორისო კავშირმა ახსნა, თუ რატომ აირჩიეს ეს დასახელებები. მაგალითად, **ნიჰონი** იაპონურად ამომავალი მზის ქვეყანას აღნიშნავს და, რადგან ელემენტი იაპონელებმა აღმოაჩინეს, დაარქვეს **ნიჰონიუმი**.

მოსკოვიუმსა და ტენესინს კი სახელწოდებები მიენიჭა გეოგრაფიული მდებარეობების მიხედვით.

ოგანესონმა სახელწოდება **იური ოგანესიანის** (სომხური წარმოშობის რუსი მეცნიერი ექსპერიმენტული ფიზიკის განხრით) საპატივცემულოდ მიიღო.

ახალი ელემენტები ვერიფიცირებულ იქნა 2016 წლის იანვარში. მათი სინთეზირება მოხდა ხელოვნურად.

ბუნებაში, როგორც წესი, გვხვდება ქიმიური ელემენტები, რომელთა ატომების ნომერი (პროტონების რაოდენობა) არ აღემატება 92-ს. ატომები პროტონების რაოდენობით 93-დან ზევით შესაძლებელია მიიღონ მხოლოდ რეაქტორის საშუალებით.

# ყველაზე საშიში აკვაპარკი

**წარმოგიდგენთ მსოფლიოში ყველაზე საშიშ აკვაპარკს. არაბეთის ზოგიერთი ადგილი ზღაპარში გვაგრძნობინებს თავს. აი, ეს კი ზღაპარს სულაც არ ჰგავს. ის მდებარეობს არაბეთის პირველ ხელოვნურ კუნძულზე. აკვაპარკს ჰქვია Aquaventura, ხოლო იმ არხს, რომელიც ასე საშიშია, — The leap of Faith, ანუ რწმენის ნახტომი.**



აკვაპარკის ცენტრში აღმართულია საუცხოო პირამიდა, რომლის სიმაღლე 27 მეტრია. პირამიდიდან შესაძლებელია წყალქვეშ გამავალი მილით ვერტიკალური დაშვება აუზში, რომელშიც უამრავი ზვიგენია. ხედი ბრწყინვალეა, შეგრძნება — შეუდარებელი.

წარმოიდგინეთ მომენტი, როდესაც რამდენიმე წამით აცნობიერებთ, თუ როგორ გათვალიერებს ზვიგენი გამჭვირვალე მინის მეორე მხრიდან, შიშის ჟრუანტელი ძვალსა და რბილში ატანს. მილი ისე გამჭვირვალეა, რომ ასპროცენტიანი განცდაა, თითქოს შესაძლებელია, რომ შეგახრამუნონ. ადრენალინი პიკშია. აქ უამრავი სხვა თავბრუდამხვევი გასართობიცაა — ულამაზესი აკვარიუმები სხვადასხვა ჯიშის ოკეანის ბინადრებით.







ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ისეი საგავა

**რენეს შეჭმის სურვილი მას იმიტომ გაუჩნდა, რომ ის ლამაზი, ჯანმრთელი და მიმზიდველი იყო. საკუთარი თავი კი უსუსურ, სუსტ არსებად მიაჩნდა და უნდოდა, „მისი ენერგია გადაეყლაპა“. ის ორი დღის განმავლობაში მიირთმევდა მეგობრის სხეულის სხვადასხვა ნაწილს, შემდეგ კი ნარჩენები პარკში ჩაყარა და თავიდან მოიშორა.**

# ყველაზე საშიში მკვლელები

**მკვლელებს, მანიაკებსა, კანიბალებს შორის არიან სუსტი სქესის წარმომადგენლებიც, რომლებმაც მამაკაცებზე არანაკლები სისასტიკე გამოამჟღავნეს.**

## მანიაკი მკვლელები

**ფსიქოლოგების მტკიცებით, მანიაკები არიან ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანები, რომლებმაც ეს დარღვევები მიიღეს ბავშვობაში ფსიქიკური ტრავმების ან თანდაყოლილი დაავადებების წყალობით.**

1994 წელს სიკვდილით დასაჯეს **ჯონ უეინ გეისი** — „მკვლელი კლოუნი“. მანიაკი მუშაობდა საბავშვო დღესასწაულებზე კლოუნად, რის გამოც ეს მეტსახელი მიიღო. გეისმა გააუპატიურა და მოკლა 33 ბიჭი, მათგან 27 პოლიციამ ილინოისში, მანიაკის სახლი სარდაფში იპოვა, ხოლო დანარჩენები, როგორც თვითონ ამბობს, მკვლელმა მდინარეში გადაყარა.

**სერგეი ტკაჩი** ასი მოზარდი გოგონას მკვლელია, მაგრამ სამართალდამცავმა ორგანოებმა მისთვის მხოლოდ 27 გოგონას მკვლელობისა და გაუპატიურების დამტკიცება მოახერხეს. ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ტკაჩი თვითონ მუშაობდა სამართალდამცავ ორგანოებში.

**აჰმად სურაჯი** ინდონეზიელი მანიაკი იყო, რომელმაც 42 ქალი მოკლა. ის მსხვერპლს მიწაზე აგდებდა, შემდეგ ახრჩობდა და სვამდა მსხვერპლის პირიდან გადმოსულ ნერწყვს. ის 2008 წელს დახვრიტეს.

**ანდრეი ჩიკატილო** აღიარებულია პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე სასტიკ მანიაკად. თორმეტი წლის განმავლობაში მან 52 ადამიანი იმსხვერპლა. ამ მანიაკს რამდენიმე მეტსახელი ჰქონდა: „წითელი მფატრავი“, „როსტოველი მფატრავი“, „როსტოველი ყასაბი“. მანიაკი 1994 წელს დახვრიტეს.

2004 წელს კამერაში თავი ჩამოიხრჩო მანიაკმა მეტსახელად **„დოქტორი სიკვდილი“**. მის კისერზეა 250 მკვლელობა. თავის მსხვერპლს ის კლავდა სასიკვდილო ინიექციით. მკვლელის სახელია **ჰაროლდ ფრედერიკ „ფრედ“ შიპმანი.**


სერგეი ტკაჩი


აჰმად სურაჯი


ანდრეი ჩიკატილო


„ფრედ“ შიპმანი


ჯონ უეინ გეისი

## ყველაზე საშიში მკვლელი ქალები


ბელ სორენსონ ჰანესი


გრაფინია ელიზაბეტ ბატორი

**მკვლელ მანიაკებზე საუბრისას, მანიაკის როლი ჩვენთვის ნაკლებად ასოცირდება ქალთან. მაგრამ კრიმინალისტიკისთვის ცნობილია სისხლიანი მკვლელი ქალები, რომლებიც სისასტიკით არ ჩამოუვარდებიან კაცებს.**

XIX საუკუნის ყველაზე სასტიკი ქალი მკვლელი არის „შავი ქვრივი“. მისი სახელია **ბელ სორენსონ ჰანესი.** მან იმ ქვეყნად გაისტუმრა ორმოცამდე ადამიანი. მოკლულების ნახევარზე მეტი არიან „ქვრივის“ ახლო მეგობრები ან ნათესავები. ქალი არ მუშაობდა და არსებობდა დაზღვევების ხარჯზე, რომლებიც მას ერგო ნათესავების სიკვდილის შემდეგ. მან მოკლა ქმარი, ბავშვები და რამდენიმე საქმრო. მისი სიკვდილის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს. უთავო ქალის სხეული, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით ჰგავდა ბელ სორნესონ ჰანესს, არ იძლეოდა ასპროცენტიან გარანტიას, რომ ეს ნამდვილად „შავი ქვრივი“ იყო.

ამერიკელი მედდა **ჯეინ ტოპანი,** იგივე **ონორა კელი** თავს ესხმოდა პაციენტებს. ცნობილია, რომ მამამისი იყო შეშლილი, ამიტომაც ჯეინი იზრდებოდა ბავშვთა სახლში. გოგონა იშვილეს, მაგრამ მისი მშობლები ღარიბები აღმოჩნდნენ, ამიტომაც სიძულვილი მას კიდევ უფრო გაუღრმავდა გარშემო მყოფების მიმართ. თავის პაციენტებს ტოპანი თავდაპირველად


ჯეინ ტოპანი

კლავდა ნარკოტიკების შეყვანით ორგანიზმში და აკვირდებოდა მათ მდგომარეობას სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. მოგვიანებით თავისი ექსპერიმენტები ქალმა გადააქცია მკვლელობებად. 1901 წელს, დაკავების შემდეგ, პოლიციამ მას 11 მკვლელობა დაუმტკიცა, მაგრამ მედდამ კიდევ 31 მკვლელობა აღიარა. ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ჯეინი შეშლილი იყო. იგი 1938 წელს ფსიქიატრიულ კლინიკაში გარდაიცვალა.

„სისხლიანი გრაფინია“ ეწოდა **გრაფინია ელიზაბეტ ბატორის.** მის მიერ მოკლული ადამიანების ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი, მაგრამ, სავარაუდოდ, 650-მდე უნდა იყოს. თუკი ლეგენდებს დავუჯერებთ, გრაფინია ახალგაზრდა გოგონების სისხლის აბაზანებს იღებდა. გრაფინია თვლიდა, რომ ამგვარად შეინარჩუნებდა ახალგაზრდობას. ბატორი იტყუებდა გოგონებს თავის ციხესიმაგრეში, ხოლო შემდეგ კლავდა. ამაში მას ეხმარებოდა ქმარი. ხმაურიანი სასამართლოსთვის თავის ასაცილებლად მისმა წარჩინებულმა ნათესავებმა ელიზაბეტი მისსავე მიწისქვეშეთში გამოკეტეს, სადაც სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

## ყველაზე საშიში მკვლელი კაცობრიობის ისტორიაში

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშიშ მკვლელად აღიარებულია ინდოელი **ტაგ ბეჰრამი**, რომელიც ცხოვრობდა 1765-1840 წლებში. ის იყო ტუგის სექტის წევრი და მოკლა 931 ადამიანი. მისი სექტის წევრებმა, სავარაუდოდ, მოკლეს არანაკლებ 80 000 ადამიანი. ზოგჯერ მკვლელობები ხდებოდა მასობრივად. საშიში სერიული მკვლელი 1840 წელს ჩამოახრჩვეს.

## ყველაზე საშიში კანიბალები

მანიაკებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც კლავენ მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ შეჭამონ მსხვერპლი. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კანიბალი მკვლელი არის **ნიკოლაი ჯუმაგალიევი**, რომელმაც შეჭამა 50 გოგონა. ეს კანიბალი 1980 წელს ცხოვრობდა ალმა-ათაში, სადაც სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა. მოკლული გოგონების ხორცისგან ის სხვადასხვა კერძს ამზადებდა და მეგობრებსაც უმასპინძლდებოდა.

**ისეი საგავა** იაპონელი კაციჭამიაა. ის სწავლობდა სორბონაში, ცნობილია, რომ ისეი საუკეთესო სტუდენტი იყო, სწავლობდა ინგლისური ლიტერატურის განხრით. აქ აიხდინა ბავშვობის ოცნება — მოკლა და შეჭამა თავისი თანაკურსელი რენე ჰარტეველტი. მან მეგობარი სახლში მიიპატიჟა ლიტერატურაზე სასაუბროდ და მოკლა ცეცხლსასროლი იარაღით, შემდეგ კი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. როგორც თვითონ განმარტა, რენეს შეჭმის სურვილი მას იმიტომ გაუჩნდა, რომ ის ლამაზი, ჯანმრთელი და მიმზიდველი იყო. საკუთარი თავი კი უსუსურ, სუსტ არსებად მიაჩნდა და უნდოდა, „მისი ენერგია გადაეყლაპა“. ის ორი დღის განმავლობაში მიირთმევდა მეგობრის სხეულის სხვადასხვა ნაწილს, შემდეგ კი ნარჩენები პარკში ჩაყარა და თავიდან მოიშორა. საგავა მეხუთე დღეს დააკავა საფრანგეთის პოლიციამ. როცა მამამისმა მისი შვილის საქციელი შეიტყო, შოკისგან დამბლა დაემართა. სასამართლომ საგავა შეურაცხადად სცნო და გადაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. იქ კანიბალი წერდა მემუარებს, რომლებმაც პოპულარობა მოუტანა. იაპონიაში დეპორტაციის შემდეგ ის უდანაშაულოდ აღიარეს და 15 თვის შემდეგ გაათავისუფლეს. ეჭვობენ, რომ საგავას გათავისუფლება მისი გავლენიანი მამის დამსახურებაა.


ნიკოლაი ჯუმონგალიევი


ტაგ ბეჰრამი

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1944 წლის 3 ივლისს ოპერაცია „ბაგრატიონის“ განხორციელების შედეგად საბჭოთა მეომრებმა ფაშისტი დამპყრობლებისგან გაათავისუფლეს ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი.**

ეს დღე ამჟამად აღინიშნება, როგორც რესპუბლიკა ბელარუსის დამოუკიდებლობის დღე.



**რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.**

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



*** 80 წლის წინათ, 1936 წლის 29 ივნისს, ქუთაისში დაიბადა კინორეჟისორი და სცენარისტი, დრამატურგი, მხატვარი და სკულპტორი რევაზ გაბრიაძე.**

1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1967 წელს კი — მოსკოვში უმაღლესი სარეჟისორო და სასცენო კურსები.

ავტორია 35-ზე მეტი ფილმის, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: „არაჩვეულებრივი გამოფენა“; „სერენადა“; „პეპელა“; „ფეოლა“; „არ დაიდარდო“; „ქვევრი“; „შერეკილები“; „მიმინო“; „პასპორტი“; „ქინ-ძა-ძა!“ და სხვ.

როგორც მხატვარი, რევაზ გაბრიაძე მრავალ გამოფენაში მონაწილეობდა — გერმანიაში (მიუნხენი); საფრანგეთში (რენე, დიჟონი); შვეიცარიაში (ლოზანა). 2012 წელს მოსკოვის პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების ნაციონალურ მუზეუმში გაიხსნა რევაზ გაბრიაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, სადაც მხატვრის 182 ფერწერული, გრაფიკული, კერამიკული, სკულპტურული და თოჯინური ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

რევაზ გაბრიაძის ნამუშევრები დაცულია ევროპისა და აშშ-ის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. არის 50-ზე მეტი წიგნის ილუსტრაციების ავტორი.

1981 წელს თბილისში დააარსა მარიონეტების თეატრი და პირველივე სპექტაკლით — „ალფრედი და ვიოლეტა“ დაიპყრო მაყურებლის გული.

რეზო გაბრიაძე თავისი სპექტაკლების პიესის ავტორი, რეჟისორი, მხატვარი და მუსიკალური გამფორმებელია. დიდი პოპულარობა მოიხვეჭა რევაზ გაბრიაძის სპექტაკლებმა: „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“; „ტრაპიზონის იმპერატორის ქალიშვილი“; „სტალინგრადი“; „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“.

1990-იან წლებში რევაზ გაბრიაძე მუშაობდა შვეიცარიასა და საფრანგეთში, სადაც ორი დრამატული სპექტაკლი დადგა: „რა სევდაა ხეივანი დასრულდა“ (ლოზანაში) და „ქუთაისი“ (პარიზში).

2004 წელს დაწერა და ბროდვეიზე დადგა პიესა „აკრძალული შობა, ანუ ექიმი და ავადმყოფი“.



*** 1909 წლის 1 ივლისს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში (სხვა მონაცემით — ზესტაფონში) დაიბადა თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი, სსრკ-ის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე.**

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1926 წელს მუშაობა დაიწყო რუსთაველის სახელმწიფო თეატრში, 1928 წლიდან 1955 წლამდე იყო კოტე მარჯანიშვილის მიერ ქუთაისში დაარსებული თეატრის მსახიობი, 1956 წელს გადავიდა რუსთაველის თეატრში.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე შექმნილი როლებიდან აღსანიშნავია: ჯიბილო („კოლმეურნის ქორწინება“); გიგაური („მისი ვარსკვლავი“); გიორგი („რაიკომის მდივანი“); ბაგრატიონი („ბაგრატიონი“); „ბესიკ გაბაშვილი“ („მეფე ერეკლე“) და სხვ.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში შესრულებული აქვს როლები: ქადაგი („ბახტრიონი“); ფიროსმანი („ფიროსმანი“); ოიდიპოს მეფე („ოიდიპოს მეფე“); შუისკი („ბორის გოდუნოვი“); დევი („ჭინჭრაქა“) და სხვ.

მონაწილეობდა ფილმებში: „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (თორღვაი); გიორგი სააკაძე (შადიმან ბარათაშვილი); „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ (ფოსტალიონი გიორგი). ხოლო 1965 წელს ფილმში „ჯარისკაცის მამა“ გიორგი მახარაშვილის როლის შესრულებით საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ კინოს.

სერგო ზაქარიაძე გარდაიცვალა 1971 წლის 12 აპრილს.



*** 1902 წლის 1 ივლისს მულჰაუზენში (იმხანად გერმანიის იმპერია, ახლა საფრანგეთის შემადგენლობაშია) დაიბადა ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი, ჰოლივუდის ისტორიაში ერთ-ერთი წარმატებული კინორეჟისორი, სამი „ოსკარისა“ (წარდგენილი იყო 12-ჯერ, ხოლო მის ფილმებში ნათამაშები მსახიობები — 36-ჯერ. მათგან 14-მა გაიმარჯვა საუკეთესო მსახიობის ნომინაციაში) და კანის ფესტივალის „ოქროს რტოს“ ლაურეატი უილიამ უაილერი.**

მის მიერ გადაღებული ფილმებიდან აღსანიშნავია: „რომაული არდადეგები“; „სასაცილო გოგონა“; „როგორ მოვიპაროთ მილიონი“; „მისის მინივერი“; „ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები“; „ბენ გური“; „ჭექა-ქუხილის უღელტეხილი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1981 წლის 27 ივლისს.



*** 1934 წლის 4 ივლისს თბილისში დაიბადა მწერალი გურამ რჩეულიშვილი.**

1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. პირველი მოთხრობები, რომლებმაც წარმატება მოუტანა, ჟურნალ „ცისკარში“ 1957 წელს გამოაქვეყნა. სამწერლო ასპარეზზე სულ სამი წელი იღვაწა. მწერლის სიცოცხლეში მხოლოდ მისი 7 მოთხრობა გამოქვეყნდა: „შემოდგომა ბაბუა კოტესი“; „სათაგური“; „სიყვარული მარტის თვეში“; „ნელი ტანგო“; „თვირთვილა“; „უსახელო უფლისციხელი“ და „სიკვდილი მთაში“. მისი ნაწარმოებები ნათარგმნია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ლიტვურ, ჩეხურ და რუსულ ენებზე.

გურამ რჩეულიშვილი 1960 წლის 23 აგვისტოს, 26 წლისა, ტრაგიკულად დაიღუპა გაგრაში, როცა მღელვარე ზღვაში გადაეშვა უცნობი რუსი ქალიშვილის გადასარჩენად.

*** 1894 წლის 29 ივნისს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოღმა არგვეთში დაიბადა პოეტი, მთარგმნელი და ესეისტი პაოლო იაშვილი.**

მისი პირველი ლექსი „ღმერთო, ღმერთო“ 1911 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „კოლხეთში“. ავტორია მოთხრობებისა: „ფერადი ბუშტები“, „სამი ტკივილი“. აღსანიშნავია მისი ლექსები: „პირამიდებში“, „ლანდი სივრცეში“, „ამაღამ, მგონი, იქნება ქარი“, „ასო ლასი როიალზე“, „როგორც აფრის ტკაცუნი“, „ოფორტი“ და სხვ.



გარდაიცვალა (თავი მოიკლა) 1937 წლის 22 ივლისს.

*** 1900 წლის 29 ივნისს ლიონში (საფრანგეთი) დაიბადა ცნობილი ფრანგი მწერალი, პოეტი, ესეისტი და პროფესიონალი მფრინავი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი (ანტუან მარი ჟან-ბატისტ როჟე დე სენტ-ეგზიუპერი).**



მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „პილოტი“; „ღამის ფრენა“; „წერილი ტყვეს“; „ციტადელი“; „პატარა უფლისწული“ და სხვ.

1944 წლის 31 ივლისს სენტ-ეგზიუპერი სადაზვერვო ფრენის შესასრულებლად კუნძულ კორსიკაზე გაფრინდა, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა. წლების შემდეგ მისი თვითმფრინავის ნამსხვრევები ხმელთაშუა ზღვაში იპოვეს. ეგზიუპერის თვითმფრინავი, სავარაუდოდ, გერმანელმა პილოტმა ჩამოაგდო.



*** 1894 წლის 30 ივნისს ლონდონში გაიხსნა ცნობილი ხიდი ტაუერი (ტაუერ ბრიჯი) დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის სავიზიტო ბარათი.**

ხიდის მშენებლობა 1886 წლის 21 ივნისს დაიწყო და 8 წელიწადს გრძელდებოდა. მასზე დაიხარჯა მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი.

1894 წლის 30 ივნისს ხიდი საზეიმოდ გახსნეს უელსის პრინცმა ედუარდმა და მისმა მეუღლემ, პრინცესა ალექსანდრამ.




*** 1751 წლის 1 ივლისს გამოიცა მსოფლიოში პირველი ენციკლოპედიის პირველი ტომი.**

უნივერსალურ წიგნში ცოდნის სისტემატიზების პირველი მცდელობა 4 ათასი წლის წინათ იყო ეგვიპტეში, მაგრამ პირველი ნამდვილი ენციკლოპედია გამოიცა საფრანგეთში.

იდეა ეკუთვნის გამომცემელ **ლუი ბრეტონს**, რომელმაც დახმარების თხოვნით მიმართა სახელგანთქმულ ფრანგ ფილოსოფოსსა და განმანათლებელს — **დენი დიდროს.**

დიდრომ 25 წელი მიუძღვნა გამოცემას ენციკლოპედიისა, რომელსაც ეწოდებოდა „ენციკლოპედია, ანუ მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის განმარტებითი ლექსიკონი“.

*** 1776 წლის 4 ივლისს გამოქვეყნდა აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, მას შემდეგ ამ დღეს ამერიკელები დამოუკიდებლობას ზეიმობენ.**

დეკლარაცია, რომლის ტექსტიც შეადგინა **თომას ჯეფერსონმა**, შესწორებები კი შეიტანეს **ბენჯამინ ფრანკლინმა** და **ჯონ ადამსმა**, არის პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც კოლონიები მოხსენიებულია, როგორც „ამერიკის შეერთებული შტატები“.

**4 ივლისს ახალმთვარეობაა — რთული პერიოდი მგრძნობიარე ადამიანებისთვის. უბრალო გაუგებრობაც კი შეიძლება მწვავე კონფლიქტში გადაიზარდოს. სასიკეთო პერიოდია ვერძის, კირჩხიბისა და ლომის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**29 ივნ. - 5 ივლ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი — 20 აპრილი

შეუპოვარი მოქმედება და მუხლჩაუხრელი შრომა დაგიფასდებათ და წარმატებას მიაღწევთ როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე სასიყვარულო სფეროში.

გელით საინტერესო შეხვედრები და ურთიერთობები ადამიანებთან, რომლებიც თქვენს მომავალ ცხოვრებაზე დიდ გავლენას იქონიებენ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ ჯიუტად არ შეეცდებით მისთვის თქვენი თვალსაზრისის თავს მოხვევას.

მაღალია კუჭ-ნაწლავთა სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა. რაციონიდან ამოიღეთ ცხარე და მლაშე საკვები.

**დადებითი დღე: 30 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივლისი.**

## კურო — 21 აპრილი — 21 მაისი

რთული პერიოდია. როდესაც იფიქრებთ, რომ წარმატება უკვე ძალიან ახლოსაა, წინ ახალი ბარიერი გადაგეღობებათ, რომლის დასაძლევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ამის გამო შესაძლოა გაღიზიანდეთ, მაგრამ იმედგაცრუება არ უნდა დაგეუფლოთ, რადგან ცოტა ხანში ყველაფერი თავისთავად მოგვარდება.

დაქორწინებული კუროები ოჯახური ურთიერთობების გამტკიცებას უნდა შეეცადონ, ამისთვის კი კარგი იქნება, თუ მეუღლესთან ერთად იზრუნებენ საყოფაცხოვრებო საკითხების ან შვილების პრობლემების მოგვარებაზე.

მაღალია ზედა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 2 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 1 ივლისი.**

## ტყუპი — 22 მაისი—21 ივნისი

თუ მოდუნდებით და საქმეს თვითდინებაზე მიუშვებთ, დაკარგავთ პოზიციებს, რომლებიც დიდი ძალისხმევის შედეგად მოიპოვეთ. სამსახურში ენას კბილი დააჭირეთ, რადგან შესაძლოა თანამშრომლებთან კონფლიქტი თავიდან ვერ აიცილოთ.

დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, შესაძლოა, დრო აღარ დაგრჩეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის, რაც მის განაწყენებას გამოიწვევს. შეეცადეთ, დრო სწორად გაანაწილოთ სამსახურსა და ოჯახს შორის.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი დაემუქრება, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერ ორგანიზმს, ყველაზე ჯანმრთელსა და ამტანსაც კი, დასვენება სჭირდება.

**დადებითი დღე: 2 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 5 ივლისი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი—22 ივლისი

სასიკეთო პერიოდია. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევთ პროფესიულ საქმიანობაში. თქვენი მუხლჩაუხრელი შრომა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და დაგაწინაურებენ ან პრემიით დაგაჯილდოვებენ.

დროა, მარტოხელა კირჩხიბებმა გადადგან ნაბიჯი იმ ადამიანთან დასაახლოებლად, რომლის მიმართაც სიმპათიით არიან გამსჭვალულნი.

დაქორწინებულმა კირჩხიბებმა კი მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

გაუფრთხილდით ყელს, დიდია ანგინით დაავადების ალბათობა.

**დადებითი დღე: 2 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 4 ივლისი.**

## ლომი — 23 ივლისი —22 აგვისტო

პრაქტიკულად ყველა საქმეს წარმატებით დაასრულებთ, რომლებიც დაგეგმილი გქონდათ. ფორტუნა თქვენ მხარეს იქნება, მაგრამ თქვენც აქტიურად და თავდაჯერებით უნდა იმოქმედოთ, ოღონდ — აუჩქარებლად.

შესაძლოა, მოიძიოთ შემოსავლის დამატებითი წყარო, შედეგად მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას.

სიყვარულმა, რომელიც მოულოდნელად იფეთქებს, შეიძლება თავი დააკარგინოს მარტოხელა ლომებს, მაგრამ ბედნიერების მწვერვალზე აიყვანს.

დიდია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 30 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 4 ივლისი.**

## ქალწული — 23 აგვ. —23 სექტემბ.

კრიზისული პერიოდია. დასახული მიზნებისკენ სავალ გზაზე ბევრი წინაღობა შეგხვდებათ. ახლა არ შეიძლება მოუთმენლობა და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება. დახმარებისთვის მიმართეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ენდობით და რომლებსაც გულწრფელად უხარიათ თქვენი წარმატება.

შეეცადეთ, თქვენი ცუდი განწყობილება კოლეგებსა და ახლობლებზე არ გადაიტანოთ.

დაქორწინებული ქალწულები სათანადოდ დააფასებენ ოჯახურ სიმყუდროვეს. მათი მეუღლეები ყველაფერს გააკეთებენ ურთიერთობაში ახალი შტრიხების შესატანად.

ბუნების წიაღში დიდხანს ყოფნა და ფიზიკური დატვირთვა გუნება-განწყობას გამოგიკეთებთ.

**დადებითი დღე: 29 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 5 ივლისი.**

## სასწორი — 24 სექტ. — 23 ოქტ.

ამ პერიოდში წარმატების საწინდარი იქნება კარგად მოფიქრებული მოქმედებები. გულმოდგინედ გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია, ერთმანეთს შეადარეთ ფაქტები და განიხილეთ მოვლენების შემდგომი განვითარების სცენარი.

მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანებს, დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში. ახლა განსაკუთრებული ყურადღება ბავშვებს დასჭირდებათ.

მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე, წყალსაცავების ნაპირზე — ამით მკვეთრად გაიუმჯობესებთ განწყობას და შრომისუნარიანობასაც აიმაღლებთ.

**დადებითი დღე: 2 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 5 ივლისი.**

## მორიელი — 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

ეს პერიოდი დატვირთული იქნება მოვლენებით, მათი უმრავლესობა სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ და გაგახარებთ. ახალ პროექტზე მოლაპარაკებები შესანიშნავად წარიმართება და მოიპოვებთ იმ ადამიანების მხარდაჭერას, რომლებიც ფინანსურად დაგეხმარებიან.

მოერიდეთ კამათს გარშემო მყოფებთან.

დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო დრო თითქმის აღარ დაგრჩებათ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის, რის გამოც შეიძლება გაგინაწყენდეთ. ამიტომ დრო სწორად უნდა გაანაწილოთ სამუშაოსა და ოჯახს შორის.

იზრუნეთ ჯანმრთელობაზე, დაისვენეთ და მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები — ხილი და ბოსტნეული.

**დადებითი დღე: 3 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 29 ივნისი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. — 21 დეკ.

ნუ დაიწყებთ ისეთ საქმეს, რომელზეც ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვთ.

სჯობს, დაწყებული საქმეები აუჩქარებლად დაასრულოთ. წარმატებას მიაღწევენ ის მშვილდოსნები, რომლებიც შემოქმედებით სფეროში მოღვაწეობენ.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობას, რადგან შეიძლება თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

მარტოხელა მშვილდოსნები საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობენ, მაგრამ ურთიერთობა რამდენიმე შეხვედრაზე შორს არ წავა.

გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების გამოყენებისას — დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 2 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 4 ივლისი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. — 20 იან.

პასუხისმგებლობით მოეკიდეთ დავალებებსა და თხოვნებს იმ ადამიანებისა, რომლებთანაც მუშაობთ და რომლებზეც, ასე თუ ისე, დამოკიდებულია თქვენი კარიერა. ცვლილებებს, რომლებიც თქვენს ცხოვრებაში დაიწყება, ნუ შეეწინააღმდეგებით, რადგან, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ დადებით შედეგს მოგიტანთ.

თქვენი ოჯახის წევრებისთვის საუკეთესო პერიოდი მაშინ არის, როდესაც მათ გვერდით ხართ და მათზე ზრუნავთ. გაითვალისწინეთ, რომ ეჭვიანობამ შეიძლება ურთიერთობა გაგიფუჭოთ საყვარელ ადამიანთან.

ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად კარგი იქნება, თუ შეასრულებთ სავარჯიშოებს ან სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით.

**დადებითი დღე: 3 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 29 ივნისი.**

## მერწყული — 21 იან. — 19 თებ.

შეეცადეთ, განმარტოვდეთ და თავიდან მოიშოროთ ფიქრები, რომლებიც გაღელვებთ და დისკომფორტს გიქმნით. აკეთეთ მხოლოდ ის საქმე, რომელიც მოგწონთ, რთული საკითხების მოგვარება კი სამომავლოდ გადადეთ.

დაქორწინებული მერწყულების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან ჰარმონიულად წარიმართება, მაგრამ გახსოვდეთ: ოჯახი მაშინ არის მტკიცე, როდესაც მეუღლეები კომპრომისისთვის არიან მზად.

თუ რომელიმე დაავადება გაწუხებთ, თვითდინებაზე ნუ მიუშვებთ, მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 30 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივლისი.**

## თევზები — 20 თებ. — 20 მარტი

მეტი ინიციატივა გამოიჩინეთ ყველაფერში, რაც დაკავშირებულია პროფესიულ მოღვაწეობასთან, მაგრამ, თუ დაინახავთ, რომ თქვენ წინ კედელი აღიმართა, მის განგრევას თავით ნუ შეეცდებით. ნუ დაიწყებთ კოლეგებთან კამათს, რადგან შესაძლოა, კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდეთ.

დაქორწინებული თევზების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან სიმტკიცეზე შემოწმებას გაივლის. ერთმა, თქვენი აზრით, უწყინარმა საქციელმა შეიძლება დიდი უთანხმოება გამოიწვიოს.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 2 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 29 ივნისი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# რეზო გაბრიაძე — 80

# «იგი გენიალური იმპროვიზატორია»

## შტრიხები რეზო გაბრიაძის პორტრეტისთვის

**გენიალური, მოულოდნელი, განუმეორებელი. გადაშალეთ მისი კალმიდან გამოსული ნებისმიერი წიგნი ნებისმიერ გვერდზე, ახლავე, სანამ ამ წერილის წაკითხვას განაგრძობთ, და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ.**


ეს ფოტო გუშინწინაა გადაღებული

ხელთ არ გაქვთ არც ერთი?

მაშინ მენდეთ, მე გადავშლი წიგნს, მაინცდამაინც ახლა რომ მიდევს მაგიდაზე — „კილეშერები“ („შერეკილები“). გვერდი 35.

ერთაოზი მარგალიტა ამყოლაძეს მკერდზე დაკიდებულ მედალიონზე („რომელშიც ტრიფონიას ფოტო იყო ჩადებული“) დაიფიცებს, რომ სიტყვას ვერ დააცდენინებენ ხუტა ოდიშარიას „მკვლელობაზე“.

**„— შემომფიცე!**

**— ვფიცავ! ამ მკვდრის წონა ოქრო რომ მომცენ, სიტყვას ვერ დამაცდენინებენ! — ტუჩებით ემთხვია მედალიონს! მედალიონი გაექცა ერთაოზს და სიღრმეებში დაემალა! ერთაოზმა მის ძებნაში გორები გადაიარ-გადმოიარა! ნახა და ისევ გამოეკიდა!**

**საათმა სამჯერ ჩამოჰკრა.**

**მარგალიტამ ძლივს აიგლიჯა ერთაოზი! მედალიონი დაკეტა და ზურგს უკან გადაიგდო, დამალა“.**

ახლა უეჭველად დამიჯერებთ.

ამიტომ წერენ, რომ გენიალური იმპროვიზატორიაო.

„გაბრიაძე ყოველთვის იყო ემიგრანტი. ჟურნალისტიკიდან წავიდა კინოში, კინოდან — ლიტერატურაში, იქიდან — თეატრში. მუდმივად და ყველა ადგილიდან გარბოდა ფერწერასა და ქანდაკებაში, მოსკოვიდან — თბილისში, თბილისიდან — ლენინგრადში... მას წარმართავდა არა მხოლოდ თავისუფლების იდეა, რომელიც გაფეტიშებული იყო სამოციანელების მიერ, არამედ უნიკალური, ლამის „რენესანსული“, მრავალსახიერი ნიჭიერება“.

ამასაც წერენ და ესეც ჭეშმარიტებაა.

ნიჭი ეძებდა სივრცეს, რადგან ვერ ეტეოდა ვერც მეგაპოლისების მხარგაშლილობაში, ვერც რომელიმე ერთი ქვეყნის საზღვრებში; ფართოვდებოდა, იპყრობდა უსასრულობას ადამიანების ბუნებისას, რადგან აღმოცენებული იყო მსოფლიო რუკაზე ერთი შეუმჩნეველი წერტილიდან — ქუთაისიდან და ფრთებშესხმული — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მადლით.

შემოქმედის მრავალსახიერების შესახებ **გია ყანჩელს** უთქვამს: „ვიცოდი, რომ იგი მრავალმხრივი ნიჭიერებით იყო დაჯილდოვებული და ყოველთვის მეშინოდა, რომ თავად არ დაეწყო მუსიკის წერა, რადგან მაშინ მე ველარ მივიღებდი მონაწილეობას მისი უსასრულო ფანტაზიების რეალიზაციაში“.

გაბრიაძის სტილში — თბილი იუმორით გაკეთილშობილებული სიტყვა მსოფლიოში აღიარებული მაესტროსი.

კეთილშობილი შერეკილები.

მწერალი **ანდრეი ბიტოვი** იხსენებდა, რომ პირველად რეზო გაბრიაძე იხილა „ერთ ილლიაში ამოდებული „დონ კიხოტით“, მეორეში — „ვან გოგის წერილებით“, რომელთაც არასოდეს განშორებია, მან იცოდა მათი სიკარგე“... იმდროინდელმა კრიტიკოსებმა ზუსტად შენიშნეს, რომ დონ კიხოტი და ვან გოგი „გაბრიაძესთან „შერეკილობის“ ნიშნით არიან გაერთიანებულნი, რომ თავადი ფანტიაშვილისა და ხეჩოს, როგორც ლიტერატურული პერსონაჟების, შედარება დონ კიხოტთან სავსებით შესაძლებელია *(ე. კალმანოვსკი)*“. „თავადი *(ფანტიაშვილი)* ცხარობს, განრისხდება, ბობოქრობს, თავდავიწყებით შეუყვარდება და **ამ ყველაფერში გამოსჭვივის რომანტიკული დონკიხოტობის სულისკვეთება, რომელიც ბამორიცხავს ხელშესახები მონაპოვრის შესაძლებლობას“.** ხოლო „გაბრიაძე, რომელიც, იმდენად დონ კიხოტად კი არა, უფრო მის ერთგულ მეაბჯრედ წარმოგვიდგება, **თავის ხელოვნებაში ამკვიდრებს რეალურად მიუღწეველ იდეალს“.**

ამითაა იგი უნიკალური.

ფანტაზიის მიღმისეული, სადღაც ღრუბლებს ზემოდან მოსული, უფლის მადლცხებული ნიჭიერებით იბადება **„რეალისტური ფანტასმაგორიები“** (დიახ, ასეთი!) ბურთულიანი კალმისტრის (დღეს „პასტას“ რომ ეძახიან) „ოსტატზე“, რომლის კუსტარული მელნის იისფერობა, როგორც ლაკმუსის ქაღალდი, გაამჟღავნებს მაშინდელი სისტემის ბიუროკრატულ ალოგიკურობას და ქუთაისის მწვანე-იისფერ ქუჩებში გადმოაბრძანებს შაგალის ტილოების მფრინავ პერსონაჟებს;

„ბუდიონოვკაზე“ — მარშალ ბუდიონის კავალერისტების წვეტიან-ყურებიან ქუდზე — „შეუსწავლელსა და შეუცნობელზე“, რომლის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას ეწირება პატარა ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილის თავისუფლება;

ან ამბავი 70-იან წლებში „აეროფლოტის“ ფლაგმანის, რეაქტიული „ტუ-104“-ის სალონში შემთხვევის ნებით მოხვედრილი ადამიანების ურთიერთობაზე, რომელიც მთავრდება ლევ ტოლსტოის წვერივით აბურდული ღრუბლების გავლით ვნუკოვოს აეროპორტში თბილისი-მოსკოვის ერთი ჩვეულებრივი რეისის დაშვებით.

აქაც, როგორც ყველგან და ყოველთვის, პირველწყაროს უბრუნდება — დედამიწას — გაბრიაძის შემოქმედება. მის ამ უპირველეს თავისებურებას განსაკუთრებით აღნიშნავდა შესანიშნავი თეატრალური კრიტიკოსი **ევგენი კალმანოვსკი** ჯერ კიდევ 35 წლის წინათ: *(გაბრიაძის შემოქმედება)* **„განსაცვიფრებელი სამყაროა, სადაც არაფერი არ არის დასრულებული, დადგენილი, ჩამოსხმული, გამყარებული. ყველაფერი მიედინება, ლივლივებს, გადადის და კვლავ პირველსაწყისს უბრუნდება“.**

**მარინა დმიტრიევსკაიას,** მრავალმხრივ საინტერესო წიგნის „რეზო გაბრიაძის თეატრის“ *(2005 წ., სანკტ-პეტერბურგი)* ავტორს, ზუსტად შეუნიშნავს, რომ ძველის ახალში ეს გადასვლა-გადადინება, ახლისა — უახლესში და ასე — თანმიმდევრობით, ბუნების თვითგანახლების პროცესის ფარდია. რაც უკვდავებას ნიშნავს, დავუმატოთ ჩვენ.

შემოქმედების ძალით გახანგრძლივებულ სიცოცხლეს, ზოგჯერ მივიწყებისა და ჩაფერფლვისთვის განწირულის. თავდაპირველი ბრწყინვალების აღდგენასაც ნიშნავს.

ზოგჯერ.

და ამ დასკვნას ერთი დამახასიათებელი მაგალითით გაშიფრავს.


ასე იწყება ტრიუმფი

„იმ დროს“ პეტერბურგის თეატრალურ მუზეუმში უპოვიათ იმპერატორის კარის გაცრეცილი გარდერობის ნარჩენები, რომლებსაც ის ყავლიც გასვლოდა, როცა ამ კოსტუმებს იმპერიის პერიოდის ამსახველი სპექტაკლებისთვის იყენებდნენ. დმიტრიევსკაიას, ბატონ რეზოს თხოვნით, შეუგროვებია უტილიზაციისთვის განწირული ეს ნარჩენები და გაბრიაძეც სასწრაფოდ ჩაფრენილა ჩრდილოეთის დედაქალაქში (თბილისიდან ჩამოსვლა მაშინ იოლი იყოო) და თავად შეურჩევია ნაკუწები მარიონეტების სპექტაკლისთვის, რომელშიც მონაწილეობდნენ იმპერატორი არჩილი, პრინცესა ბლანშეფლერ-ეთერი და სხვა დიდებულები.

მათ, შესაბამისად, ისტორიული არტეფაქტების ნარჩენებით, რომლებიც „...შემთხვევით ისტორიის ქარის ტალღაზე ვარსკვლავებით გეზმიცემულები შემოფრინდნენ „საიმპერატორო სპექტაკლში“, შეკრეს წრე, გაბრწყინდნენ და სრულყოფილებაშეძენილები ახალი დროის ხელოვნების ნაწარმოებად იქცნენ. იმპერატორი-თოჯინების ტანსაცმელი იკერებოდა ნაკუწებისგან იმისა, რაიც ოდესღაც ნამდვილი იმპერია იყო“.

და იყო დასაწყისი ახალი ტრიუმფის.

გადასვლა-გადადინების ეს „მეთოდი“ რეზო გაბრიაძის ცხოვრების მახასიათებელიც არის, ამ კალაპოტს მიჰყვება, მგონი: ოთხმოცი წელი ბუნებრივად გადადის ოთხმოცდაათში, ოთხმოცდაათი — ასში და ა.შ. და ა.შ.

როგორ მოგწონთ ასეთი პერსპექტივა, ბატონო რეზო?

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დღეს ბატონი რეზო გაბრიაძე ოთხმოცის გახდა!**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს. ხანგრძლივად მიმდინარე კუჭის შეკრულობა, ხანგრძლივად მიმდინარე კუჭის აშლილობა.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე,**
**მისამართი: უზნაძის ქ. №12ა**
**(ყოფილი კამოს ქუჩა)**


## შოტლანდიაში დამოუკიდებლობის შესახებ ახალი რეფერენდუმის ჩასატარებლად ემზადებიან

„ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლის მომხრეების გამარჯვების შემდეგ შოტლანდიაში ჩატარდება მეორე რეფერენდუმი დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფის შესახებ“, — განაცხადა შოტლანდიის ყოფილმა პრემიერმინისტრმა ალექს სალმონდმა.




საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894